პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
და
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—68
) ღამის მორიგეს 12—30.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 34, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი:
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები:
საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი. ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განცხადებელი გაარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ძვირდება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

დღიური

- ავღანისტანის ფადიშახმა დაათვალიერა საბჭოთა პავილიონი ლეიპციგის ბაზრობაზე.
- ჩემბერლენი პარიზში ჩავიდა.
- მღელვარება ვენეცუელაში (სამხრეთ - ამერიკა).
- 50.000 მელითონეს ლოკაუტი ბერლინში.
- მენშევიკებმა ჩაშალეს ჩეხო-სლოვაკიის მემაღაროეთა გაფიცვა.
- პარტიათა ბრძოლა სამხრეთ-სლავიის პარლამენტში.
- გერმანიის რეიხსტაგმა გადასდო კრედიტები სამხედრო გემების ასაშენებლად.

ოთხშაბათი, 7 მარტი 1928 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 55 (2098)

პლენუმის შედეგები

დაასრულა თავისი მუშაობა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ საკონტროლო კომისიის პლენუმმა.

მისი დღის წესრიგი დატვირთული იყო საჭირბოროტო საკითხებით. პირველყოვლისა პლენუმი გაეცნო მ-გ. ინსპექციის ახალი გეგმის შინაარსს, გეგმით დასახულ ამოცანებს, ამ ამოცანათა გადაჭრის და სამუშაო გეგმის შესრულების მეთოდებს.

ბრძოლა აპარატის გამარტივება-გაიაფებისათვის, ბრძოლა უმომჭირნეობისა და ბიუროკრატიული გადამახინჯების წინააღმდეგ, ბოლო უნდა მოეღოს უსისტემო, უგეგმო და უთავბოლო მუშაობას. თვითეული კაპეიკი, გადადებული სოციალისტური აღმშენებლობისათვის, უნდა იხარჯებოდეს მიზანშეწონილათ; პარტიის დადგენილებებისა და დირექტივების დამრღვეველთ უნდა მოეთხოვოს სასტიკი პასუხი, და, რაც თავი და თავია, ამ ბრძოლაში ჩაბმული უნდა იქნას მუშურ-გლეხური მასა თავისი მასიური ორგანიზაციების საშუალებით—აი რა არის, წითელი ზოლივით გავლებული მ-გ. ინსპექციის ახალ გეგმაში.

გეგმის კარგათ შესრულებასთან დაკავშირებით პლენუმზე ლაპარაკი იყო აგრეთვე თვითკრიტიკის აუცილებლობის შესახებ, ყოველგვარი სამუშაო გეგმის ღირსეულათ, პარტიის დირექტივების თანახმათ ჩატარებისათვის (იქნება ეს სამუშაო გეგმა მ-გ. ინსპექციის თუ სხვა უმაღლესი ორგანოების მიერ გამომუშავებული და დამტკიცებული), საჭიროა ჯანსაღი თვითკრიტიკა, დაუნდობელი მხილება და გამომჟღავნება ყოველგვარი ნაკლის. უამისოთ ძნელი იქნება ყოველგვარი სამუშაო გეგმის კარგათ შესრულება. რა არის ამისათვის საჭირო? ის, რომ ყველგან საკამანდო სიმაღლეებზე მუშაობდნენ ხელმძღვანელებათ ღირსეული პირები, რომლებიც პარტიის დირექტივებს კი არ კითხულობენ მარტო არამედ ატარებენ ცხოვრებაში, ერთი სიტყვით ყოველგვარი საგეგმო მუშაობის პირნათლად შესრულებისათვის აუცილებელია ისეთი პირები, რომლებიც თვით ინსპექციისა და საკონტროლო კომისიის გარეშეც გულისხმობენ მაგრათ აღებულ, გარკვეულ, გადაუხვეველ ხაზს პარტიის დირექტივებთან შეფარდებულს.

იქ, სადაც ეს არ არის მთლიანათ შეგნებული ყველას მიერ, უსათუოთ ხელი შეეშლება ყოველგვარ საგეგმო და გეგმის გარეშე მუშაობას.

პლენუმმა პირველი საკითხის შესახებ გამოიტანა შესაფერი რეზოლუცია და დაავალა ც. ს. კომისიის პრეზიდიუმს და მ-გ. ინსპექციის კოლეგიას მისი გატარება.,

უდიდესი მნიშვნელობა აქვს მუშაობას პარტიული ხაზით. მით უმეტეს ოპოზიციის ლიკვიდაციის პროცესში აუცილებელი იყო პარტკოლეგიის მუშაობის საერთო ხაზის გამომუშავება. საერთო ხასიათის სადირექტივო გეგმა, რომელიც მეორე საკითხათ იდგა დღის წესრიგში და მცირედი შესწორებებით დამტკიცებული იქნა პლენუმის მიერ, საშვალებას მისცემს პარტკოლეგიას მეტის ნაყოფიერებით და ენერგიით გაშალოს ფრთები პარტიის შიგნით ყოველგვარი ნაკლის, სხვადასხვა ხასიათის დაავადების ნიშნებისა და რღვევის წინააღმდეგ მიმართული ბრძოლის საწარმოებლათ.

აბსოლიუტიური სიჯანსაღის, მთლიანობის, ერთსულოვნების, ისტორიული ბოლშევიზმის ურყევობისა და სიმტკიცის მეტის სიცხოველით დაცვა და ამ მიზნით სისტემატიური, გეგმიანი მუშაობა და უფრო დამახასიათებელი ორგანიზაციების გამოკვლევა-შესწავლა—აი, ამოცანა, რომლის გადაჭრა დაავალა პლენუმმა ც. ს. კომისიის პრეზიდიუმს და პარტკოლეგიას.

მესამე საკითხათ პლენუმმა მოისმინა მოხსენება საადმინისტრაციო-სამეურნეო ხარჯების 20 პროცენტით შემცირების გატარების შედეგების შესახებ. ეს საკითხი უაღრესი მნიშვნელობისაა და სწორეთ ამიტომ ასე დიდ ყურადღებას აქცევს მას პარტია, მთავრობა და საკონტროლო ორგანოები.

რას ნიშნავს 20 პროცენტით ყოველგვარი ხარჯების შემცირება? ეს ნიშნავს სახელმწიფო და სამეურნეო აპარატის გაიაფებას, გამარტივებას, გაბერილ შტატების მოსპობას, ბიუროკრატიულ დამახინჯებასთან ბრძოლის ერთი ათად გაალმასებას, აპარატის მოქნილობას და მუშურ-გლეხურ მასასთან უფრო დახლოვებას.

პლენუმზე აღნიშნულ იქნა ციფრებით ხელში ის მიღწევები, რომლებიც მიღებულია, როგორც წინასწარი შედეგები ამ დირექტივების გასატარებლათ. 20 პროცენტით ხარჯების შემცირებით მიღებული დაზოგვა ჯერჯერობით უდრის 2.361.000 მანეთს. ეს მინიმუმია, ვინაიდან სრული ცნობები პლენუმის მოხსენების დროს კიდევ არ იყო მიღებული და შემოწმებული მ-გ. ინსპექციის მიერ. პლენუმის დირექტივების და დადგენილებების თანახმად მ-გ. ინსპექციამ და საკონტროლო კომისიამ, სათანადო ორგანოებთან ერთად უნდა თვალყური ადევნონ და მიიღონ სასტიკი ზომები იმ პირებისა და დაწესებულებების წინააღმდეგ, რომლებიც გულგრილად მოეკიდებიან ამ საკითხს და გვერდს აუხვევენ მის გატარებას სხვადასხვა მიზეზებით და „მოსაზრებებით“.

პლენუმმა მოისმინა მოხსენება ქუთაისის მაზრის რწმუნებულის მუშაობის შესახებ და დაავალა პრეზიდიუმს ამ მოხსენების ირგვლივ გამართულ აზრთა გაცვლა-გამოცვლის საფუძველზე შეიმუშაოს საერთო ხასიათის ღონისძიებანი, რომლებიც გამოასწორებენ რწმუნებულების მუშაობაში შემჩნეულ დეფექტებსა და შეცდომებს.

მეხუთე პარტყრილობის მიერ არჩეულ საკონტროლო კომისიის წევრებს საშვალება მიეცათ გაეცნობოდნენ მ-გ. ინსპექციისა და საკონტროლო კომისიის მუშაობას და მათ მიერ დასახულ განსახორციელებელ ამოცანებს.

სერიოზული, საქმიანი გამოსვლები ერთხელ კიდევ ცხადჰყოფენ იმ გარემოებას, რომ ჩვენ ვიზრდებით, ვსწავლობთ, უფრო და უფრო პოპულიარული, გაუმჯობესებული და ყველასათვის გასაგები ხდება ფუნქციები გაერთიანებული საკონტროლო კომისიისა და მ-გ. ინსპექციის და მათ მიერ შესრულებული მუშაობა. ამ შემთხვევაში უკვე არსებული მიღწევების შენარჩუნება და წინსვლა დამოკიდებულია იმ ერთსულოვან დახმარებაზე, რომელსაც საკონტროლო კომისია და მ.-გ. ინსპექცია მოელის პარტიული და უპარტიო მუშურ-გლეხური მასებისაგან.

ჩვენი მუშაობის შედეგებისა და მნიშვნელობის ფართე პოპულიარიზაცია პარტიულ და უპარტიო მასებში, მათი მხრით მხარის დაჭერა, გამოკვლევების, რევიზიების შემოწმებების და სხვა დავალებების დროს ხსენებული მასების მონაწილეობის უზრუნველყოფა, ერთი სიტყვით სახელმწიფო მართვა -გამგეობის საქმეში მშრომელი ელემენტების მასიურად ჩაბმა, — ასეთი დირექტივებით დაიშალა ცენტრ. საკონტროლო კომისიის მეორე მორიგი პლენუმი.

ა. დოლიძე.

არჩევნები პოლონეთში

პარტიის მე-15 ყრილობა და ამას წინად დამთავრებული კომინტერნის აღმასკომის პლენუმი კომუნისტური ინტერნაციონალის ტაქტიკური ხაზის გამორკვევს დროს გამოდიოდნენ იმ დებულებიდან, რომ ბურჟუაზიულ ქვეყნებში სწარმოებს მუშათა მასების გამემარცხენება. ეს გამემარცხენება თავს იჩენს პროლეტარიატის რევოლიუციონური აქტივობის გადიდებასა და კომპარტიის გავლენის ზრდაში.

წინასწარი ცნობები პოლონეთის სეიმის არჩევნების შედეგების შესახებ გვაძლევს საფუძველს ვსთქვათ, რომ მუშათა მასების გამემარცხენების პროცესმა საკმაოდ გარკვეულად და ძლიერ იჩინა თავი მარშალ პილსუდსკის პოლონეთში.

საარჩევნო კამპანია პოლონეთში — ეს იყო რევოლიუციონური ორგანიზაციების თავხედურად დარბევა პილსუდსკის ფაშისტური მთავრობის მიერ. საარჩევნო კამპანია პოლონეთში — ეს იყო კომუნისტების დაპატიმრებისა და ცემის კამპანია, ეს იყო პოლიციელების მიერ მუშათა და გლეხთა ორგანიზაციებზე და კრებებზე თავდასხმის კამპანია. ეს იყო ზეპირი და წერილობითი რევოლიუციონური აგიტაციის პირდაპირი აკრძალვის კამპანია.

საარჩევნო კამპანია პოლონეთში — ეს იყო არა მარტო ოპოზიციონურ მემამულეთა და ბურჟუების მოსყიდვის კამპანია, არამედ ფაშისტურ სახელმწიფოს მიერ გლეხთა ორგანიზაციების ბელადთა და „მუშათა“ ორგანიზაციების კარიერისტ - გამყიდველ რენეგატ ბიუროკრატების გახრწნის კამპანია. საარჩევნო კამპანია პოლონეთში — ეს იყო რევოლიუციონურ მუშათა და გლეხთა კანდიდატების სიის პირდაპირი გაუქმების კამპანია.

საარჩევნო კამპანია პოლონეთში — ეს არის გამყიდველთა კლასის ცინიკური დაცინვა გაყვლეფილთა კლასზე.

რესპუბლიკანური პოლონეთი ნათელ ნიმუშს იძლევა იმ „დემოკრატიისა“, რომლის სახელითაც ყველა ქვეყნის სოციალისტური ლაქიები მოუწოდებენ მუშებს ხელი აიღონ პროლეტარული რევოლიუციის საქმეზე. ამ დემოკრატიის ხასიათის შესახებ მშვენიერად ლაპარაკობს ლენინი 1918 წელს ბროშურაში „პროლეტარული რევოლიუცია და რენეგატი კაუცკი“, სწერდა:

„მეცნიერმა ვაჟბატონმა კაუცკიმ „დაივიწყა“, ალბად, შემთხვევით დაივიწყა ერთი... „წვრილმანი“, სახელდობრ: უმცირესობის დაცვას ბურჟუაზიული დემოკრატიის გაბატონებული პარტია მეორე ბურჟუაზიული პარტიის მიმართ იჩენს, პროლეტარიატს კი ყოველ სერიოზულ, ღრმა და ძირითად საკითხში „უმცირესობის დაცვის“ ნაცვლად წილად ხვდება სამხედრო წესები და რბევა - დაწიოკება. რაც უფრო განვითარებულია დემოკრატია, მით უფრო ახლოა დარბევა ან სამოქალაქო ომი ყოველ ღრმა, ბურჟუაზიისათვის საშიშ პოლიტიკურ განხეთქილების დროს. ბურჟუაზიული დემოკრატიის ასეთ „კანონს“ მეცნიერ ვაჟბატონ კაუცკის დაინახავდა რესპუბლიკანურ საფრანგეთში დრეიფუსის საქმე, დემოკრატიულ ამერიკაში ზანგებისა და ინტერნაციონალისტების ლინჩის წესით გასამართლება, დემოკრატიულ ინგლისში ირლანდიისა და ულსტერის მაგალითი, ბოლშევიკების დევნა და მათ წინააღმდეგ „პოგრომების“ მოწყობა 1917 წლის აპრილს რუსეთის დემოკრატიულ რესპუბლიკაში“.

ფაშისტურ პოლონეთში შურით შეჰყურებენ ზანგების დამსჯელთა და „რუსეთის დემოკრატიული რესპუბლიკის“ კორნილოველ „პოგრომისტებს“ დაფნის გვირგვინებს. აწიოკება-რბევა გადაიქცა ფაშისტური მთავრობის პოლიტიკის ჩვეულებრივ მოვლენად.

საარჩევნო კამპანიის ამ თავისებურებათა პირობებში სრულებითაც დამარწმუნებელი არაა ის „გამარჯვებანი“, რომელნიც არჩევნებში მოიპოვეს პილსუდჩიკებმა და მათმა დამქაშებმა. მაგრამ არჩევნების შესახებ წინასწარი ცნობებიც კი საშუალებას გვაძლევს ვსთქვათ, რომ კომუნისტებმა პროლეტარებს შორის თვალსაჩინო გამარჯვება მოიპოვეს, თუმცა ფაშისტური მთავრობა ყოველგვარ ღონისძიებას ხმარობდა ამ გამარჯვების გასაქარწყლებლად. ეს ცნობები, ამავე დროს, იმას მოწმობს, რომ თვალსაჩინოდ შეიზღუდა პოლიტიკური გავლენის სფერო პოლონეთის სოციალისტებისა, რომლებიც ბურჟუაზიის მზვერავები არიან მშრომელთა ბანაკში. წინასწარი ცნობებით სჩანს, რომ ვარშავაში მთავრობის ბლოკის წარმატებასთან ერთად, რომელმაც ხმები შეიძინა უმთავრესად ნაციონალ - დემოკრატების ოპოზიციონურ - ბურჟუაზიული პარტიის ხარჯზე, — აშკარა წარმატებას მიაღწიეს კომუნისტებმა პოლონეთის სოციალისტური პარტიის ხარჯზე: წინანდელ არჩევნებთან შედარებით, პოლონეთის სოციალისტურმა პარტიამ სამი მანდატიდან დაჰკარგა ორი მანდატი და ახლა მხოლოდ ერთი მანდატი მიიღო, კომუნისტურ პარტიას კი ვარშავაში, როგორც სჩანს, ორი მანდატი ექნება, წინანდელი არჩევნების დროს კი მან ერთი მანდატი მიიღო.

ლოძში კომუნისტებმა გაიმარჯვეს პოლონეთის სოციალისტური პარტიის ხარჯზე და, ალბად, ორი მანდატი მიიღეს, წინათ კი არც ერთი მანდატი არა ჰქონდათ. მათ ეს გამარჯვება მოიპოვეს მიუხედავად იმისა, რომ პოლიციის ზეგავლენით მოიხსნა კომუნისტების სია № 13 და კომუნისტებმა ძლივს მოასწრეს მოუმზადებლად და წინასწარი აგიტაციის გარეშე ახალი სიის შეტანა საარჩევნო ბრძოლაში.

ბენდინში (დომბროვის სამრეწველო რაიონი) მუშათა და გლეხთა მთლიანობის კომუნისტურმა სიამ ყველაზე მეტი ხმა მიიღო, ოთხჯერ მეტი, ვიდრე პოლონეთის სოციალისტურმა პარტიამ, ამასთანავე, კომუნისტებმა მიიღეს 3 მანდატი, ხოლო პოლ. სოციალისტურ პარტიას საკმაო ხმა არ მოუგროვდა ერთი მანდატისათვისაც კი.

მუშათა ცენტრებში კომუნისტების გამარჯვების გარდა, განსაკუთრებული ყურადღების ღირსია რევოლიუციონური ორგანიზაციების წარმატება გლეხობასა და დაჩაგრულ ეროვნულ უმცირესობათა შორის, რადგან პილსუდჩიკების ტერორი თავს დაატყდა, უმთავრესად, სოფელს. რევოლიუციონური ორგანიზაციების სიებს უცერემონიოდ აუქმებდნენ სოფლად და ეროვნულ უმცირესობათა შორის, საფაბრიკო რაიონებში კი ასეთ უცერემონიობას ფაშისტური ხელისუფლების წარმომადგენლები ვერ ბედავდნენ. მიუხედავად ამისა, მემარცხენე „სელრობმა“ უკვე სამი მანდატი მიიღო ბრესტში. ბელორუსთა გრომადამ ნოვოგრუდეკსა და ლიდაში 5 მანდატი მიიღო, გლეხთა ორგანიზაციამ „თვითდახმარებამ“ ლიუბლინში ერთი მანდატი მიიღო.

ადვილად შესაძლებელია, რომ ტელეგრაფმა და პილსუდჩიკების გაიძვერობამ ერთგვარი კორექტივი შეიტანოს წინასწარ ცნობებში, მაგრამ პოლიტიკური პარტიების გავლენის გადანაცვლების მიმართულების ხასიათი ყოველ ეჭვს გარეშეა: კომუნისტებმა გაიმარჯვეს, მიუხედავად იმისა, რომ ფაშისტური მთავრობა აშკარად სდევნიდა და არბევდა რევოლიუციის ძალებს. ამასთანავე, მხედველობაში უნდა გვქონდეს, რომ პოლონეთის სოციალისტური პარტიის გავლენის თვალსაჩინოდ შემცირება და კომუნისტების მიერ მიღებული ხმების მეტად მნიშვნელოვანი ზრდა დამახასიათებელია არა მარტო პოლიტიკური ბრძოლისა, რომელიც სწარმოებს მუშათა მასების დასაპყრობად სეიმის წინანდელი არჩევნების დღიდან (1922 წლის დამლევიდან) ახლანდელ არჩევნებამდე. 1927 წლის ოქტომბერში ჩატარებული კომუნალური არჩევნებისა და სეიმის ახლანდელი არჩევნების შედარება საბუთს გვაძლევს ვსთქვათ, რომ კომუნისტები ძლიერდებიან პოლონეთის სოციალისტური პარტიის ხარჯზე სულ უკანასკნელ ხანებშიაც.

პილსუდჩიკები, უეჭველია, მოახერხებენ სამთავრობო უმრავლესობის შეგროვებას, რაკი მათ მანდატებს მიემატება ნაწილობრივ პოლონეთის სოციალისტური პარტიის, მემარჯვენე დეპუტატების, ვიზვოლენიეს და სხვათა მანდატები. მაგრამ ფაშისტური მთავრობა ხელისუფლების შენარჩუნებას ახერხებს, რასაკვირველია, არა იმიტომ, რომ მან ერთგვარი გამარჯვება მოიპოვა პარლამენტის არჩევნებში. უფრო სამართლიანი იქნება, თუ პირიქით ვიტყვით: მან არჩევნებში გამარჯვება მოიპოვა იმიტომ, რომ ძალაუფლება მის ხელშია, რომ იგი ძალადობას იჩენს მუშებისა და გლეხებისადმი, მიმართავს მოსყიდვის სისტემას და იბრძვის პროვოკაციით, მოსყიდვით, მუშტით, მათრახით და ფულით.

მაგრამ ფაშიზმის ასეთი გაძლიერება იწვევს მასების წინააღმდეგობის ზრდას: პოლონეთის პროლეტარიატისათვის უფრო და უფრო ნათელი ხდება, რომ ხსნა მხოლოდ პროლეტარულ რევოლიუციაშია, რომ პროლეტარიატი სიმართლეს მხოლოდ კომუნიზმში მონახავს.

პოლონეთის სეიმის არჩევნების შედეგები მუშათა მასების გამემარცხენების ახალი სიმპტომია, მუშათა მასებზე კომუნიზმის გავლენის ზრდის მაჩვენებელია.

პოლონეთის პროლეტარიატმა და გლეხობამ ფაშიზმის უღელ ქვეშ კლასობრივი ბრძოლის ნარ - ეკლიანი გზა უნდა განვლოს, მაგრამ ამ ბრძოლის პროცესში გამოიკვებიან და შედუღდებიან რევოლიუციონური ძალები, ის ძალები, რომლებმაც გამარჯვება უნდა მოიპოვონ კომუნიზმის დროშის ქვეშ.

„პრავდა“. 6 მარტი.

ბინის ქირის გადასინჯვისათვის

საცხოვრებელი ბინების იმ ახალ მშენებლობასთან ერთად, რომელიც ამჟამად მიმდინარეობს, საჭიროა მიღებული იქნეს მთელი რიგი ზომები არსებულ საბინაო ფონდის შესანარჩუნებლათ და აღსადგენათ. თუ სახელმწიფოსა და კოოპერაციის მიერ ახლათ აშენებულ ბინებს არ მივიღებთ მხედველობაში, ჩვენ გვაქვს საბინაო ფონდის შემცირების ტენდენცია. ეს უმთავრესად დამოკიდებულია იმაზე, რომ სახლების მოვლა და შეკეთება ძლიერ სუსტათ წარმოებს. ბინების სიმცირემ დაბადა ერთგვარი სპეკულიაცია. აღსანიშნავია, რომ კერძოდ ბინების გადაცემა - გაქირავებას განსაზღვრულ სასყიდელში უკვე რამდენიმე წელი ფართოთ აქვს ფეხი მოკიდებული და ამ წესით გასაქირავებელი ბინების ფასები თანდათანობით იზრდება ხშირათ კერძოდ გაქირავებულ ოთახების გადასაცემი ფასი თითქმის იმდენივეა, რამდენიც დაჯდება ახალი ბინების აშენება.

ბინის ქირას არ უნდა მიუდგეთ, როგორც ისეთ გადასახადს, რომელიც აწვება მუშა-მოსამსახურის ბიუჯეტს. ბინის ქირა ერთად ერთი საშუალება არის ბინების შენახვის და შეკეთებისათვის. ბინის ქირის მომატების საკითხს თუ მარტო მუშის ბიუჯეტის დამძიმების თვალსაზრისით მიუდექით, ეს არა თუ სასარგებლო იქნება მუშებისათვის, არამედ, პირიქით, ასეთი მიდგომა გამოიწვევს შემდეგში საბინაო პირობების გაუარესებას. ამიტომ ბინის ქირის მომატების წინააღმდეგ წასვლა სრულებით არ ნიშნავს მუშა-მოსამსახურეთა ინტერესების დაცვას. სინამდვილეში ასეთი „დაცვა“ იძლევა მუშათა საცხოვრებელი პირობების გაუარესებას, ვინაიდან ბინა წარმოადგენს ცხოვრების ერთ ფრიად მნიშვნელოვან მხარეს. მასზედ დამოკიდებულია ცხოვრების კულტურული დონის აწევაც, შრომის ნაყოფიერებაც და სხვ.

უწინ მუშა - მოსამსახურის ბიუჯეტში ბინის ქირა შეადგენდა 20 პროცენტს ამჟამად ის საშუალოდ არ აღემატება 3—4 პროცენტს. ბინის ახლანდელი ქირა მცირეა. ის სრულებით არ არის საკმარისი ბინის მოვლა-შეკეთებისათვის. ამიტომ ფრიად მიზანშეწონილად უნდა ჩაითვალოს საკავშირო ცაკის დადგენილება ბინის ქირის ისეთი რაოდენობით აწევის შესახებ, რომ ის შეადგენდეს მუშა-მოსამსახურის ბიუჯეტის არა უმეტეს 10 პროცენტისა. ასეთი საბინაო ქირა რამოდენიმეთ მაინც უზრუნველყოფს ბინების შეკეთებას.

სხვა საბჭოთა რესპუბლიკების ქალაქებთან შედარებით თბილისში და საქართველოს დანარჩენ ქალაქებში, საბინაო ქირა გაცილებით უფრო მცირე არის. ბინის ქირის მომატება ჩვენში შედარებით უფრო ნელი ტემპით მიმდინარეობდა.

საქართველოში, და კერძოდ თბილისში საბინაო მფლობელობის მხრივ განსხვავება არის სხვა ქალაქებთან შედარებით. თუ რუსეთის, უკრაინის და აზერბეიჯანის ქალაქებში ბინების უმეტესი ნაწილი (70—90 პროცენტი) სახელმწიფო ორგანოების და საბინაო კოოპერატიულ ამხანაგობების ხელშია, ჩვენში 80 პროცენტი კერძო მფლობელთა ხელში იმყოფება. კერძო მფლობელი საბინაო ქირის შემოსავალს არ ახმარებს სახლების შეკეთებას და მოვლას. საბინაო ქირა მათ გაუხდიათ მოგების წყაროთ და ისინი ძალიან ნაკლებ ყურადღებას აქცევენ ბინების მოვლას. ამის წინააღმდეგ საჭიროა სათანადო ზომების მიღება. იმ შემთხვევაში, როცა სახლის პატრონი სათანადოთ არ უვლის სახლს, მას ის უნდა ჩამოერთვას უფასოთ და გადაეცეს საბინაო ამხანაგობებს. რომ შემოსული საბინაო ქირა მოხმარდეს სახლის შეკეთებას, ამისათვის შემოღებული უნდა იქნას მობინავეთა კონტროლი. კონტროლის გაწევა შეიძლება ჩამოყალიბებულ იქნეს განსაზღვრულ ფორმებში.

უნდა შეტანილ იქნას შესწორება ბინების მფლობელობის კანონში. კერძოდ საჭიროა იმ სახლების ჩამორთმევის პროცედურის გამარტივება, რომლებიც მოვლის მხრივ ცუდათაა დაყენებული. უნდა გაფართოვდეს სახლის შეკეთების მოვალეობანი, თუ აქამდი სახლის მეპატრონე მხოლოთ გარეგან და მსხვილ შეკეთებას აწარმოებდა, ახლა მას უნდა დაევალოს ბინების შინაგანი რემონტიც.

ახალი საბინაო ქირის რაოდენობის დაწესების დროს უნდა იქნეს მხედველობაში მიღებული, რომ თანდათანობით საჭიროა ბინის ქირის ისეთი სისტემის შემოღება, რომელიც დამყარებული იქნება არა შრომის ხელფასის რაოდენობაზე, არამედ თვით დაკავებული ბინის ღირებულებაზე. ცხადია, ერთბაშათ ამ ზომის შემოღება შეუძლებელია. თანდათანობით უნდა გატარდეს მუშა - მოსამსახურეთა სხვადასხვა კატეგორიების ბინის ქირის განსხვავების შენელება. ტარიფის დაწესების დროს უნდა იქნეს მხედველობაში მიღებული რაიონი, სადაც ბინა იმყოფება, თვით ბინის ხარისხი და სხვა.

უნდა გამოსწორდეს აგრეთვე ბინის ქირის გამოანგარიშების ის უსამართლობა, რომელსაც ადგილი აქვს ჩვენში არსებული წესით მუშა - მოსამსახურე ბინის ქირას იხდის სატარიფო განაკვეთიდან და არა მთელი ფაქტიური ხელფასიდან. გამოდის, რომ ორი სხვადასხვა შემოსავლის მქონე მუშა ერთნაირ ბინის ქირას იხდის. მაგალითად, ერთს აქვს 50 მან. სატარიფო განაკვეთი (ძირითადი ხელფასი) და ამის მეტი არაფერი არ ეძლევა. მეორე მუშის ძირითადი განაკვეთი იგივე 50 მანეთია, მაგრამ მას აქვს კიდევ ნარდი გადამუშავება და ის ფაქტიურათ აკეთებს 100 მანეთს. მიუხედავათ იმისა, რომ ამ უკანასკნელ მუშის შემოსავალი ორჯერ მეტია პირველისაზე, საბინაო ქირას ის იხდის იმდენსავე, რამდენსაც ნაკლებ შემოსავლიანი მუშა. ასეთი უსამართლობა გამოწვეულია იმით, რომ ბინის ქირის გამოანგარიშება ხდება სატარიფო (ძირითადი) განაკვეთიდან. საჭიროა ამ წესის შეცვლა და ბინის ქირის მთელი ფაქტიურ ხელფასიდან გამოანგარიშება. ეს უკანასკნელი წესი გარდა საქართველოსა ყველა სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში არსებობს.

ს. ვ.

გაიხსნა ერთა ლიგის საბჭოს სესია

დასრულდა არჩევნები პოლონეთის სეიმში.--თავდასხმები მუშებზე ვარშავაში

ჰეჯასის მეფემ იბნ-საუდმა ომი გამოუცხადა ინგლისის კოლონიებს არაბეთში

სისხლის მღვრელი შეტაკება წითელ-ფრონტელებსა და პოლიციას შორის ვენაში

ერთა ლიგის საბჭოს სესია

პოლონეთ - ლიტვის კონფლიქტი.

ჟენევა, 5 მარტი, ავტორიტეტული წყაროებიდან იუწყებიან, რომ ერთა ლიგის საბჭომ დახურულ სხდომაზე ჩემბერლენის წინადადებით დაადგინა, პოლანდიელ ვან- ბროკლანდს, დაავალოს, რომ მან საჩქაროდ დაამზადოს მოხსენება პოლონეთ-ლიტვის კონფლიქტის ეხლანდელი მდგომარეობის შესახებ და აგრეთვე იმის შესახებ, თუ როგორ ასრულებს ორივე დაინტერესებული მხარე ერთა ლიგის საბჭოს დეკემბრის სესიის დადგენილებებს. ვან-ბროკლანდის მოხსენება უნდა განიხილოს ერთა ლიგის საბჭოს ეხლანდელმა სესიამ. (ადს).

ომი არაბეთში

იბნ-საუდმა ომი გამოუცხადა ინგლისს

ლონდონი, 5 მარტი, „დეილი მეილ“-ს კორესპონდენტი ბასრიდან ატყობინებს, რომ ნეჯდის სულთანმა, — ჰეჯასის მეფემ იბნ-საუდმა ინგლისის სამანდატო ტერიტორიებს—ირაქს, ტრანსიორდანიას და კოვეი-ტის სულტანატს (ინგლისის პროტექტორატი) საღვთო ომი გამოუცხადა.

შენიშვნა: სამხედრო მოქმედება არაბეთში დაიწყო მას შემდეგ, რაც ვაჰაბიტების ტომი — მუტაირები თავს დაესხა ბუსაიას ოაზისს, სადაც ინგლისელებმა, ირაქსა და ჰეჯაზს შორის დადებულ შეთანხმების წინააღმდეგ, ააგეს ციხე - სიმაგრე. ინგლისის აეროპლანებისა და ჯავშნიან ავტომობილების რაზმებით შევიწროებულმა მუტაირებმა პირველად უკან დაიხიეს სამხრეთით კოვეიტის სულტანატის ტერიტორიაზე და შემდეგ ელსაფის ოაზისის რაიონში, რომელსაც ინგლისელებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან ამ ოაზისზე უნდა გაიაროს ტრანსარაბეთის რკინისგზამ, რომლის გაყვანასაც ფიქრობენ ინგლისელები. ინგლისელების მტაცებლურმა მოქმედებამ თავისუფალი ტომების ტერიტორიაზე დიდი აღშფოთება გამოიწვია მათ შორის.

ნიუ - იორკიდან იუწყებიან, რომ ინგლისის რაზმებს ირაქსა და ტრანსიორდანიაში ამჟამად საქმე აქვთ არა მუტაირების დაქსაქსულ რაზმებთან, არამედ ვაჰაბიტების ჯარებთან, რომლებიც 20.000 კაცისაგან შესდგება.

თუ ცნობა იბნ-საუდის მიერ საღვთო ომის გამოცხადების შესახებ გამართლდა, მაშინ მისთვის საძნელო იქნება არაბეთის ყველა ტომების გაერთიანება, რომლებიც დიდი ხანია მტრობენ ერთმანეთს (ადს).

ბერლინის მელითონეთა გაფიცვა

ბერლინი, 5 მარტი. ბერლინის მელითონეთა გაფიცვა გრძელდება. ვინაიდან 3 მარტიდან ძალაში შევიდა ლოკაუტი, ბერლინის ლითონის მრეწველობის მთელი რიგი წარმოებანი დაიხურა. ეხლა ბერლინში თავმოყრილია 50.000 უმუშევარი მელითონე. ბერლინის საარბიტრაჟო კომისიის თავმჯდომარემ წინადადება მისცა ორივე მხარეს დაარსებულ იქნას სპეციალური საარბიტრაჟო ბიურო, რომელიც ოთხშაბათს უნდა შეუდგეს მუშაობას. მელითონეთა კავშირის ბერლინის განყოფილების ხელმძღვანელებმა ამ წინადადების გამო შეაჩერეს გაფიცვის გაფართოებისათვის დასახულ ღონისძიებათა განხორციელება და გადასწყვიტეს დაუცადონ მოლაპარაკების შედეგებს. (ადს).

მდგომარეობა ჩინეთში

შანხაის პროფკავშირთა კონფერენცია.

შანხაი, 5 მარტი. შესდგა პროფკავშირთა წარმომადგენლების კონფერენცია, რომელმაც დაადგინა მიმართოს ნანკინის მთავრობას თხოვნით, რომ მან ნება დართოს პროფკავშირებს განაგრძონ თავისი მუშაობა. თუ მთავრობა უარს იტყვის თხოვნის დაკმაყოფილებაზე, პროფკავშირები იძულებული გახდებიან იმუშაონ არალეგალურად.

საჩუქარი ლი-ტი სინს

შანხაი, 6 მარტი. გონკონგის (ინგლისის კოლონია) ხელისუფლებამ კანტონის დიქტატორს აჩუქა ორი ნაღმოსანი გონკონგსა და კანტონს შორის დამყარებულ მეგობრობის ნიშნად.

მგელი ცხვრის ტყავში

ლიტვის „მეგობრები“.

ბერლინი, 5 მარტი. „დოიჩე ტაგესცეიტუნგი“ ათავსებს ცნობას იმ ზომების შესახებ, რომლებსაც პოლონეთი იღებს ვილნოში ლიტვის წინააღმდეგ. ამ ცნობებით, ვილნოში ამზადებენ აუარებელ ფურცლებს, რომლებიც კონტრაბანდათ ფარულად გადააქვთ ლიტვის ტერიტორიაზე. ამ ფურცლებში მოსახლეობას მოუწოდებენ იბრძოლონ ლიტვის ეხლანდელი მთავრობის წინააღმდეგ. ლიტველ ემიგრანტებს, რომლებიც ვილნოში მოქმედებენ პოლონელებთან ერთად, პოლონელები განუსაზღვრელ ფულად დახმარებას უწევენ. ერთ-ერთ მოწოდებაში, რომელსაც ხელს აწერს „ლიტვის პოლონელ მეგობართა კავშირი“, გერმანია და საბჭოთა კავშირი დახასიათებული როგორც ლიტვის მტრები. ხოლო პოლონეთი კი, როგორც ნამდვილი მეგობარი.

უკანასკნელ ხანებში გახშირდა შეტაკებანი პოლონეთის საზღვარზე. (ადს).

გერმანელ ოპოზიციონერთა მოწოდება

ბერლინი, 5 მარტი. ვოლფის სააგენტო იუწყება:

„გერმანიის კომპარტიის ოპოზიციის კონფერენციამ, რომელზედაც მონაწილეობას იღებდა 200 დელეგატი გერმანიის ყველა რაიონებიდან, გამოაქვეყნა მოწოდება, რომელიც საჭიროდ სთვლის „მემარცხენე კომუნისტების ლენინურ კავშირის“ დაარსებას. „ლენინურ კავშირის დაარსება—ნათქვამია მოწოდებაში—გამოწვეულია კომინტერნის ეხლანდელ ხელმძღვანელობის გამთიშველი ხაზით“. ლენინური კავშირი მიზნად ისახავს ყველა იმ კომუნისტების გაერთიანებას, რომლებიც ჭეშმარიტ ლენინიზმის ნიადაგზე სდგანან და უარყოფენ ლენინიზმის რევიზიას.

მოწოდება საჭიროდ სთვლის, რომ კომუნისტ მუშებმა წინააღმდეგობა გაუწიონ მესამე ინტერნაციონალის დაღუპვას. მოწოდება აღნიშნავს, რომ სააღდგომოთ ბერლინში მოწვეულ იქნება ოპოზიციის ღია კონფერენცია „ლენინურ კავშირის“ მოსაწყობად.

შენიშვნა: დეპეშა იუწყება კომინტერნის მიერ გერმანიის კომპარტიიდან გამორიცხულ მასლოვ-რუტ ფიშერის ჯგუფის „კონფერენციის“ შესახებ. სწორედ უკანასკნელ დროს ამ ჯგუფმა სასტიკი დამარცხება განიცადა: ის სამარცხვინოდ დამარცხდა ჰამბურგის მუნიციპალურ არჩევნებში და გერმანიის მელითონეთა პროფკავშირის ზოგიერთ ადგილობრივი კომიტეტის არჩევნებში. ამ დამარცხებებთან დაკავშირებით მასლოვის მომხრეები კიდევ უფრო გადაჭრით დაუახლოვდნენ გერმანიის სოც.-დემოკრატიას, რომელსაც ისინი აწვდიან ანტი-კომუნისტურ „საინფორმაციო მასალას“. მასლოვის [illegible] გატეხილი ჯგუფი ცდილობს თავისი აშკარა გადასვლა სოციალ-დემოკრატების ბანაკში დაფაროს მყვირალა ფრაზებით „ჭეშმარიტ“ ლენინიზმის შესახებ (ადს).

ჩეხო-სლოვაკიის მემაღაროეთა გაფიცვა

ჩაშალეს რეფორმისტებმა

პრაღა, 5 მარტი. 4 მარტს ჩრდილო-დასავლეთ ბოჰემიის ყველა იმ რაიონებში, სადაც გამოცხადებული იყო მემაღაროეთა გაფიცვა, შესდგა მუშათა წარმომადგენლების კონფერენციები მრეწველთა და მუშათა წარმომადგენლების მიერ პრაღაში შემუშავებულ შეთანხმების პროექტის განსახილველად. ყველა კონფერენციებმა მხარი დაუჭირა შეთანხმების მიღებას. გაფიცვა ფორმალურად დამთავრებულად ითვლება.

პროფკავშირთა საერთაშორისო საბჭომ (პროფკავშირთა რევოლიუციონური ორგანიზაცია) მიმართა ჩეხო-სლოვაკიის მემაღაროეთ მოწოდებით, რომელშიაც აღნიშნავს, რომ რეფორმისტული ბელადები დაჟინებით ეწეოდნენ გაფიცვის საზიანოდ. მოწოდება მხარს უჭერს უპარტიო კომისიის მიერ შემუშავებულ შეთანხმებას დამტკიცებას და მიზანშეწონილად მიაჩნია ბრძოლის გაგრძელება, ვინაიდან პროფკავშირთა რეფორმისტულმა ბელადებმა დაიკავეს ისეთი პოზიცია, რომ შეეცადნენ ძირშივე ჩაჰკლან შემდგომი ბრძოლის ყოველივე ცდა. მიმართვა მოუწოდებს მუშებს ემზადონ ახალი ბრძოლისათვის სამუშაო ხელფასის მოსამატებლად. ამ ბრძოლის წარმატების პირობად მოწოდებას მიაჩნია დაუყოვნებლივ კავშირის გაწყვეტა პროფკავშირების რეფორმისტულ ხელმძღვანელობასთან.

მემაღაროეთა წარმომადგენლებმა კონფერენციამ კლადნოში, რომელიც მოხდა 4 მარტს, დაავალა მუშათა დელეგატებს განაგრძონ მოლაპარაკება მწარმოებლებთან, ვინაიდან მოლაპარაკების მსვლელობაში გამოირკვა, რომ მწარმოებლები მზად არიან წავიდნენ ახალ დათმობებზე გაფიცვის შესაწყვეტად. კლადნოში მომხდარი კონფერენცია სასტიკად ჰგმობს იმ პოზიციას, რომელიც დაიკავეს სოციალ-დემოკრატმა ლიდერებმა გაფიცვის დროს. (ადს).

ამერიკელი მემაღაროები

რეფორმისტული ბიუროკრატების წინააღმდეგ.

ნიუ - იორკი, 5 მარტი, „მემაღაროეთა კავშირის დამხმარე“ კომიტეტი 1 აპრილს იწვევს მემაღაროეთა სრულიად ამერიკის კონფერენციას. კონფერენციის მიზანია, თავი მოუყაროს კავშირის იმ ბიუროკრატიული ხელმძღვანელობის მოწინააღმდეგეთა ძალებს, რომლის სათავეში იმყოფება ცნობილი რეფორმისტი ლიუისი. კონფერენციაზე მიწვევას ხელს აწერენ მემაღაროეთა კავშირის მთელი რიგი მემარცხენე ბელადები, რომელთა შორის არიან ბროფი, გერგუდი და სხვანი. გერგუდი და მემაღაროეთა კავშირის სხვა პროგრესიული მოღვაწენი 4 მარტს დააპატიმრეს პიტსტონში (პენსილვანია), სადაც ისინი საპროტესტო დემონსტრაციას აწყობდნენ გაფიცვის აქტიურ მონაწილეთა დახოცვის წინააღმდეგ. (ადს).

პოლონეთის სეიმის არჩევნები

არჩევნების მსვლელობა

ვარშავა, 5 მარტი. ვარშავაში არჩევნების შედეგები დამტკიცებულია. სია № 13-ის მეორე დეპუტატათ გავიდა არა სოხაცკი, არამედ მუშა-მშენებელი სიპულა. სოხაცკი სიის პირველ კანდიდატათ არის წამოყენებული დომბროვსკის ქვანახშირის რაიონში, სადაც 6 მანდატიდან სამი კომუნისტებმა მიიღეს. პოლონეთის სოციალისტურ პარტიას იქ არც ერთი მანდატი არ მიუღია.

არჩევნების შესახებ მოდის ცნობები აგრეთვე აღმოსავლეთ განაპირა ოლქებიდან. მოელიან ყველა საარჩევნო სიების გაუქმებას კოველის ოლქში. კრაკოვში პილსუდსკის მომხრეებმა მიიღეს ორი მანდატი, პოლონეთის სოციალისტურმა პარტიამ — 1, ებრაელებმა —1. ვილნოში პილსუდსკის მომხრეებმა მიიღეს 2 მანდატი, „ვიზვოლენიემ“—1, ეროვნულ უმცირესობებმა—1, ენდეკებმა—1. ლიუბლინში 1 მანდატი მიიღო გლეხობის მემარცხენე ჯგუფის „სამოპომოჩის“-ის სიამ. დაახლოებითი გამოანგარიშებების მიხედვით, პილსუდსკის მომხრეებმა სულ მიიღეს 120 მანდატი.

მასები შორდებიან პოლონეთის სოციალისტურ პარტიას და გადადიან კომუნისტებისაკენ

ვარშავა, 5 მარტი. არჩევნების დღეს პოლონეთის სოციალისტური პარტია ფართე აგიტაციის გარდა საარჩევნო ბრძოლაში მიმართავდა აგრეთვე წმინდა ტერორისტულ საშუალებებს. პოლონეთის სოციალისტურ პარტიის რაზმები ავტომობილებით დადიოდნენ მუშათა რაიონებში და თავს ესხმოდნენ იმათ, ვინც ხმას აძლევდა სია № 13-ს, ან აკრიტიკებდა პოლონეთის სოციალისტური პარტიის შეთანხმებლობას. მოკოტოვში მათ რევოლვერით დასჭრეს მუშა ზალესკი; მეორე ადგილას დანით სასიკვდილოდ დასჭრეს იანჩინსკი. პოლიციამ დააპატიმრა პოლონეთის სოციალისტური პარტიის რაზმელი ბოკუსი, რომელმაც დასჭრა ზალესკი.

მიუხედავად იმისა, რომ პოლონეთის სოციალისტური პარტია ყოველნაირ საშუალებებს არ ერიდებოდა საარჩევნო ბრძოლაში, მისი ხმები მაინც შემცირდა წარსულ კომუნალურ არჩევნებთან შედარებით. ვარშავის მთელი პრესა აღნიშნავს მასების ჩამოშორებას პოლონეთის სოციალისტურ პარტიისაგან. „გლოს პრავდი“ გაჯავრებით აცხადებს, რომ „ისეთი სოციალისტური პარტია, რომელსაც არ შეუძლია კომუნისტებთან ბრძოლა, ვერ ასრულებს თავის უმთავრეს როლს“. ამავე დროს მთელი ბურჟუაზიული პრესა მწუხარებით აღნიშნავს, რომ „მუშებს შორის გადამწყვეტ მნიშვნელობას ღებულობენ კომუნისტები“. (ადს).

არჩევნების საბოლოო შედეგები

ვარშავა, 6 მარტი. სეიმის არჩევნების საბოლოო შედეგები ასეთია: მთავრობის სიებმა მიიღო 134 მანდატი, პოლონეთის სოციალისტურმა პარტიამ—63, მუშურ-გლეხური მთლიანობის სიამ, რომელიც არ გაუქმებულა მხოლოდ ზოგიერთ განაპირა ოლქებში,—5 მანდატი. გარდა ამისა, ლოძში წამოყენებულმა სიით, რომელიც მუშურ-გლეხური მთლიანობის პლატფორმაზე იდგა, მიღებულია ორი მანდატი. ოფიციალური, მაგრამ ჯერ კიდევ შეუმოწმებელ ცნობების თანახმად, ზემო სილეზიაში კომუნისტურ პლატფორმაზე მდგომმა სიამ მიიღო ერთი მანდატი. ნაციონალურ უმცირესობათა ბლოკმა მიიღო 56 მანდატი, „ვიზვოლენიეს“ პარტიამ—37, ნაციონალ-დემოკრატებმა—37, პიასტის პარტიის და გლეხ-დემოკრატების ბლოკმა—34, დომსკის გლეხთა კავშირმა—25, ამ კავშირიდან გამოყოფილმა დამოუკიდებელმა ჯგუფმა—8, უკრაინის რადიკალებმა—11, დასავლეთ უკრაინის სიონისტ-ებრაელებმა—6, მემარჯვენე სელრობმა—5, მემარცხენე სელრობმა—4, ბელორუსთა გრომადამ 1 მანდატი, სხვადასხვა ადგილობრივ სიებმა—3 მანდატი. (ადს).

სისხლიანი კვირა მეიდლინგში

ვენა, 5 მარტი. მეიდლინგში (ვენის განაპირა უბანი) კვირას პოლიციასა და ფრონტელების წითელ კავშირს შორის მოხდა სისხლისმღვრელი შეტაკება. ქუჩებში მწყობრად მიდიოდა კავშირის 600 წევრი. პოლიციის პატრულმა მოითხოვა, რათა პროცესის მონაწილენი დაუყოვნებლივ დაშლილიყვნენ. ფრონტელები დაემორჩილენ ამ მოთხოვნილებას, მაგრამ, პატრულის უფროსის აზრით, ისინი, „საკმაოდ სწრაფად“ არ იშლებოდენ. პატრულის უფროსის ბრძანებით, პოლიცია თავს დაესხა პროცესიის მონაწილეებს. მოხდა შეტაკება, რომლის დროს პოლიციამ მიმართა ცივ იარაღს. ორივე მხრიდან ბევრია დაჭრილი. ფრონტელების წითელი კავშირის ერთ-ერთი წევრი მძიმედ არის დაჭრილი. დაპატიმრებულია პროცესიის 7 მონაწილე. (ადს).

საფრანგეთ-ესპანეთის შეთანხმება

ტანჟერის შესახებ

პარიზი, 5 მარტი. ბრიანმა და ესპანეთის ელჩმა პარიზში ხელი მოაწერეს საფრანგეთ - ესპანეთის შეთანხმებას ტანჟერის სტატუტის შეცვლის შესახებ.

საფრანგეთის გარეშე საქმეთა სამინისტროს ცნობით ,შეთანხმება ითვალისწინებს მაროკოს სულთანატის სუვერენულ უფლებებს, მაგრამ სტატუტის ძირითად დებულებებს არ ეხება. საკანონმდებლო კრების, ადმინისტრატორის და საკონტროლო კომისიის წინანდელი უფლებები და პრეროგატივები ძალაში რჩება. სტატუტში შეტანილი ცვლილებები ითვალისწინებს უფრო წარმატებით ბრძოლას საზოგადოებრივი წყობილების წინააღმდეგ მიმართულ მოქმედებასთან. პოლიციის გენერალური ინსპექტორი, შეთანხმების ძალით, უნდა იყოს ესპანელი ოფიცერი. (ადს).

პარტიათა ბრძოლა სამხრეთ-სლავიის პარლამენტში

დემოკრატიული კოალიცია ბოიკოტს უცხადებს პარლამენტს

ვენა, 5 მარტი. სამხრეთ-სლავიიდან მიღებული ცნობებით, დემოკრატიულმა კოალიციამ, რომელიც აერთიანებს სამხრეთ-სლავიის პარლამენტის ოპოზიციონურ ბურჟუაზიულ და გლეხთა პარტიებს, დაადგინა ბოიკოტი გამოუცხადოს პარლამენტს ნიშნად პროტესტისა იმის გამო, რომ სკუპშჩინის (პარლამენტის) თავმჯდომარემ მიუდგომლობა არ გამოიჩინა მათ მიმართ.

ამ დადგენილების უშუალო საბაბი იყო რადიჩის გამორიცხვა სამი სხდომიდან; რადიჩის გამორიცხვა მოხდა წარსულ კვირაში მთავრობისა და ოპოზიციონურ დეპუტატებს შორის მომხდარ ხელჩართული ჩხუბის შემდეგ, როცა პარლამენტი იხილავდა რადიჩის მიერ შეტანილ შეკითხვას წამებისა და ბოროტმოქმედებათა შესახებ ბელგრადის სა-პოლიციო ციხეში. დემოკრატიულმა კოალიციამ ნიშნად პროტესტისა რადიჩის გამორიცხვის წინააღმდეგ, სრული შემადგენლობით დასტოვა მაშინ პარლამენტი და მის სხდომებს აღარ დასწრებია რადიჩის გამორიცხვის მთელი ხნის განმავლობაში.

ამ ხნის გასვლის შემდეგ დემოკრატიული კოალიცია კვლავ გამოცხადდა პარლამენტის სხდომაზე. კოალიციის სახელით პრიბიჩევიჩმა წაიკითხა დეკლარაცია, რომელშიაც კოალიცია მოითხოვს პერიჩის გადადგომას და აცხადებს, რომ სანამ პერიჩი დარჩება პარლამენტის თავმჯდომარედ, დემოკრატიული კოალიცია მონაწილეობას არ მიიღებს არავითარ ფრაქციათაშორისო თათბირებში მთავრობის პარტიებთან ერთად, და მონაწილეობას არ მიიღებს პარლამენტის არც ერთ სხდომაზე. მაგრამ ამ გადაწყვეტილების განხორციელება დროებით გადადებულია „განსაკუთრებულ სახელმწიფოებრივი მოსაზრებით“. რადიჩს და პრიბიჩევიჩს დავალებული აქვთ გამოარკვიონ ის მომენტი, როცა დემოკრატიულმა კოალიციამ უნდა შესწყვიტოს პარლამენტის სხდომებზე დასწრება (ადს).

ამერიკელი ტროცკისტი

ბურჟუაზიის ინფორმაცია

ნიუ-იორკი, 5 მარტი. ერთ-ერთი ამერიკელი ტროცკისტი მაკ ისტმენი გამოვიდა ჟურნალ „ახალი მასები“-ს რედაქციის შემადგენლობიდან. („ახალი მასები“ არის კომპარტიის თანამგრძნობ ინტელიგენციის ორგანო). ისტმენის გამოსვლა რედაქციის შემადგენლობიდან გამოწვეულია იმით, რომ მას რედაქციამ უარი უთხრა გამოექვეყნებინა პროპაგანდისტული წერილები ტროცკისტულ ოპოზიციის სასარგებლოდ. ამჟამად ისტმენი ყოველნაირად ცდილობს მოიპოვოს ლიბერალურ ბურჟუაზიის დახმარება და აწვდის ბურჟუაზიის პრესას ოპოზიციონურ „მასალებს“.

ამიერ-კავკასიის მეოთხე მოწვევის
ცაკის მესამე სესია
შესდგება 1928 წ. 12 მარტს
აზერბეიჯანის სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის
ქალ. ბაქოში

დღის წესრიგი:

1. ბაქოს მუშათა, წითელარმიელთა, გლეხთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოს მოხსენება; მომხ. ამხ. **კონუშკინი**,
2. აზნავთის მოხსენება; მომხს. ამხ. **ბარინოვი**.
3. მებამბეობის შესახებ; მომხს. ამხ. **ბუნიატ-ზადე**.
4. ა. კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის მთლიან სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ; მომხ. ამხ. **მუსაბეკოვი**.
7. თანამომხსენებელი—ა. კ. ცაკის საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ამხ. **ა. ნაზარეტიანი**.
5. დებულება ა. კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის და მასში შემავალ რესპუბლიკების საბიუჯეტო უფლებების შესახებ მოხს. ამხ. **შ. ელიავა**.
6. ამიერ-კავკასიის ცაკის პრეზიდიუმის მიერ ა. კ. მეოთხე მოწვევის ცაკის პირველ და მესამე სესიებს შორის მიღებულ დეკრეტების და დადგენილებათა დამტკიცების შესახებ; მომხ. ამხ. **ა. შავერდოვი**.

ამხანაგებმა, რომლებიც ბაქოში მიემგზავრებიან სესიაზე, კვირას, 11 მარტს, ღამის სრულ თერთმეტ საათზე და 15 წ. (თბილისის დროით) თავი უნდა მოიყარონ სადგურში (სადარბაზო ოთახებში).

ა. კ. ცაკის მდივანი ა. შავერდოვი

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკანასკნელი ცნობები

ამხ. ტერ-გაბრიელიანის ჩამოსვლა

6 მარტს მოსკოვიდან თბილისში ჩამოვიდა ა.-კ. ს. ფ. ს. რ. მთავრობის წარმომადგენელი საკავშირო მთავრობასთან ამხ. ს. ტერ-გაბრიელიანი.

კომუნისტები იმარჯვებენ მუშათა რაიონებში

ვარშავა, 6 მარტი. პოლონეთის სოციალისტური პარტიის დამარცხების გამო ქალაქებში, სეიმში ვერ გავიდნენ პეპესოველების ისეთი კანდიდატები, როგორიც დიამანდი, ლიბერმანი და გაუხნერია, დომბროვის რაიონში ხმების საბოლოოდ დათვლის შემდეგ პეპესოველებს ხვდა ერთი მანდატი, რომელიც წინად წინასწარი გამოანგარიშებით პილსუდსკის მომხრეებს მიაკუთვნეს. ამ რიგად დომბროვის რაიონის 6 მანდატიდან 3 მანდატი მიიღეს კომუნისტებმა, 2 პილსუდსკის მომხრეებმა და ერთი პოლონეთის სოციალისტურმა პარტიამ. (ადს).

საარჩევნო ტერორი პოლონეთში

ვარშავა, 6 მარტი. მემარცხენე მუშურ-გლეხური სეიმის საარჩევნო კამპანია სისტემატიური ტერორის ქვეშ ტარდებოდა. 64 საარჩევნო ოლქიდან სია № 13 დამტკიცებულ იქნა მხოლოდ 13 ოლქში. პოლონეთის სოციალისტური პარტიის მემარცხენე ფრთის (ლევიცა) სია დამტკიცებულ იქნა მხოლოდ 9 ოლქში. „გლეხური ძალის" სია სრულიად გააუქმეს. დანარჩენ მემარცხენე სიებიდან დარჩა მხოლოდ შვიდი. მემარცხენე „სელრობის" სია დამტკიცებულ იქნა მხოლოდ შვიდ ოლქში ბელორუსთა მემარცხენე გლეხურ ორგანიზაციების სიები თითქმის ყველგან გააუქმეს. დარჩენილმა ორმა სიამ ნოვოგრუდსკსა და ლიდში ბელორუსთა გრომადას ხუთი მანდატი მისცა. საარჩევნო ტერორი განსაკუთრებით გამეფებული იყო პოლონეთის აღმოსავლეთ განაპირა კუთხეებში და დასავლეთ უკრაინაში. როგორც მემარჯვენე, ისე მემარცხენე სელრობის" მთავარი ხელმძღვანელები ვარშავაში საარჩევნო კამპანიის დროს დააპატიმრეს და გადაგზავნეს ციხეში 20 დღით ადრე. (ადს).

სეიმის მემარცხენე დეპუტატები

ვარშავა, 6 მარტი. მემარცხენე მუშურ-გლეხური სიებით ახალ სეიმში გავლენ შემდეგი პირები: ვარშავიდან—№ 13 სიით—ვარსკი და სიპულა, დომბროვის რაიონიდან № 13 სიით—სოხაცკი, პოჩინსკი და გავრონი, ლოძიდან—მუშურ-გლეხური გაერთიანების სიით—ბიტნერი და სოსიაკი, ნოვოგრუდკში ბელორუსთა გაერთიანების მემარცხენე გლეხური სიით სეიმში გავლენ კოგანოვიჩი, სავონინი და დვორჩანინი, იმავე სიით გადიან დანკევიჩი და ვოლინეცი, ლიუბლინის ოლქიდან გლეხური ჯგუფის—„სამოპომოჩ"-ის სიით—ოლსოვიჩი. მემარცხენე „სელრობი" დან გადიან ბაინიცკი და ზარნიცკი. (ადს).

მემარცხენე ორგანიზაციების გათიშვამ გავლენა მოახდინა არჩევნებზე

ვარშავა, 6 მარტი მუშურ-გლეხური ორგანიზაციების გათიშვამ დასავლეთ უკრაინაში დამღუპველი გავლენა იქონია არჩევნების შედეგებზე. ორ მუშურ-გლეხური სიისა და ორი სელრობის შეჯიბრება ხშირად მკაცრი პოლემიკის ხასიათს ღებულობდა. განსაკუთრებით სასტიკად ილაშქრებდა მემარჯვენე სელრობი დანარჩენ მუშურ-გლეხური სიების წინააღმდეგ. (ადს).

ევგენი ლანდლერის ნეშტის დაწვა

პარიზი, 5 მარტი. 3 მარტს პარიზის აურაცხელი მუშების და უნგრეთის ემიგრანტების თანდასწრებით კრემატორიუმში დაწვეს კანიდან ჩამოსვენებული ევგენი ლანდლერის (უნგრეთის ყოფილი სოციალისტური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა კომისარი და უნგრეთის ყოფილ წითელი არმიის მთავარსარდალი) გვამი. ნეშტი გაიგზავნება მოსკოვში (ადს).

6 პომერანელი მუშის საქმე

ბერლინი, 5 მარტი. ლეიპციგის უზენაეს სასამართლოში დამთავრდა საქმე 6 პომერანელი მუშისა, რომელთაც ბრალდებათ „სახელმწიფო ღალატის მზადება" და ასაფეთქებელ ნივთიერებათა შენახვა. მთავარ ბრალდებულს მიუსაჯეს 6 წლის კატორღა, დანარჩენებს ციხე სხვადასხვა ვადით. ბრალდებულთა დანაშაული მდგომარეობს იმაში, რომ 1923—24 წელს, მათ წინააღმდეგობა გაუწიეს ფაშისტების შეიარაღებულ გამოსვლას (ადს).

ამხ. ლიტვინოვის დეპეშა ერთა ლიგას

მოსკოვი, 6 მარტი. საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილემ ამხ. ლიტვინოვმა 6 მარტს ერთა ლიგის გენერალურ მდივანს გაუგზავნა შემდეგი დეპეშა: „ოსმალეთის როლის მნიშვნელობის გამო მსოფლიო პოლიტიკაში, და აგრეთვე ოსმალეთის გეოგრაფიული მდგომარეობის გამო, საბჭოთა კავშირის დელეგაცია ფიქრობს, რომ განიარაღების კონფერენციის მოსამზადებელი კომისიის მუშაობა დიდათ მოიგებდა, თუ აღნიშნულ კომისიაში ოსმალეთის რესპუბლიკა მიიღებდა მონაწილეობას, ამიტომ საბჭოთა კავშირის დელეგაცია ნებას აძლევს თავის თავს შემოიტანოს წინადადება ოსმალეთის მოწვევის შესახებ ამ კომისიაში მონაწილეობის მისაღებად მისი უახლოესი სესიიდან. გთხოვთ მაცნობოთ, თუ რა შედეგი მოჰყვება ჩვენ წინადადებას". (ადს).

იტალიელ ემიგრანტების გაზეთის დახურვა პარიზში

პარიზი, 5 მარტი. „ჰუმანიტე"-ს ცნობით, პარიზში საფრანგეთის ხელისუფლებამ დახურა იტალიის ემიგრაციის ორგანო „ვერიტა" გასტონ სოცის სიკვდილის შესახებ მამხილებელ ცნობების გამოქვეყნებისათვის. (სოცი იყო იტალიელი კომკავშირელი, რომელიც წარსული წელს დააპატიმრეს ანტიმილიტარისტულ მუშაობისათვის და ჩასვეს პერუჯის ციხეში, სადაც ის მოკლულ იქნა ციხის ადმინისტრაციის მიერ, რომელმაც საქმის მდგომარეობა ისე დახატა, რომ თითქოს ადგილი ჰქონდა თვითმკვლელობას). „ვერიტა" დახურეს იტალიის პარიზელი ელჩის მოთხოვნით.

საფრანგეთის კომპარტიის პოლიტბიურომ გამოაქვეყნა მიმართვა საფრანგეთის მუშებისა და იტალიის ემიგრანტებისადმი, რომელშიაც მკიცხავს ფაშიზმის ახალ ბოროტმოქმედებას. პარიზში მოეწყო „სოცის კომიტეტი", რომელიც მიზნად ისახავს სოცის მკვლელობის საქმის გამოძიებას. (ადს)

მღელვარება ვენესუელაში

ვაშინგტონი, 5 მარტი. გამოქვეყნებულია ამერიკის საელჩოს (ვენეცუელაში) ოფიციალური ცნობები, რომლებიც შემდეგნაირად აშუქებს ვენეცუელაში*) მომხდარ უკანასკნელ ამბებს.

14 თებერვალს ვენეცუელაში გაიმართა სტუდენტთა დემონსტრაცია, რომელიც მიმართული იყო მთავრობის წინააღმდეგ და რომელიც დამთავრდა 10 კაცის დაპატიმრებით. შემდგომ კვირაში დემონსტრაცია განახლდა და კიდევ იქნა დაპატიმრებული 200 სტუდენტი, რის შემდეგაც საპროტესტო გაფიცვა დაიწყო ტელეფონზე, ტრამვაიზე და დოკებში.. მიმოსვლა შესწყდა. მოხდა რამოდენიმე შეტაკება, რომლის დროსაც მოკლულ და დაჭრილ იქნა რამოდენიმე პოლიციელი და კერძო მოქალაქე. მთავრობამ გამოსცვალა პოლიციის ყველა უფროსები და მეტად მკაცრი ცენზურა შემოიღო (ადს).

---

*) ვენეცუელა პატარა რესპუბლიკაა სამხ. ამერიკაში.

ჩემბერლენი პარიზში

პარიზი, 5 მარტი. ჟენევაში გამგზავრების დროს ჩემბერლენი შეჩერდა პარიზში, სადაც თათბირი ქონდა ბრიანთან და ესპანეთის ელჩთან პარიზში. პრესის ცნობით, თათბირზე შეეხენ საფრანგეთ - ესპანეთის შორის ტანჟერის შესახებ დადებულ შეთანხმების რატიფიკაციას ინგლისის მიერ და ერთა ლიგაში ესპანეთის დაბრუნების შესაძლებლობის საკითხს. (ადს).

გერმანელ მენშევიკების

ყრილობის გადადება

ბერლინი, 5 მარტი. გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცეკამ დაადგინა ამ წელში არ მოიწვიოს პარტიული ყრილობა. ამ დადგენილებას ასაბუთებდნენ იმით, რომ მომავალი საარჩევნო კამპანიის გამო „უფრო მეტად სასარგებლოდ" შეიძლება იქნას გამოყენებული დრო და ფული. (ადს).

საბჭოთა კავშირში

„ალკანტარას" დაღუპვის გარშემო

ლენინგრადი, 6 მარტი. ხომალდის „ტოვარიშჩ"-ის მეზღვაურთა ლენინგრადში მცხოვრებმა ნათესავებმა დღეს მიიღეს პირველი წერილები მომხდარ დაჯახების შესახებ. ირკვევა, რომ იტალიის გემ „ალკანტარა"-სთან დაჯახების დროს „ტოვარიშჩი" სერიოზულად დაზიანდა, მაგრამ არ ჩაიძირა მხოლოდ იმიტომ, რომ ხომალდში წყალი ვერ შეიჭრა. „ალკანტარა"-დან მხოლოდ ერთი კაცი გადარჩა. „ალკანტარა" ერთ წუთში ჩაიძირა. (ადს).

აფეთქება იჟორის ქარხანაში

ლენინგრადი, 6 მარტი. 6 მარტს, დაახლოვებით დილის 10 საათზე იჟორის ქარხნის ელექტრო - სადგურზე კოლპინოში მოხდა 3.000 კილოვატიან გენერატორის აფეთქება, რის გამო ელექტრო - სადგურს ცეცხლი გაუჩნდა. ქარხანა და ქალაქი კოლპინო დროებით უსინათლოდ დარჩენ. (ქარხნის სადგური აწვდიდა სინათლეს ქალაქს).

ხანძრის ჩასაქრობად ლენინგრადიდან ოქტომბრის რკინისგზით სპეციალური მატარებლით გაემგზავრა ცეცხლის მქრობელთა რამდენიმე რაზმი. ელექტრო - სადგურის შენობაში დადგმული ორი სათადარიგო გენერატორი, როგორც სჩანს, არ დაზიანებულა. თუ ეს გენერატორები არაა დაზიანებული, მაშინ ქარხანა შესძლებს მუშაობის განახლებას დაახლოვებით ორი კვირის შემდეგ. სულ იჟორის ქარხანაში ამ ჟამად 4.500 კაცი მუშაობს (ადს).

მაქსიმოვის და სხ. საქმე

არტემოვსკი, 6 მარტი. საოლქო პარტკოლეგიამ, განიხილა რა პარტიის წევრთა—არტემოვსკის საოლქო მილიციის ყოფილი უფროსის მაქსიმოვის, საოლქო მილიციის სამოსწავლო რაზმის ყოფ. უფროსის ფომენკოს და ქალაქის მილიციის ყოფილი უფროსის შილინის საქმე, დაადგინა გამორიცხულ იქნან პარტიის რიგებიდან შილინი და ფომენკო. მაქსიმოვს გამოეცხადა სასტიკი საყვედური გაფრთხილებით; ამასთანავე ერთი წლით აეკრძალა საპასუხისმგებლო თანამდებობის დაჭერა მილიციის ორგანოებში. (ადს).

მოლაპარაკე კინო

მოსკოვი, 6 მარტი. მოსკოვის 1-ლი სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკურ ინსტიტუტში ნაჩვენები იქნა საბჭოთა მეცნიერების აღმოჩენა—მოლაპარაკე კინო. აპარატს ბევრი უპირატესობანი აქვს საზღვარგარეთის აპარატთან შედარებით, არ მოითხოვს მაღალი ჭიმვის დენის წყაროებს და საშუალებას იძლევა პატარა აპარატით იქნას გამოყენებული მშრალი ელემენტები. აპარატი იწონის 6 კილოგრამს. ყოველი კინო-აპარატი მცირეოდენი ცვლილებებით შეიძლება გადაკეთებულ იქნას მოლაპარაკე კინოდ. მცირეოდენი გაუმჯობესებების შემდეგ აპარატი შეიძლება გამოყენებულ იქნას მასიურ მასშტაბით (ადს).

კინო-თათბირი გადადებულია 15 მარტისათვის

მოსკოვი, 6 მარტი საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება იუწყება იმ ორგანიზაციების საყურადღებოდ, რომლებიც მიწვეული არიან სააგიტაციო-საპროპაგანდო თათბირზე, რომ ეს თათბირი 15 მარტიდან გადატანილია 20 მარტისათვის, ყველა იმ ორგანიზაციების საყურადღებოდ კი, რომლებიც მოწვეული არიან კინო თათბირზე, — რომ კინო თათბირი გადატანილია 10-დან 15 მარტისათვის. (ადს).

ამხ. მიხაილოვ-პოლიტიკუსის გარდაცვალება

მოსკოვი, 6 მარტი. ფილტვების ანთებით გარდაიცვალა ძველ ბოლშევიკთა საზოგადოების მდივანი ამხ. მიხაილოვი (პოლიტიკუსი).

ამხ. მიხაილოვი 1905 წელში მონაწილეობას იღებდა დეკემბრის აჯანყებაში მოსკოვში. იმპერიალისტური ომის დაწყებიდან ამხ. მიხაილოვი მუშაობდა პეტროგრადში. 1917 წელში იგი არჩეულ იქნა კომპარტიის პეტერბურგის კომიტეტის თავმჯდომარედ. ამავე წელში იგი არჩეულ იქნა ვიბორგის რაიონის „წითელ ქალაქის თავად". 1922—23 წელში ამხ. მიხაილოვი მუშაობდა გარეშე საქმეთა სახ. კომისარიატში — პირველად საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლად ნორვეგიაში და შემდეგ გარეშე საქმეთა სახ. კომისარიატის რწმუნებულად შუა აზიაში (ადს).

საქარ. ძველ ბოლშევიკთა საზოგადოების სამძიმარის დეპეშა

ძველ ბოლშევიკთა საზოგადოების პასუხისმგებელ მდივნის ამხ. ლევ მიხეილის ძე მიხაილოვის გარდაცვალების გამო, საქართველოს ძველ ბოლშევიკთა საზოგადოების ბიურომ გუშინ, საღამოს ძველ ბოლშევიკთა საზოგადოების სახელზე მოსკოვში გაგზავნა შემდეგი სამძიმრის დეპეშა:

„საქართველოს ძველ ბოლშევიკთა საზოგადოება ღრმა მწუხარებას გამოსთქვამს ძველ ბოლშევიკთა მდივნის და ძვირფასი ამხანაგის ლევ მიხაილოვის გარდაცვალების გამო. ეხლახან დაარსებულმა საქართველოს ძველ ბოლშევიკთა საზოგადოებამ ამხ. მიხაილოვის სახით დაკარგა საუკეთესო ხელმძღვანელი და ძველი მებრძოლი ბოლშევიკი".

ამხ. კლარა ცეტკინის მიმართვა

მოსკოვი, 6 მარტი. ამხ. კლარა ცეტკინი თავის მიმართვაში მუშა და გლეხ-ქალებისადმი, ქალთა საერთაშორისო დღის გამო სწერს: „საზღვარგარეთის ქვეყნების მშრომელი ქალები სიამაყით და აღფრთოვანებით ადევნებენ თვალყურს, თუ როგორი თავგანწირვით, ერთგულებით, რკინისებური სიმტკიცით და ენერგიით, დიდ სიძნელეთა გადალახვით, აშენებთ თქვენ სოციალისტურ მეურნეობას საბჭოთა კავშირში და ამრიგად მონაწილეობას იღებთ მსოფლიო რევოლიუციის მომზადებაში. ყველა კაპიტალისტურ ქვეყნების მშრომელი ქალები ფხიზლად ადევნებენ თვალყურს თავის მთავრობათა სამხედრო მზადებას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ და მზად არიან ყოველ წუთში აგაშორონ თქვენი ქვეყნის წინააღმდეგ აღმართული ბოროტმოქმედი ხელი და გასწირონ თავისი სიცოცხლე, რათა არ დაუშვან თავდასხმა საბჭოთა კავშირზე. ქალთა საერთაშორისო კომუნისტურ დღეს ათასეულ კრებებზე მძლავრად გაისმის სიმართლე იმ ასეულ მუშათა დელეგაციების მონაწილე ქალების პირით, რომლებმაც ინახულეს საბჭოთა კავშირი, სიმართლე საბჭოთა კავშირის მილიონიან მასების უდიდეს შემოქმედებითი მუშაობის შესახებ".

მ. გორკის იუბილეს აღსანიშნავი საღამო

მოსკოვი, 6 მარტი. კუსმისტეროვის სახელობის მუშათა კლუბში შესდგა კომკავშირის მოსკოვის ორგანიზაციის მიერ მოწყობილი საღამო, რომელიც მიძღვნილი იყო მაქსიმ გორკის იუბილეისადმი. საღამოს დაესწრო 2.500 კაცი. საზეიმო სხდომის პრეზიდიუმში არჩეულ იქნენ ბუხარინი, ლუნაჩარსკი, ხალატოვი და სხვ. პრეზიდიუმის საპატიო წევრად არჩეულ იქნა მაქსიმ გორკი, რასაც მთელი დარბაზი მხურვალე ტაშით შეხვდა. ამხ. ხალატოვის შესავალი სიტყვის შემდეგ მოხსენება გორკის შესახებ გააკეთა ამხ. ბუხარინმა.

გორკის იუბილეის აღსანიშნავად კრებამ დაადგინა მისი სახელი უწოდოს 1-ლი უნივერსიტეტის ლიტერატურულ განყოფილებას და საუკეთესო ბიბლიოთეკას. მაქსიმ გორკის მიენიჭა სახალხო მწერლის სახელი. კრებამ სახელით გორკს გაუგზავნა მისასალმებელი წერილი (ადს).

ლენინგრადის ოლქის პროფკავშირების ყრილობა

ლენინგრადი, 6 მარტი. დღეს, მოსკოვ-ნარვის რაიონის კულტურის სახლში მოხდა პროფკავშირების პირველი საოლქო ყრილობის საზეიმო გახსნა. ყრილობას ესწრება 800-დე დელეგატი და 1000 მეტი სტუმარი. ყრილობის საპატიო პრეზიდიუმში არჩეულია საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას პოლიტბიურო სრული შემადგენლობით, კლარა ცეტკინი და ნ. კ. კრუპსკაია.

საზეიმო სხდომაზე ყრილობამ მოისმინა მისალმებები. პირველი სიტყვა მიეცა საკავშირო კომპარტიის (ბ) საოლქო კომიტეტის მდივანს — ამხ. კიროვს, რომელსაც ყრილობა მქუხარე ოვაციით შეხვდა. შემდეგ ყრილობას ესალმება ლენინგრადის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. კონდრატიევი.

ყრილობის გახსნას დაესწრო განათლების სახალხო კომისარი ამხ. ლუნაჩარსკი, რომელიც არჩეულ იქნა ყრილობის პრეზიდიუმში. ამხ. ლუნაჩარსკიმ წარმოსთქვა ვრცელი მისასალმებელი სიტყვა მრავალ ასეულ ათას განათლების მუშაკთა სახელით. ყრილობამ ამხ. ლუნაჩარსკის მხურვალე და ხანგრძლივი ოვაცია გაუმართა.

შემდეგ მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ ფინეთის პროფკავშირების მდივანი ტუომინენ, წითელი არმიისა და წითელი ფლოტის წარმომადგენლები და სხვ. (ადს).

სრ. საქ. მწერალთა მეორე ყრილობა

ყრილობის გახსნა

ამხ. ს. თოდრიას სიტყვა

გუშინ, ხელოვანთა სასახლეში გაიხსნა სრულიად საქართველოს მწერალთა მეორე ყრილობა. ყრილობა გახსნა საქ. მწერალთა კავშირის თავმჯდომარე ამხ. ს. თოდრიამ შემდეგი სიტყვებით: ორი წლის შემდეგ მეორედ იკრიბება საქართველოს მწერალთა ყრილობა. საქართველოს მწერალთა კავშირს ამ ხნის განმავლობაში შედარებით უფრო მშვიდობიან პირობებში მოუხდა მუშაობა. პირველი ყრილობიდან დღემდე ჩვენ ბევრი რამ საქმე გვქონდა გასაკეთებელი. ჩვენ შეძლების დაგვარად, თუ სრული ასი პროცენტით არა, 50 პროცენტით მაინც შევასრულეთ ჩვენი სამუშაო გეგმა ყრილობის მიერ მოცემული დავალებების მიხედვით. დღევანდელი ყრილობის ამოცანაა ჯამი გაუკეთოს ორი წლის ნამუშევარს, მიუდგომლად შეაფასოს იგი და მისცეს მუშაობის ახალი გეგმა ქართულ მწერალთა კავშირის ახალ ორგანოს.

შემდეგ ყრილობამ ფეხზე ადგომით პატივი სცა გარდაცვლილ მწერლების — კ. მაყაშვილის, გაჩანას, შ. არაგვისპირელის, ს. მგალობლიშვილის, ვასო აბაშიძის, არტ. ლეისტის, აკაკი ბერეკაშვილის და ილია ქუჩიას ხსოვნას.

ყრილობა ირჩევს საპატიო და საქმიან პრეზიდიუმს, სამდივნოს, სამანდატო და სარედაქციო კომისიებს.

საპატიო პრეზიდიუმი

საპატიო პრეზიდიუმში არჩეული არიან შემდეგი ამხანაგები: სტალინი, რიკოვი, ბუხარინი, ლუნაჩარსკი, ორჯონიკიძე, ენუქიძე, ფ. მახარაძე, მ. ცხაკაია, მამია ორახელაშვილი, შ. ელიავა, ლ. ქართველიშვილი, მ. კახიანი, ბარბიუსი, მაქსიმ გორკი, ვ. ბარნოვი, დავით კლდიაშვილი, მოლლა-ზადე და თეიმურ გუსეინოვი.

ყრილობის საქმიანი პრეზიდიუმი

ყრილობის საქმიან პრეზიდიუმში არჩეული არიან: ს. თოდრია, ს. მამულია, დ. კანდელაკი, ს. აბაშელი, გ. რობაქიძე, მ. ჯავახიშვილი, ს. ეული, დ. შენგელაია, პ. ინგოროყვა, შ. დადიანი, ბ. ბუაჩიძე, პ. იაშვილი, ი. გრიშაშვილი, ს. ჩიქოვანი, კ. კაპანელი, ტ. ტაბიძე, ნ. ლორთქიფანიძე, კ. ლორთქიფანიძე, არ. ჭუმბაძე, გ. მუშიშვილი, ა. ვართანიანი; სამდივნოში: ა. მაშაშვილი, შ. აფხაიძე, ხ. მოსაშვილი, ბ. აბულაძე, ს. ვარდოშვილი; სამანდატო კომისიაში: ვ. რუხაძე, რ. გვეტაძე, ვ. გორგაძე, სტ. კახიაძე, ხოშტარია; სარედაქციო კომისიაში: ნ. მიწიშვილი, დ. რონდელი, და მარიჯანი.

დღის წესრიგის დამტკიცების შემდეგ მოსმენილ იქნა:

ამხ. ფ. მახარაძის მოხსენება

კულტ. რევოლიუცია და საბჭოთა მწერლობის ამოცანები

თავის მოხსენების შესავალში ამხ. ფილიპე მახარაძე ვრცელ მიმოხილვას უკეთებს იმ საერთაშორისო და შინაურ პოლიტიკურ - ეკონომიურ პირობებს, რომელშიაც განვითარება უხდება საბჭოთა რესპუბლიკებს. ძალთა განწყობილება ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში ისევ რჩება, როგორც ამ ორი წლის წინად იყო. მწვავდება ურთიერთობა როგორც ცალკე ბურჟუაზიულ რესპუბლიკებს შორის, ისე ბურჟუაზიულ სახელმწიფოებსა და საბჭოთა კავშირს შორის. მტრულ პოლიტიკას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ წინანდებურად მეთაურობს ინგლისი, რომელიც იმდენად უფრო მტრულ განწყობილებას იჩენს პროლეტარიატის დიქტატურის ქვეყნის მიმართ, რამდენადაც უფრო მტკიცდება მისი სამეურნეო და პოლიტიკური მდგომარეობა. ინგლისის ბურჟუაზიას ისე, როგორც სხვა ქვეყნების ბურჟუაზიას კარგად ესმის, რომ საბჭოთა ქვეყნის წარმატება და წინმსვლელობა სამეურნეო და კულტურულ ფრონტებზე მოასწავებს კაპიტალისტურ ქვეყნებისათვის ძირის გამოთხრას და მათ აღსასრულს.

მართლაც, საბჭოთა კავშირის ეკონომიური ძლიერება წლიდან - წლამდე უფრო და უფრო მტკიცდება. არც ერთ ბურჟუაზიულ ქვეყანას არ ემჩნევა ისეთი მატება სახალხო დოვლათისა, როგორც საბჭოთა ქვეყანას. მაგალითად, თუ ინგლის - გერმანიის ეროვნული სიმდიდრის მატება 1-3 პროცენტით განისაზღვრება, ჩვენი ქვეყნის სახალხო სიმდიდრეს ყოველ წლიურად 11 პროცენტზე მეტი ემატება. სწრაფი ტემპით მიმდინარეობს ფაბრიკა-ქარხნების არა თუ აღდგენა, არამედ მათი სრული გარდაქმნა - რეკონსტრუქცია, რომელიც საფუძვლად ედება სოციალისტური მეურნეობის განვითარებას ჩვენს ქვეყანაში. ამ ეკონომიურ აღორძინებასთან ერთად იზრდება საბჭოთა ქვეყნის კულტურა, მისი მეცნიერება და ტეხნიკა, რომელსაც, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან ექცევა დიდი ყურადღება.

მაგრამ დღეს, როდესაც ჩვენ შეუდექით ჩვენი მეურნეობის გარდაქმნას ახალ ტეხნიკურ საფუძველზე, კულტურული რევოლიუციის ამოცანები უფრო გარკვევით წამოიჭრენ ჩვენს წინაშე. ჩვენი სახალხო მეურნეობის განვითარება იმ სახითა და იმ ფორმით, როგორც საბჭოთა ხელისუფლებას სურს, ყოვლად შეუძლებელია, თუ სამეურნეო მშენებლობაში ჩაბმული არ იქნა მშრომელთა ფართო მასები, რომელნიც აქტიობას და ნაყოფიერებას გამოიჩენენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღჭურვილი იქნებიან სათანადო ცოდნით და მომზადებით ამგვარად, მათი კულტურული დონის ამაღლება უშუალოდ უკავშირდება ჩვენი ქვეყნის სამეურნეო განვითარებას. კულტურული რევოლიუცია პოლიტიკურ რევოლიუციაზე ნაკლებ ძნელი საქმე არ არის. მის განხორციელებას სჭირდება დიდი დრო. მან ფართო პოლიტიკურ და სამეურნეო მოღვაწეობის ასპარეზზე უნდა გამოიყვანოს მანამდე დაჩაგრული და დაბეჩავებული მშრომელი მასები, მხოლოდ ამ დიდი ამოცანის გადაწყვეტით შეიძლება უზრუნველყოფილი იქნეს ჩვენი ქვეყნის სამეურნეო და პოლიტიკური წინმსვლელობა.

ბრძოლა კულტურულ ფრონტზე უკვე კაი ხანია დაწყებულია. და ჩვენ ამ მხრივ შეგვიძლია ვიამაყოთ მიღწევებით. ჩვენ საგრძნობლად შევამცირეთ წერა-კითხვის უცოდინართა რიცხვი. თავი რომ დავანებოთ განათლების სახალხო კომისარიატის მუშაობას, ამ ფრონტზე ჩვენში წარმატებით ბრძოლას აწარმოებს პარტიული, პროფესიონალური ორგანიზაციები და მრავალი საზოგადოებრივი დაწესებულებები. თვით წითელი ჯარი დღეს წარმოადგენს უდიდეს კულტურულ ორგანიზაციას, რომელიც ათასობით ამზადებს სოფლელ ახალგაზრდობას და აწვდის ჩვენ სოფელს კულტურულ მუშაკებს. შედეგები დღეს უკვე თვალსაჩინოა. თვით ისეთი ჩამორჩენილ მაზრას, როგორიც არის ახალქალაქის მაზრა, დღეს აქვს მრავალი კულტურულ-განმანათლებელი დაწესებულება და ის ადგია კულტურული წინმსვლელობის გზას. ჩვენ მუშაობას აქვს ნაკლი, მაგრამ უმთავრესი სიძნელე დაძლეულია, დღეს ჩვენ შეგვიძლია ვიამაყოთ იმით, რომ გვაქვს მასიური კულტურული მოძრაობა. თვით ის ფაქტი, რომ საგლეხო გაზეთის ტირაჟი ჩვენში 60.000 ცალს აღწევს, მოწმობს ჩვენს დიდ კულტურულ წარმატებას.

რამდენიც არ უნდა ამტკიცონ საბჭოთა ხელისუფლების მტრებმა, თითქოს მუშურ-გლეხური ხელისუფლება ბორკავდეს ქვეყნის სასიცოცხლო ძალებს, მიზანს ვერ მიაღწევენ: ვინც ჩვენს სინამდვილეს აკვირდება, მისთვის უდავო და აშკარაა, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ სამოქმედო სარბიელზე გამოიყვანა მუშები და გლეხები, აღჭურვა ისინი ცოდნით და ფართო ასპარეზი მისცა ხალხის სასიცოცხლო ძალებს, მის შემოქმედებას. ყოველი ყრილობა, ყოველი კონფერენცია, თათბირი, თუ კრება, მაჩვენებელი არის იმის, რომ ჩვენი ქვეყნის მომავალს ქმნის და სჭედს დაბალი ფენებიდან მოსული მშრომელი ხალხი. ამ ექვსი თვის წინად მოწვეული დეპუტატ ქალთა ყრილობა, რომელზედაც გამოდიოდენ და ლაპარაკობდენ ჩვენი სოფლის მშრომელი დედაკაცები, — აშკარა მაჩვენებელი იყო იმის, თუ რა დიდ მოვლენას აქვს ადგილი ჩვენს ცხოვრებაში ამ უკანასკნელ ხანებში, სამწუხაროდ, ამ შესანიშნავ მოვლენას ჩვენში ბევრი ვერ ხედავს, ვერ განიცდის და ვერ აფასებს მის მნიშვნელობას.

ჩვენი მიზანია გავაღრმავოთ ეს დიდი პროცესი, გავაძლიეროთ მასსიური - კულტურული მოძრაობა. ჩვენ გვინდა მასსების კულტურულ აღორძინებისათვის წარმოებულ მუშაობაში ჩავაბათ ყველა ძალები, ყველა ელემენტები. ამ მუშაობის გარეშე ვერ დარჩება ვერც ერთი, ვისაც ჩვენი სოციალისტური ქვეყნის წარმატება სწადია. ამ მუშაობას გვერდს ვერ აუვლის, რასაკვირველია, ჩვენი საზოგადოების ის ნაწილი, რომელსაც ქართული მწერლები წარმოადგენენ და რომელნიც ყველაზე უფრო დაინტერესებულნი უნდა იყვნენ კულტურული რევოლიუციის საკითხებით. საამისო პირობები ქართულ მწერლობისათვის არსებობს. წინანდელი ყრილობის დადგენილების თანახმად, მთავრობას არ დაუკლია ცდა და მზრუნველობა განეხორციელებია ის ამოცანები, რომელიც პირველმა ყრილობამ წამოაყენა. თავის მხრივ მწერლობაც მოვალე იყო გაეკეთებია ის, რაც პირველ ყრილობაზე აღითქვა. ჩვენ უნდა ვაღიაროთ, რომ ამ მხრივ მაინც და მაინც ბევრი არაფერი გაკეთებულა. მართალია, სწერდენ, მაგრამ ბევრი რამ ამ ნაწერებიდან ჩვენთვის მისაღები არ არის. ყოველ ნაწერს, ყოველ შემოქმედებას იმდენად აქვს ფასი, რამდენადაც იგი ხელს უწყობს იმ დიდ პროცესს, რომლის მოწმენი ჩვენა ვართ. ამ თვალსაზრისით ვაფასებთ ჩვენ წარსულ კულტურულ მემკვიდრეობასაც. თუ იგი ჩვენი ხალხისთვის დღეს გამოსადეგია, მივიღებთ, დავიცავთ და შევინახავთ. მაგრამ წარსულ კულტურას ვერ დაუმორჩილებთ ჩვენს კულტურულ განვითარებას, რადგან ეს იქნებოდა ჩვენი წინმსვლელობის შეფერხება, ჩვენი კულტურის სიკვდილი. ქართველმა მწერლობამ თავისი შემოქმედებისათვის მასალა უნდა ეძიოს დღევანდელ სინამდვილეში. მწერლობა უნდა დაუახლოვდეს და ჩაებს ამ მასიურ კულტურულ მუშაობაში. მწერლობამ მშრომელ ხალხს და მთავრობას უნდა გაუადვილოს იმ დიდი ამოცანების გადაჭრა, რომელსაც დღევანდელი ცხოვრება გვიყენებს. მან თავისი მხატვრული ნაწარმოებით, მხატვრული სახეებით უნდა აგრძნობინოს და შეაგნებინოს ჩვენს ხალხს ამ დიდი პროცესის მნიშვნელობა. მწერლობამ ალღო უნდა აუღოს მშრომელი ხალხის დღევანდელ მოთხოვნილებებს და საჭიროებას, მხოლოდ ამ გზით ქართველ მწერლებს შეუძლიათ თავიანთი წვლილის შეტანა იმ დიდ საქმეში, რომელსაც კულტურული რევოლიუცია ეწოდება. (ტაში).

ამხ. ფილიპე მახარაძის მოხსენების შემდეგ ამხ. ბ. ბუაჩიძის წინადადებით ყრილობამ ერთხმად დაადგინა საპროტესტო რეზოლიუცია გამოიტანოს გერმანელ პროლეტარულ მწერლის იოხან ბეხერის გასამართლების წინააღმდეგ, რომლის პროცესი ამჟამად მიმდინარეობს ლეიპციგში.

პარტიული ცხოვრება

საქ. კომპარტიის ცენტრალური საკონტროლო კომისიის ცნობა

გამორიცხული არიან საქართველოს კომპარტიის რიგებიდან, როგორც გაუსწორებელი ოპოზიციონერები-ფრაქციონერები, შემდეგი პირნი:

თბილისის ორგანიზაციაში: ალექსანდრე ავეტიკის ძე ბეჟანოვი; ამბერკი ტარიელის ძე გოგაბერიძე; დიმიტრი კონსტანტინეს ძე გოჩელაშვილი; მიხეილ აბრამის ძე ჩილინგარიდი; გრიგოლ არსენის ძე დოხნაძე; ნადეჟდა სიმონის ასული იაშვილი; სამსონ მარგოშია; ვალერიან გიორგის ძე შენგელია; ნარტენ ესტატეს ძე ლაგვილავა; ნიკოდემ ობოლაძე; ალექსანდრე დიმიტრის ძე კარცხია; დავით გიორგის ძე ნუცუბიძე; არტემ სიოს ძე იმნაძე; ემელიანე ფილიპეს ძე კალანდაძე; გრიგოლ ბეჟანის ძე სარჯველაძე; ალექსანდრე დიმიტრის ძე დათეშიძე; დავით სილიბისტროს ძე კოპლატაძე; ნიკოლოზ იაგორის ძე ლლონტი.

ოზურგეთის ორგანიზაციაში: მარიამ მაქსიმეს ასული ცინცაძე; სიმონ მაქსიმეს ძე კვინტრაძე; პროკოფი გიგოს ძე ზაქარეიშვილი; პავლე ტარასის ძე ცინცაძე.

რაჭის ორგანიზაციაში: სარდიონ ილიას ძე ენუქიძე; შალვა ევსევის ძე გაბისონია. (ადს).

შორდებიან ოპოზიციას

საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის, მთელ რიგ წევრებისა და კანდიდატებისაგან საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ საკონტროლო კომისიაში შემოვიდა განცხადებები ოპოზიციისაგან ჩამოშორების შესახებ:

ილარიონ წოწონავა, მუშა, პარტ. წევრი 1927 წლიდან, სწერს: „სწორად და ლენინურად მიმაჩნია მე-15 პარტყრილობის ყველა დადგენილებები, მათ შორის დადგენილებები ოპოზიციის შესახებ. მზადა ვარ ცხოვრებაში გავატარო ყრილობის ყველა გადაწყვეტილებანი".

მიხეილ ქიქნაძე, მუშა, პარტიის წევრი 1905 წლიდან, აცხადებს: „მე სავსებით ვემორჩილები მე-15 პარტყრილობის დადგენილებებს და გავატარებ მათ ცხოვრებაში, სავსებით უარს ვამბობ ოპოზიციის შეხედულებებზე".

გერასიმე კილაძე, სწერს: „ვემორჩილები მე-15 პარტყრილობის ყველა დადგენილებებს და გავატარებ მათ ცხოვრებაში, იარაღს ვყრი იდეურად და ორგანიზაციულად. მე დავრწმუნდი, რომ ოპოზიციის მოქმედებას მივყავართ მეორე პარტიის შექმნისაკენ, რის წინააღმდეგ ჩვენ ყველამ უნდა ვიბრძოლოთ".

მუშფაკის მსმენელნი: **მიტროფანე გოგიჩაიშვილი, ვარლამ აბაშიძე, დავით ჭუმბურიძე, მიხეილ კალანდია, ნაუმ ბარამიძე, დავით ქველიშვილი** და **ნესტორ ჩემინავა**, თავიანთ განცხადებებში იარაღს ყრიან იდეურად და ორგანიზაციულად, სცნობენ, რომ მათი წინანდელი შეხედულებები შემცდარია, ხოლო ოპოზიციის ხაზი ანტილენინური და საზიანოა პროლეტარიატის დიქტატურისათვის, და სავსებით ეთანხმებიან მეხუთმეტე პარტყრილობის გადაწყვეტილებებს.

ანალოგიური განცხადებები შემოიტანეს შემდეგ ამხანაგებმა: **ვლადიმირ ხუტაშვილი** (მუშა, საქართველოს კომპარტიის, თბილისის ორგანიზაციის წევრი, ლენრაიონი), **ალექსანდრე ფარსადანოვი, ვერა ივანოვა, რაფიელ ბაჭიაშვილი, ლევან ძუბაშვილი, კარაპეტ მაკარიანი, გაიანე აივაზოვა** (მუშები, კომპარტიის წევრები, თბილისის ორგანიზაცია მესამე რაიონი), **ბორის კევანიშვილი, ვარლამ პინია** (მოსამსახურეები, კომპარტიის წევრები, თბილისის ორგანიზაცია, ქალაქის რაიონი).

გარდა ამისა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ საკონტროლო კომისიაში შემოვიდა ოპოზიციონურ მუშაობისათვის პარტიიდან გამორიცხულ **სამსონ ჭანიშვილის** და **ერმილე კიზირიას** განცხადებები ოპოზიციისაგან ჩამოშორების შესახებ.

სამსონ ალექსანდრესძე ჭანიშვილი, პარტიის ყოფ. წევრი 1905 წლიდან (ოზურგ. ორგანიზაცია) აცხადებს, რომ ფრაქციული მუშაობა მან დაიწყო 1927 წლის ზაფხულში, როცა აგროვებდენ ხელმოწერებს 83-ის განცხადებაზე. მისი მუშაობა მდგომარეობდა ოპოზიციონურ ლიტერატურის გავრცელებაში და ოპოზიციონურ ცენტრისათვის ინფორმაციის მიწოდებაში. ფრაქციულ-ოპოზიციონურ მუშაობას ის აწარმოებდა ვითომდაც სამსახურის საჭიროებისათვის მგზავრობის დროს. ოპოზიციონერებთან ურთიერთობისათვის მან გამოიყენა პარტიის თემკომის შენობა, სადაც, როგორც თემკომის პრეზიდიუმის წევრი, ის ხშირად მუშაობდა პასუხისმგებელ მდივნის მაგიერ. მასალებს ფრაქციული მუშაობის შესახებ ის ღებულობდა **კოტე ცინცაძისა** და **ლადო დუმბაძისაგან**. დაესწრო ქობულეთში ფრაქციონერთა კრებაზე. ამ კრებას, რომელიც გაიმართა **ბენო კალანდაძის** ბინაზე, დაესწრენ აგრეთვე **მკურნალი, პარმენ ცინცაძე, ლადო დუმბაძე, დ. ლორთქიფანიძე** და სხვა. ლადო დუმბაძე გამოვიდა მოხსენებით ოპოზიციის მდგომარეობის შესახებ. მან კრებას გააცნო დირექტივები შემდგომი მუშაობის შესახებ. ქობულეთის შემდეგ ჭანიშვილი ორჯერ იყო თბილისში ოპოზიციონურ მასალების და დირექტივების მისაღებათ.

„ჩემი თანაგრძნობა ოპოზიციისადმი,—სწერს ჭანიშვილი,—გამოწვეული იყო იმით, რომ ოპოზიციის სათავეში იდგენ ამხანაგები, რომლებთანაც მე წინეთ ვმუშაობდი პარტიულ ხაზით. ოზურგეთის სამაზრო კონფერენციის შემდეგ მე უკვე ეჭვი დამებადა ოპოზიციის შეხედულებათა სისწორეში. ამის შემდეგ მე დავიწყე ოპოზიციის პლატფორმის ყურადღებით შესწავლა და დავრწმუნდი, რომ ის არ არის მართალი სადაო საკითხებში. მე-15 პარტყრილობამ მე საბოლოოდ დამარწმუნა, რომ ოპოზიციის ხაზი თავიდან ბოლომდე შემცდარია და რომ მისმა ორგანიზ. მუშაობამ დაარღვია პარტიის მთლიანობა და შექმნა მეორე პარტია. ამის შემდეგ მე თავი დავანებე ოპოზიციის რიგებში მუშაობას და ამასვე ურჩევდი სხვა ოპოზიციონერებს. ბევრი ჩამოშორდა ოპოზიციას და დაუბრუნდა პარტიას. თავის წარსულ მუშაობას მე შემცდარათ ვსთვლი. მე ვაუქმებ ყველა ჩემ ხელმოწერებს ოპოზიციის განცხადებებზე და ვიზიარებ მე-15 პარტყრილობის გადაწყვეტილებებს. ვსწყვეტ ტროცკისტულ ოპოზიციასთან ყოველგვარ იდეურ და ორგანიზაციულ კავშირს. გთხოვთ დამაბრუნოთ პარტიის რიგებში".

ერმილე კიზირია, საქართველოს კომპარტიის ყოფილი წევრი 1918 წლიდან (სენაკის ორგანიზაცია) ითხოვს პარტიის რიგებში დაბრუნებას და აცხადებს:

„მე-15 ყრილობის შემდეგ მე დავრწმუნდი, რომ ოპოზიცია მართლაც ჩამოშორდა ლენინიზმს და რომ ის წარმოადგენს მენშევიკურ, წვრილბურჟუაზიულ გადახრას. ოპოზიცია მიმართულია პარტიის მთლიანობის და პროლეტარიატის დიქტატურის წინააღმდეგ. მან დაარღვია პარტწესდების ელემენტარული მოთხოვნილებები და დაუკავშირდა უპარტიო წვრილბურჟუაზიულ ელემენტებს, პროლეტარიატის დიქტატურის საზიანოდ.

ზემოთქმულის გამო ვსწყვეტ ყოველგვარ ორგანიზაციულ და იდეურ კავშირს ოპოზიციასთან და თავის წინანდელ შეხედულებებს შემცდარათ ვსთვლი".

კიზირია განცხადებაში დაწვრილებით აღწერს სენაკის ოპოზიციონერთა დეზორგანიზატორულ მუშაობას პარტყრილობის წინა დისკუსიის პერიოდში. მისი სიტყვით, სენაკში დიდის ამბით აგროვებდენ ხელმოწერებს განცხადებებზე, მართავდენ ჯგუფობრივ საუბრებს, საუბარისა და კრებების ადგილათ ფრაქციონერებს არჩეული ჰქონდათ რესტორანები და დუქნები.

დ. ნ. ნიკოლაძის მიერ გამოგონილი ახალი საანგარიშო მანქანა

მე ბევრმა მთხოვა დამებეჭდა თბილისის გაზეთში წერილი იმ საანგარიშო მანქანის შესახებ, რომელიც გამოიგონა ამჟამად პარიზში მყოფმა თბილისის უნივერსიტეტის დოცენტმა გ. ნ. **ნიკოლაძემ** და რომლის შესახებაც ახლახან გამოქვეყნდა ცნობა პარიზის სამეცნიერო აკადემიის ანგარიშებში, ხოლო იქიდან ეს ცნობა გადაიბეჭდა პარიზის ყველა დიდ გაზეთში. მე ამ წერილში გ. ნ. ნიკოლაძის გამოგონების შეფასების დროს დავეყრდნობი პარიზის აკადემიის ანგარიშებიდან (1928 წლ. 16 იანვრის სხდომა) წერილის ნაწილის მოყვანას, აგრეთვე აკადემიკოსის მორის დ,ოკანის დაბეჭდილი რეცენზიისა და იმავე სხდომაზე ამ მეცნიერის სიტყვიერად წარმოთქმული, სტენოგრაფიულად ჩაწერილი აზრის მოყვანას.

მე მიზანშეწონილად მიმაჩნია, რომ ამ წერილს რამდენიმე სიტყვა წარუმძღვარო საანგარიშო მანქანების შესახებ.

ყველამ იცის, რომ მეცნიერების თვითეულ დარგში, რომელსაც კი ტეხნიკა ემყარება, მათემატიკურ ფორმულას ცენტრალური ადგილი უჭირავს და ის არსებით როლს თამაშობს. ვერც ერთი სწორი მეცნიერება ნაბიჯს ვერ გადადგამს ისე, რომ მათემატიკა არ გამოიყენოს. ეგრეთწოდებულ ექსპერიმენტალურ მეცნიერებათა დარგების უმრავლესობაც ასეთსავე მდგომარეობაშია. იგივე ითქმის ზოგიერთი სოციალური მეცნიერების შესახებაც.

მათემატიკური ფორმულა ორნაირ როლს ასრულებს. ერთის მხრით, იგია მძლავრი (ზოგჯერ ერთად-ერთი) იარაღი ახალ ჭეშმარიტებათა აღმოჩენისათვის, ამა თუ იმ ფიზიკური თეორიის განვითარებისათვის, ამა თუ იმ მოვლენის ზედმიწევნითი აღწერისათვის. ფორმულათა ენა—ყველაზე სწორი, მარტივი და სხარტი ენაა, ხშირად სრულიად შეუძლებელია, რომ იმ პირს, რომელმაც ეს ენა არ იცის, აუხსნათ თუნდაც სულ უბრალო რამ, ვსთქვათ, ფიზიკის დარგიდან (მაგალითად, რომელ არა მათემატიკოს მკითხველს აქვს ნათლად წარმოდგენილი ეგრეთწოდებული „რელატივობის თეორია", მიუხედავად იმისა, რომ წიგნის ბაზარი სავსეა ამ თეორიის პოპულიარული, ხშირად, აქვე აღვნიშნავთ შემცდარი განმარტებით).

მაგრამ ჩვენ ახლა მათემატიკური ფორმულა გვეინტერესება არა ამ, ასე ვსთქვათ მაღალი თვალსაზრისით. საქმე იმაშია, რომ, ძალიან ხშირად გვჭირდება (მით უფრო ხშირად, რაც უფრო ახლო ვდგევართ მათემატიკის პრაქტიკულ გამოყენებასთან) ამ თუ იმ ფორმულების მნიშვნელობის **გამოანგარიშება** ამა თუ იმ სრულიად კონკრეტიული შემთხვევებისათვის. ეს მუშაობა ძალიან საჭიროა.

საჭირო არ არის ადამიანი გენიოსი იყოს, რომ მზა წესების მიხედვით მზა ფორმულების რიცხვობრივი მნიშვნელობა გამოიანგარიშოს მიუხედავად ამისა (უფრო სწორედ რომ ვსთქვათ,—ამიტომ). ეს მუშაობა მეტად მომაბეზრებელია და დამქანცველი; იგი დიდ დროსა და ენერგიას გვართმევს, რომლებიც გაცილებით უფრო სასარგებლოდ შეგვიძლია გამოვიყენოთ ტვინის ნაკლებად დამაჩლუნგებელ საგნებზე.

ადვილად გასაგებია, რომ უხსოვარ დროიდან მეცნიერები ცდილობდნენ გამოეგონებინათ ისეთი საშუალება, რომელიც გააადვილებდა ამ მუშაობას. უნდა ითქვას, რომ მრავალი მათემატიკოსის წყალობით დიდი წარმატება იქნა მოპოებული გამოანგარიშების გაუმჯობესების ტეხნიკაში (მე ჯერ-ჯერობით ვლაპარაკობ მანქანებისა და ხელსაწყოების დაუხმარებლად გამოანგარიშების შესახებ). მე აღვნიშნავ მხოლოდ ნეპერის მიერ ლოგარითმების გამოგონებას (1614 წ.),—გამოანგარიშების ამ უძლიერესი იარაღის აღმოჩენას (ვილაცამ სთქვა, რომ ამ გამოგონებამ ასტრონომების სიცოცხლე ერთი-ორად გაახანგრძლივა; ეს გადაჭარბებული არაა).

უკანასკნელ ხანებში უფრო და უფრო გავრცელდა დაახლოებითი გამოანგარიშების გრაფიკული მეთოდი, შეიქმნა მთელი მეცნიერება „ნომოგრაფია", რომლის შემქნელია მ. დ,ოკანი. დიდი ხანია მას შემდეგ, რაც წარმოიშვა ნაყოფიერი იდეა იმის შესახებ, რომ გამოეყენებინათ მანქანა ამა თუ იმ გამოანგარიშების მოსახდენად. ამ დარგშიაც არსებითი წარმატებაა მიღწეული და ახლა ჩვენს განკარგულებაშია მრავალი საანგარიშო მანქანა და ხელსაწყო.

ისინი შეიძლება გავყოთ ხამ ჯგუფად: მანქანები, რომლებიც აწარმოებენ მიახლოებულ გამოანგარიშებას, და მანქანები, რომლებიც იძლევიან ზედმიწევნით სწორ შედეგებს. პირველი ჯგუფის მანქანები აწარმოებენ ზოგჯერ ძლიერ რთულ გამოანგარიშებას: ზომავენ მოედნებს, ანაწილებენ წევებად, ახდენენ დიფერენციალურ განტოლებათა ინტეგრაციას და სხვ. მაგრამ ყველა ამ მანქანებს ახასიათებს ერთი თვისება: ისინი იძლევიან მხოლოდ მიახლოებულ შედეგს და ამასთანავე შეცდომა ძლიერ ძნელი შესაფასებელია. და სწორედ ეს მათი დიდი ნაკლია.

მეორე ჯგუფის მანქანები და ხელსაწყოები უფრო პატარა მიზანს ისახავენ: ისინი აწარმოებენ მხოლოდ ძირითად არითმეტიკულ ოპერაციებს (მიმატება, გამოკლება, გამრავლება, გაყოფა), მაგრამ სამაგიეროდ იძლევიან ზედმიწევნით სწორ შედეგს.

ამ მანქანებს უდიდესი მნიშვნელობა აქვთ და ისინი ძლიერ გავრცელებულია, თუ არ ჩავთვლით ლოგარითმულ სახაზავს, რომლის დანიშნულებასაც შეადგენს მხოლოდ რამოდენიმედ მიახლოებულ გამოანგარიშებათა წარმოება.

ამ ტიპის კარგ მანქანას უნდა ჰქონდეს შემდეგი ძირითადი თვისებები: ოპერაციების სისწრაფე, შედეგის საიმედოობა და მუშაობის **ავტომატიურობა**. თუ მანქანა არ არის საკმაოდ ავტომატიური, ე. ი. მოითხოვს ერთგვარ გონებრივ დაძაბვას, ყურადღებას გამოანგარიშების მწარმოებლის მხრივ, ასეთ შემთხვევაში ისე, როგორც ყოველ სამუშაოში, რომელიც ყურადღებას მოითხოვს, აუცილებელია დაღლა და აქედან გამომდინარე შეცდომები.

ამ ტიპის მანქანები უკვე დიდი ხანია რაც გამოჩნდნენ. უკვე იმავე ნეპერმა გამოიგონა ძლიერ მარტივი და გონებამახვილი ხელსაწყო, რომელიც აგებული იყო გრაფიულ პრინციპზე და ძლიერ აადვილებდა გამრავლების წარმოებას. ეს ხელსაწყო („ნეპერის ჩხირები") აწერილია მის „რაბდოლოგიაში" (1617 წ.) და არსებითად წარმოადგენს რამოდენიმედ გაუმჯობესებულს, ყველასათვის ცნობილ პითაგორის გამრავლების ცხრილს, გაყოფილს ვერტიკალურ ზოლებად.

მიუხედავად გონებამახვილობისა და მიუხედავად იმისა, რომ პირველ ხანებში ის თითქმის უფრო დიდ ყურადღებას იქცევდა, ვიდრე ლოგარითმები, ის თანდათან დავიწყებულ იქმნა; მხოლოდ 1885 წელს საფრანგეთის ინჟინერმა ჟენაილმა, რომელიც ყურადღებით სწავლობდა ნეპერის ჩხირების თვისებებს, გააკეთა ძლიერ გონებამახვილი და საკმაოდ უნაკლო ხელსაწყო გამრავლებისათვის, რომელიც აგრეთვე აგებული იყო გრაფიულ პრინციპზე.

ჟენაილის ხელსაწყო, რომელიც აგრეთვე შესდგება მთელ რიგ სახაზავებიდან, შესაძლებელს ხდის, სახაზავების სათანადოდ დალაგების შემდეგ, წაკითხულ იქნას მოცემული რიცხვის ყოველ ერთნიშნიან რიცხვზე გამრავლების ნაწარმოები. მაგრამ ორ მრავალნიშნიან რიცხვის ნაწარმოების მისაღებად საჭირო ხდება მიმატების ოპერაციის მოხდენა ქაღალდზე. ამრიგად ეს ხელსაწყო არ არის საკმაოდ ავტომატიური და ამიტომ (აგრეთვე იმიტომაც, რომ მასზე არ შეიძლება მიმატების წარმოება) ის ვერ გავრცელდა და ადგილი დაუთმო სხვა ხელსაწყოებს („საანგარიშო მანქანებს"), რომლებიც აგებულია სულ სხვა პრინციპზე.

ამ ტიპის მანქანების (არითმომეტრების) გაჩენა უნდა მივაკუთვნოთ 1842 წელს, როდესაც გენიალურმა პასკალმა ააგო პირველი მოდელი მანქანის, რომლის დანიშნულებასაც შეადგენდა მიმატება (და გამოკლება).

დიდი პრინციპიალური ნაბიჯის წინ გადადგმას წარმოადგენდა მანქანა, რომელიც წარმოადგინა მე-17 საუკუნის მეორე გენიალურმა მათემატიკოსმა ლეიბნიცმა. ამ მანქანას უნდა ეწარმოებია მიმატების და გამრავლების (აგრეთვე გამოკლების და გაყოფის) ოპერაციები. გაკეთებულ იქნა ორი მოდელი (1694 და 1706 წ.), მაგრამ ვერც ერთი მათგანი სათანადოდ ვერ მუშაობდა, ე. ი. მაშინდელმა მექანიკოსებმა ვერ შესძლეს საკმაოდ კარგად განეხორციელებიათ ლეიბნიცის იდეა, მიუხედავად (ამ დროის კვალობაზე) დიდ თანხისა, რომელიც დახარჯა ლეიბნიცმა. მოხსენების ღირსია აგრეთვე რუსეთის გენიალურ მათემატიკოს პ. ლ. ჩებიშევის ძლიერ გონებამახვილი მანქანა. ამ მანქანასაც აქვს ზოგიერთი ტეხნიკური დეფექტი და ამიტომ ვერ გავრცელდა.

ნამდვილად პრაქტიკული მანქანა, რომელიც ძლიერ ფართოდ გავრცელდა, აგებულია აგრეთვე რუს გამომგონებელ ოდნერის მიერ (1878 წ.).

ეს მანქანა ყველასათვის ცნობილია.

ყველა მოხსენიებული მანქანა არსებითად მიმატების მწარმოებელი მანქანებია. გამრავლებას ისინი ახდენენ თანმიყოლებითი მიმატებით. მაგალითად, რომ ოდნერის მანქანის საშუალებით 563 გავამრავლოთ 756-ზე, 563 უნდა გავიმეოროთ შესაკრებად 6-ჯერ, შემდეგ 5-ჯერ, შემდეგ 7-ჯერ, რაც მოითხოვს მანქანის სახელურის 6+5+7=18-ჯერ მობრუნებას.

არსებობს ხელსაწყოები უშუალო გამრავლებისათვის, მაგრამ ეს ხელსაწყოები ძლიერ რთულია და ძვირი ღირს. საერთოდ ყველა მოხსენებული მანქანები შეიცავენ დიდძალ ადვილად გასაცვეთ და ძვირფას მექანიკურ ნაწილებს. ზოგიერთ მანქანებთან შეგუებულია ელექტრო - მოტორები, რომლებიც ავტომატიურად ახდენენ საჭირო ბრუნვას. ასეთი მანქანები, რა თქმა უნდა, კიდევ უფრო ძვირი ღირს.

გ. ნ. ნიკოლაძის მიერ გამოგონებული არითმომეტრი აგებულია სრულიად სხვა პრინციპზე. ეს წმინდა ელექტრონის არითმომეტრია, რომელიც არავითარ მექანიკურ ნაწილებს (კბილანებს, მოტორებს და სხვ.) არ შეიცავს. ის შესდგება ორი ნაწილისაგან: ერთი დანიშნულია მიმატება - გამოკლებისათვის და მეორე — გამრავლება - გაყოფისათვის. ის მუშაობს ელექტრომაგნიტების საშუალებით, რომლებიც მოქმედობენ იმ კომუტატორების სისტემაზე, რომლებიც ახდენენ საჭირო ელექტრო ჯაჭვების ამორთვასა და ჩართვას. მიმატების ან გამრავლების მოსახდენად საკმარისია დააჭიროთ თითი იმ კნოპკებს, რომლებიც შეეფერება მოცემული რიცხვების ციფრებს. შედეგს დაუყოვნებლივ მიიღებთ მაჩვენებელში. ანალოგიურად ხდება გამოკლება და გაყოფაც. იმ ნაწილში, რომელიც გამრავლებას შეეხება, გ. ნ. ნიკოლაძემ ელექტრო დენის საშუალებით განახორციელა ჟენაილის მიერ გრაფიულ ფორმაში გამოყენებული იდეა.

აკადემიკოს მ. დ,ოკანის აზრით ეს არითმომეტრი წარმოადგენს მეტად გონებამახვილ გამოგონებას, რომელიც, იმედი უნდა ვიქონიოთ, ძალიან ფართოდ გავრცელდება. არითმომეტრის მთავარ ღირსებას შეადგენს სრული ავტომატიურობა, საიმედოება, ოპერაციების სისწრაფე და აგრეთვე სიიაფე. წინასწარი გამოანგარიშებით ის ათჯერ უფრო იაფი დაჯდება, ვიდრე სხვა აპარატები ანალოგიური ფუნქციებით.

დასასრულ, აღვნიშნავ იმ გარემოებას, რომ გ. ნ. ნიკოლაძემ ეს აპარატი უმთავრეს ნაწილებში მოიფიქრა აქ, ჯერ კიდევ ორი წლის წინად, სანამ ის საზღვარ - გარედ გაემგზავრებოდა. ამ გამოგონების აზრი მას დაებადა, როცა ის შემთხვევით გაეცნო ჟენაილის სახაზავებს (იმ არა სრული აღწერის მიხედვით, რომელიც დ,ოკანის წიგნშია მოყვანილი). მაგრამ მან მხოლოდ მას შემდეგ გაბედა ეცნობებია დ,ოკანისათვის ამ გამოგონების შესახებ, როცა ის დაწვრილებით გაეცნო ერთერთ გამოფენაზე საანგარიშო მანქანების ყველა არსებულ ტიპებს და დარწმუნდა, რომ მისი იდეა მართლაც სრულიად ახალია.

პროფ. ნ. მუსხელიშვილი.

კოლმეურნეობათა სადღეისო ამოცანები

საქართველოს კოლექტიური მეურნეობების წარმომადგენელთა ყრილობის შემდეგ კოლექტიურ მეურნეობათა ახალი ცენტრის წინაშე თანახმად ყრილობის მიერ შემუშავებულ გეგმისა, დაისვა გადასაჭრელად შემდეგი ამოცანები: არსებული კოლექტივების ორგანიზაციულად ჩამოყალიბება, ანგარიშწარმოების მოგვარება, სამეურნეო გეგმების შედგენა და სესხების მიზანშეწონილად განაწილება.

კოლექტიური მეურნეობები თავდაპირველად აღმოცენდნენ სტიქიურათ. საბჭოთა წყობილების დამყარებამ მშრომელ გლეხობაში შექმნა სტიმული მეურნეობის გაერთიანებისა და მისი საერთო შრომით წარმოებისათვის. ამგვარად წარმოშობილ კოლექტივებში აუცილებელია ჩატარდეს საორგანიზაციო მუშაობა, ამ მიზნით საქართველოს კოლექტიურ მეურნეობათა სექციის გამგეობის მიერ საქართველოს ყველა მაზრებში წარგზავნილ იქნა ინსტრუქტორები. ინსტრუქტორები მაზრაში ჩასვლისას აწყობენ მაზრის დაინტერესებულ უწყებების წარმომადგენელთა თათბირს, იმუშავებენ მუშაობის ჩატარების გეგმას და აწარმოებენ კოლექტივების შესწავლას. ადგილობრივ ინსტრუქტორების დასახმარებლად გამოყოფილი უნდა იქნენ ისეთი პირები, რომელნიც ამ მასიური შესწავლის დროს თვითონაც გაიწვრთნებიან, გაეცნობიან მაზრაში არსებულ მდგომარეობას და მომავალში უხელმძღვანელებენ კოლმეურნეობებს. ასეთი ამხანაგებია მაზრის და რაიონის აგრონომები, სამაზრო აღმასკომის და პარტკომის ინსტრუქტორები, მიწისმზომელები და სხვა.

მუშაობაში პირველი ნაბიჯი გადადგმული უნდა იქნეს კოლექტივების ჩამოსაყალიბებლად. ჩვენ ვიცით, რომ, როგორც მეზობელ რესპუბლიკებში, აგრეთვე ჩვენშიაც მრავალია რიცხვი ე. წ. ველურ კოლექტივებისა, რომელნიც არავის არ ემორჩილებიან და რომელთაც არავინ ხელმძღვანელობს. საკავშირო კომპარტიის მე-15 ყრილობამ სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა ველურ კოოპერატიულ ერთეულების და მით უმეტეს ველურ კოლექტივების არსებობას. ამის მიხედვით საქართველოში არსებული ყველა კოლექტივები უნდა ჩამოყალიბდნენ და შექმნენ მათი ერთი მთლიანი სისტემა. ინსტრუქტორული მუშაობა ამ მხრივ გულისხმობს: კოლექტივის მეურნეობის და წევრთა შესწავლას, თუ რამდენად რენტაბელურია მეურნეობა და წევრთა სოციალური შემადგენლობა აკმაყოფილებს თუ არა არსებულ დებულებას. ამ მიზნით ინსტრუქტორები, ადგილობრივი პარტიულ, საბჭოთა და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენელთა თანდასწრებით, შეისწავლიან წევრთა შემადგენლობას, ახდენენ მის სათანადო გადახალისებას, იწვევენ კოლექტივების წევრთა საერთო კრებას, აცნობენ მათ სათანადო, მათთვის მისაღებ წესდებას, არჩევენ მას მუხლობრივ. იმართება აზრთა გაცვლა-გამოცვლა და ამის შემდეგ კოლექტივის წევრთა საერთო კრება ამტკიცებს იმ წესდებას, რომლის თანახმად მათ უნდა იმუშაონ. მიღებული წესდებები დასამტკიცებლად იგზავნება ინსტრუქტორის მითითებისამებრ. წევრთა ამავე საერთო კრებას გამოაქვს დადგენილება ადგილობრივ სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობაში და კოლექტიურ მეურნეობათა ცენტრში წევრათ შესვლის შესახებ.

აღნიშნულ მუშაობის შესრულების შემდეგ ინსტრუქტორები აღრიცხავენ კოლექტივის ქონებას, შეიტანენ მას სათანადო საბუღალტრო წიგნებში, რომლებიც თან მიაქვთ კოლექტივებში. ეს საბუღალტრო წიგნები იმდენად მარტივი და გასაგებია, რომ მათი წარმოება შეუძლია კოლექტივის ყოველ წერა-კითხვის მცოდნე პირს. ინსტრუქტორი შეასწავლის ანგარიშ-წარმოების წესს, შესასწავლის კოლექტივის მიერ ამისათვის გამოყოფილ პირს და მისცემს მას სათანადო რჩევა-დარიგებას. ამის შემდეგ ჩვენ ყველა კოლექტივში გვექნება უბრალო წესით წარმოებული ანგარიშწარმოება. ექნება თუ არა კოლექტივს შემდეგში ხელმძღვანელობა და თვალყურის დევნება ანგარიშწარმოების სწორათ დაყენების მიზნით? ცხადია, რომ ექნება. მათ მუდმივ ხელმძღვანელობას უწევს კოლექტიურ მეურნეობის ცენტრის ინსტრუქტორი, რომელიც მიმაგრებულია მაზრაზე და რეგულიარულად ხელმძღვანელობს მაზრის კოლექტივებს; გარდა ამისა, კოლექტივების ანგარიშწარმოების სწორათ დაყენებაში დაინტერესებულია ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხ-ბის გამგეობა, რომლის ბუღალტერი ან მოანგარიშე თვეში ერთხელ მიაკითხავს თავის რაიონში არსებულ კოლექტივს და გადაათვალიერებს ანგარიშწარმოების მდგომარეობას.

შემდეგი მთავარი საკითხი, რომლის გადაჭრას ხელმძღვანელობენ მაზრაში მივლინებული ინსტრუქტორები, არის კოლექტივის სამეურნეო გეგმის შედგენა. აქამდე კოლექტივებს არავითარი სამეურნეო გეგმები არ ჰქონდათ და ისინი მუშაობდნენ შემთხვევიდან შემთხვევამდე. ეს ქაოტიური მდგომარეობა, ცხადია, მომავალში უნდა მოისპოს. ზოგ კოლექტივებში იმდენი სახის მეურნეობები შემოიღეს, რომ წევრები ვერ სწვდებოდნენ მათ წარმოებას და ამასთანავე ბევრი ასეთი მეურნეობა შეუგუებელი იყო რაიონის გეოგრაფიულ და კლიმატიურ პირობებთან. ინსტრუქტორს კოლექტივში თან ახლავს მაზრის ან რაიონის აგრონომი, რომელიც ადგილობრივი პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციების და სახ.-სამ. საკრედიტო ამხანაგობების წარმომადგენელთა თანდასწრებით ადგენს კოლექტივის რეალურ მიზანშეწონილ სამეურნეო გეგმას, სადაც აღინიშნება როგორც შემოსავლები მეურნეობა, ისე გასაწევი ხარჯები. შემუშავებულ გეგმას ხელს აწერს შემდგენელი აგრონომი, დამსწრე ინსტრუქტორის და სახ.-სამ. საკრედ. ამხ-ბის გამგეობა. გეგმა წარედგინება წევრთა საერთო კრებას, რომელიც ამტკიცებს მას და აძლევს არჩეულ საბჭოს ან გამგეობას ცხოვრებაში გასატარებლად. შემდგენელი აგრონომი, სექციის ინსტრუქტორი და სასოფლო-სამეურნეო საკრედ. ამხ-ბის გამგეობა თვალყურს ადევნებენ გეგმის სწორათ შესრულებას.

ზევით მოყვანილ მუშაობის შესრულების შემდეგ ჩვენ გვექნება დალაგებული, შესწავლილი და ჩამოყალიბებული ქსელი საქართველოს კოლექტიური მეურნეობებისა, რაც საფუძველს ჩაუყრის მათზე მომავალში სწორ და ნაყოფიერ ხელმძღვანელობას.

დაბოლოს, საქართველოს კოლმეურნეობათა გამგეობის წინაშე დაისვა საკითხი ახლად მიღებული სესხების განაწილების შესახებ. თანხა კოლექტივებზე გასაცემი მიმდინარე წელს საკმაოდ დიდია და თუ ჩვენ შევძლებთ მის მიზანშეწონილათ განაწილება, ამით დიდ სარგებლობას მოუტანთ ახლად აღორძინებულ კოლექტივებს. სესხის მიზანშეწონილათ განაწილება მოითხოვდა სწორ ცნობებს კოლექტივების შესახებ, როგორც მათი წევრთა რაოდენობის, ისე სამეურნეო საქმიანობის მხრივ. ჩვენ ხელთ გვქონდა კოლექტივების 1926 წლ. დასასრულის და 1927 წლ. დასაწყისის ცნობები. ამის შემდეგ მდგომარეობა საფუძვლიანათ შეიცვალა. გაიზარდა რიცხვი კოლექტივებისა და, ცხადია, მას მოჰყვა სამეურნეო მდგომარეობის შეცვლაც. რადგან სესხების დარიგების დრო ახლოვდება და სექცია ვერ დაუცდიდა იმ მასიურ გამოკვლევის შედეგს, რომელიც ეხლა მიმდინარეობს, ამისათვის შემუშავებულ იქნა სათანადო მასალები და გადაეგზავნა კოლექტივებს დაკვეთის გადმოსაგზავნად ე. ი. იმისათვის, თუ რაში უნდა გამოეყენებიათ მათ სესხი, და რამდენი იყო საჭირო მათი მეურნეობის საწარმოებლად.

გეგმაში შედის როგორც მანქანა-იარაღების ისე საწამლი მასალის, ნამყენების და სხვათა მოწოდება. საამისოდ საჭირო ცნობები უნდა დაამტკიცოს ადგილობრივ აგრონომმა და სასოფლო-სამეურნეო საკრედ. ამხ-ბის გამგეობამ: მანქანა-იარაღები, რომელთაც იწერს კოლექტივი, გამოსადეგია თუ არა ამა თუ იმ რაიონისათვის, ამის შესახებ აგრონომის დასკვნაა საჭირო, ხოლო სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობამ კი უნდა დაადასტუროს კოლექტივის სამეურნეო სიმტკიცე, რომ მისთვის შესაძლებელია სესხის მიცემა, რასაც ის მიიღებს იმავე საკრედიტო ამხ-ბის მეშვეობით. ყველა ამაზე ვრცელი შეკითხვები გადაეგზავნა ერთი თვის წინეთ იმ კოლექტივებს, რომელთა არსებობის შესახებ გამგეობას ჰქონდა ცნობები. სამწუხაროთ, ჯერ ყველასგან პასუხი არ მიგვიღია, მაგრამ მიღებული მასალებიც საკმაოდ ნათლად გვიხატავენ სურათს ჩვენი კოლექტივების მოთხოვნილებებისას. როგორც ცნობილია, ჩვენი კოლექტივები უმთავრესად შესდგება უღარიბეს გლეხებისაგან, რომელთაც არა ჰყავთ მუშა საქონელი მეურნეობის საწარმოებლად. ამით აიხსნება ის დიდი ლტოლვა მანქანა-იარაღებისადმი, რომელიც ემჩნევა კოლექტივებს. მთელი 100 პროც. მსხვილი მანქანა-იარაღებისა, რომლებსაც წელს მივიღებთ საქართველოში, გადაეცემა მხოლოდ კოლექტივებს,—ასეთი დადგენილება აქვს გამოტანილი საკავშირო მთავრობას. წელს, ცხადია, ვერ შევძლებთ მთელი მოთხოვნილების დაკმაყოფილებას, მაგრამ იმ მანქანა-იარაღების დარიგებითაც, რომლებიც უნდა მივიღოთ და ნაწილი უკვე მიღებულია, ჩვენ შევძლებთ ნაწილობრივ მაინც დავაკმაყოფილოთ უღარიბესი გლეხებისაგან შემდგარი კოლექტივები. ჩვენი მიზანია სესხის სახით კოლექტივებს მივაწოდოთ მათთვის საჭირო დამხმარე საშუალებები მეურნეობის საწარმოებლად, მაგრამ რასაც ნატურით ვერ მივცემთ, გადავცემთ ფულად. საზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ მიმდინარე წელს გაცემული სესხები უნდა მოვახმაროთ მხოლოდ მეურნეობის აღდგენა-განვითარებას. სხვა მიზანი ჩვენ სესხს არა აქვს.

კოლექტიური მეურნეობის წარმოება მეტად რთულია და მოითხოვს დიდ ენერგიას, საქმის ცოდნას და მუდმივ ხელმძღვანელობას. ადგილობრივ მომუშავე ამხანაგებს—ინსტრუქტორებს უნდა აღმოუჩინოს სამაზრო პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციების მხრით ყოველმხრივი დახმარება, რომ მათ შესძლონ პირნათლად შეასრულონ ეს მეტათ სერიოზული და საპასუხისმგებლო მუშაობა.

ვლ. ცაგარელი.

საზოგადო კვების საკითხი

იმ დიდ აღმშენებლობაში, რომელსაც შეუჩერებელი წინსვლით აწარმოებს, ჩვენი ქვეყანა, თითქოს დაიჩრდილა ერთი საკითხი და მეორე—ხარისხოვან როლზე ჩამოდგა, მაშინ როდესაც სავსებით ღირსია გაცხოველებული ყურადღებისა. ეს გახლავთ საზოგადო კვების საკითხი.

მისი შინაარსი მარტო-ჭამა-სმით არ ამოიწურება, თუმცა, გაკვრით უნდა ითქვას, რომ საბჭოთა სამეურნეო სისტემაში ჭამა-სმასაც სხვა ადგილი უჭირავს, ვიდრე კაპიტალისტურ რეჟიმში. იქ ხალხი მხოლოდ იმიტომ სჭამს, რომ სამუშაო ძალა აღადგინოს და შრომის ბაზარზე გაიტანოს ის გასასყიდათ; აქ კი ხალხი იმიტომ მუშაობს რომ დაიკმაყოფილოს თავისი მოთხოვნილებანი და უფრო და უფრო გააფართოვოს ისინი. იქ წარმოების მიზანი—მოგებაა. ადამიანი მისი იარაღია; აქ წარმოების დანიშნულება მოხმარებაა, ადამიანი მისი მიზანია, მაგრამ, როგორც ვთქვით, ჩვენს სისტემაში მარტო ამით არ ამოიწურება ამ საკითხის მთელი მნიშვნელობა.

ის არის ამავე დროს ჩვენი საზოგადოებრივობის, ჩვენი ყოფა-ცხოვრების გარდაქმნის საკითხი. დღემდე არსებული კვების სისტემა სრულიად არ შეეფერება ახალი ცხოვრების ამოცანებს. სოციალისტურ ფაბრიკა - ქარხანაში ჩაბმულ მუშათა კლასი საჭიროებს არა მარტო ნაყოფიერ და საღ საჭმელს, არამედ მის საზოგადოებრივად მოწყობას. სამუშაოთი დატვირთული მუშა-ქალი საჭიროებს, რომ ის თავისუფალი იყოს ოჯახური საქმეებიდან. ქალის განთავისუფლება პირველ ყოვლისა მხოლოდ ამ ოჯახურ მოვალეობათა მოსპობით შეიძლება. უკვე კაპიტალიზმის დროს მოისპო ოჯახური სახაბაზო (პურის საცხობი), საკმაოთ შესუსტდა ოჯახური სამკერვალო, მაგრამ სავსებით ძალაში დარჩა ოჯახური სამზარეულო. და ეს სავსებით შეეფერებოდა კაპიტალიზმის მესვეურთა ინდივიდუალისტურ სულისკვეთებას. მაგრამ სრულიად არ შეეფერება იგი არც ჩვენს ეკონომიურ პირობებს და არც მათზე აღმოცენებულ კოლექტივისტურ განწყობილებას.

ოჯახური სამზარეულო უნდა შესცვალოს საზოგადო სასადილომ, კლუბმა და მის მსგავსმა დაწესებულებებმა. სახლი, ოჯახი, „შინ" უნდა დარჩეს მხოლოდ როგორც დასასვენებელი ადგილი. ასეთი უნდა იყოს ჩვენი ცხოვრების განვითარების მთავარი ტენდენცია.

როგორ არის ფაქტიურად საქმე? სამწუხაროდ, ამ მხრით ჩვენ ვერ დავიკვეხებთ რაიმე მიღწევებს. პირიქით, უკანსვლას უფრო აქვს ადგილი, ვიდრე წინ-სვლას. ჩვენი კოოპერაცია, რომელსაც უმთავრესათ ევალება ეს საქმე, ვერ ახერხებს მის მოწყობას და რაც დრო გადის, კარგავს იმ პოზიციებსაც, რომელიც მას დღემდე მოეპოვებოდა. თუ 1924—25 წელს კოოპერატივების 66 პროც.-ს მოეპოვებოდა საკუთარი სასადილოები, შემდეგ წელში ეს პროცენტი შემოკლდა 35-მდი, ხოლო წარსულ 1926—27 წელს ის დავიდა 15-დი.

მომქმედი სასადილოებიდანაც არც ერთი არ არის ისეთი, რომელიც უზარალოთ მუშაობდეს. აი რამდენიმე მაგალითი: ჭიათურის მუშათა კოოპერატივმა სასადილოს ოპერაციებიდან იზარალა 18.000 მანეთი, რაც შეადგენს მთელი მისი ბრუნვის ერთ-ნახევარ პროცენტს (საერთოდ კი ჩვენი კოოპერატივების მოგება 1—2 პროც.-ს არ ასცილდება); ქუთაისის მუშკოოპის სასადილომ იზარალა 8.000 მანეთი. სამხედრო კოოპერატივის ათმა სასადილომ მიიღო 40.000 მანეთის ზარალი, —და მიმდინარე წელსაც დაახლოვებით ამდენი ზარალია მოსალოდნელი. ასეთივე ზარალიანია თბილისის, ფოთის და ტყიბულის მუშათა კოოპერატივების სასადილოები.

აშკარაა, როცა ასეთი ტენდენცია ემჩნევა საქმეს, კოოპერატივები ხალისით ვეღარ ეკიდებიან მას. პირიქით, ისინი ხურავენ უკვე არსებულ სასადილოებს, რადგან საერთო დირექტივების მიხედვით მათ არ აქვთ უფლება საზარალო დაწესებულება იქონიონ.

რა არის მიზეზი ასეთი მდგომარეობისა? უეჭველია, თვით კოოპერატივების საქმიანობაში აქვთ ისეთ დეფექტებს ადგილი, რომელნიც გავლენას ახდენენ ამ ზარალის სიდიდეზე. ძნელია შესაფერი ანგარიშის დაყენება სასადილოში, ნორმალური დატვირთვა თანამშრომელთა და სხ. მაგრამ უმთავრესი მიზეზი არის დიდი გადასახადები, რომელიც აღწევს ბრუნვის 12—15 პროც.-ს. რასაკვირველია, ასეთი გადასახადების დაფარვა არ შეუძლია კოოპერატივის სასადილოებს, რომლის მიზანია იაფი სადილი მიაწოდოს მომხმარებელს.

ჩვენ ვაყენებთ საკითხს ამ გადასახადების შემცირების შესახებ. სახალხო კვების სასადილოები შედარებით მცირე გადასახადით იბეგრება. ის სავსებით ასატანი იქნება ჩვენი სასადილოებისათვისაც და მაშინ ეს საქმე ჩვენში სწრაფად განვითარდება. ეს კი შეიძლება, თუ ჩვენი სასადილოები გაუთანასწორდნენ სახალხო კვების სასადილოებს.

საჭიროა ამ საკითხს მიექცეს შესაფერი ყურადღება და გამონახულ იქნას გზა მის გადასაწყვეტათ.

გ. ტოროშელიძე.

კონკურსი საბჭოთა საუკეთესო სექციებზე

საანგარიშო კამპანია თბილისში ამ დღეებში დამთავრდება

ვიჩქაროთ, რომ არ გამოგვრჩეს არც ერთი ნაკლი და მიღწევა აღუნიშნავი

ამომრჩეველთა მითითებებს დიდი ნაყოფის მოტანა შეუძლია შემდგომი მუშაობისათვის

როგორ მუშაობდნენ სექციის წევრები

რა გავაკეთე საბჭოში

ამხ. რ. მჭედლიანი

(თბილისის ცხენსაშენის ხაჯინიბოს მუშა; სავაჭრო კოოპერატიული სექცია).

ცხენსაშენ-საჯინიბოს მუშებმა თბილისის საბჭოში მიმაგზავნეს, როგორც აქტივი. უნდა აღვნიშნო, რომ ჩვენი სექციის მუშაობა ამ ბოლო ხანებში საგრძნობლად გამოცოცხლდა. კოოპერაციის საქმიანობის გამოკვლევასთან ერთად სექცია აძლიერებდა კონტროლს სავაჭრო-კოოპერატიულ დაწესებულებებზე. ამ მიზნით გამოყოფილ იქნა სარაიონო კომისიები. მე ვმუშაობდი მე—12 უბნის კომისიაში. გამოვარკვიე, რომ კლარა ცეტკინის ქ. № 178 მეპურე 400 გრ. პურს 10 კაპ. ჰყიდდა; ზოგიერთი ფურნე დაკეტილი იყო,—რამაც დამარწმუნა, რომ ისინი მუშკოოპის საწყობიდან გამოტანილ ფქვილს კერძოდ ჰყიდდნენ. ამიტომ სექციაში განცხადება შევიტანე და მოვითხოვე ამ მოვლენის აღმოსაფხვრელად სათანადო ზომების მიღება. ეს ასეც მოხდა. ამ მეპურეების ადგილას გაიხსნა „ზაკტპო“-ს და რაბველ ამხანაგობათა საზოგადოების პურის საცხობები.

სექციის მუშაობას აქვს ნაკლიც. მაგ. ზოგიერთ კოოპერატიულ სავაჭროებში ფასების სიჭრელეა; პლეხანოვის პროსპ. მუშკოოპის მაღაზიაში ვიყიდე 400 გრ. ნამცხვარი 48 კაპ., იმავე ხარისხის იგივე ნამცხვარი სადგურის ქ. არსებულ მუშკოოპში 54 კაპ. დამიფასეს. ამას წინეთ კოოპერატიულ გასტრონომიულ მაღაზიაში ღვინის საყიდლად შევედი. ერთმა ნოქარმა ერთი ბოთლი ღვინო 50 კაპ. დამიფასა, მეორემ—60 კაპ., ბოლოს როცა ვიკითხე, რატომ ჰქონდა ადგილი ასეთ მოვლენას ღვინო 55 კაპ. მომცეს. ასე იმით აიხსნება, რომ აღნიშნულ მაღაზიაში ნიხრი არაა გამოკიდებული. სექცია ნაკლებ ყურადღებას აქცევს ასეთ მოვლენებს.

ვინ მუშაობდა აქტიურად

(სად. თბილისის მოძრაობის დარგში)

გასულ წელს სადგ. თბილისის მოძრაობის დარგის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებამ, თბ. საბჭოს წევრებად აირჩია 17 კაცი. უნდა ითქვას, რომ მათი მონაწილეობა საბჭოს საქმიანობაში შედარებით წინანდელთან, საგრძნობლად გაუმჯობესდა. ისინი სისტემატიურად ესწრებიან სექციების სხდომებს, როცა ამის საშუალებას მათ მუშაობის თავისებური პირობები აძლევს. ერთი დეპუტატი ამხ. მახარაძე ყოველ ორშაბათობით სამსახურიდან განთავისუფლებულია და დილიდან მუშაობის გათავებამდე ჩაბმულია საბჭოს მუშაობაში. აღსანიშნავია ისიც, რომ იმ პრაქტიკული წინადადებებიდან, რომელიც მისცეს ამომრჩევლებმა საბჭოს დეპუტატებს უმრავლესობა შესრულებულია.

სად. თბილისის მეისრის ამხ. პაიჭაძის წინადადებით, ლენინის უბანში 9 ქმათა ჩიხში გაყვანილ იქნა ზაჰესის სინათლე; დაიდგა ელექტრონის ბოძები; დაწყებულია ქუჩების კეთილმოწყობა და სხვ.

ასევე ითქმის ჯანმრთელობის დაცვის და კოოპერაციის განვითარების საქმეზე. გარდა ამისა აქტიურადაა საბჭოს საქმიანობაში ჩაბმული ამხ. გ. ხანაკოევი, მუქერია, წილოსანი და სხვ.

დასასრულ უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა არჩევნებთან დაკავშირებულ კამპანიებს ფართოდ აშუქებდა ადგილობრივი კედლის გაზეთი „ნიშანსვეტი“-ც.

მეისრე.

ამომრჩეველთა შენიშვნები

საბჭო ყურადღებას არ გვაქცევდა

(ახალი ბაზრის ადგილკომი)

ახალი ბაზრის (ყოფ. დეზერტირების) ადგილკომი აერთიანებს 180 შინამრეწველ ხელოსანს და შეგირდს, ყველა მათგანი კავშირის წევრებად ითვლებიან. ადგილკომი მხოლოდ ხელოსან შინამრეწველთა და შეგირდების ინტერესებს იცავს, მაგრამ უნდა ითქვას, რომ თბილისის საბჭო არავითარ ყურადღებას არ აქცევს ადგილკომს. არსებულ წესის თანახმად ჩვენი კავშირის წევრებსაც ისეთივე უპირატესობა აქვთ, როგორც სხვა კავშირის წევრებს; ვირჩევთ საბჭოს დეპუტატებს; ვაწევრებთ კავშირის წევრებს და სხ.

ადგილკომის შენობაში თბილისის საბჭო ჩვეულებრივად გვახდევინებს ფულს, როგორც კერძო სავაჭრო დარაბა. ამ გადასახადისაგან განთავისუფლების შესახებ ჩვენ მივმართეთ აღმასკომს, მაგრამ ამაოდ აღმასკომმა ყურადღებაც არ მოგვაქცია. ბაზარს ღობე არ ჰქონდა. ადგილკომმა ეს საქმე გააკეთა საკუთარი თანხებით. ეს იმ დროს, როდესაც აღმასკომი მოვალე იყო თავის ხარჯით გაეკეთებინა ღობე. ჩვენი ბაზრის კეთილმოწყობის საქმეში არაფერი გაკეთებულა. წვიმა-ავდრების დროს აქ გაუვალი ტალახები დგება; არც ერთ კუთხეში კომუნალურ სექციას ქვაფენილი არ დაუგია.

გარდა ამისა, ბაზარში, განსაკუთრებით საპირფარეშოსა და ნაგვის ყუთის მახლობლად, ანტისანიტარული მდგომარეობა. ჯანმრთელობის სექციის აზრადაც არ მოსვლია, რომ ბაზარში ერთი პატარა ამბულატორია დაეარსებინა შეგირდებისა და ხელოსნებისათვის საექიმო დახმარების აღმოსაჩენად. კოოპერატიული ორგანიზაციები დაწესებულ სამომხმარებლო საქონელს, ჩვენი ბაზრის კოოპერატივებზე ასაღებენ. ამას წინად ხელოსნებსა და შინამრეწველებს 25-მდე დარაბა დაეწვა. და ძლივს სალაროდან აღმასკომმა მთლიანად ფული მიიღო, მხოლოდ კავშირის წევრ-ხელოსნებს ერთი მეოთხედი მისცა. ამაზე აღვძარით შუამდგომლობა, მაგრამ ყურადღება არავინ მოგვაქცია.

საჭიროა სავაჭრო კოოპერატიულმა სექციამ გამოიკვლიოს ჩვენი ბაზრის „ზაკტპოს“ და „მიასოტორგის“ საყასბოები, რადგან უკანასკნელნი დაბალი ხარისხის ხორცს ჰყიდიან მუშებზე.

უკვე სამი წელია, რაც ბაზრის კეთილმოწყობის შესახებ პროექტი შედგენილია, მაგრამ მუშაობის დასაწყებად თანხა ჯერ არ არის გაღებული. რამოდენიმე სავაჭრო დარაბა ღია ცის ქვეშ ლპება. ადგილკომმა აღძრა შუამდგომლობა აღმასკომის წინაშე, რათა აღნიშნული დარაბები კავშირის წევრთათვის დაკლებულ ქირით დაეთმო, მაგრამ აღმასკომმა არც ამას მიაქცია ყურადღება, რის გამო სახაზინო ქონება ტყუილად ფუჭდება.

მე-12 რაიონის მილიციის უფროსის განკარგულებით, ახლო-მახლო სოფლებიდან ჩამოსულ გლეხებს, რომელთაც სურსათ-სანოვაგე აქვთ გასაყიდი, ბაზარში არ აჩერებენ. ამიტომ საჭიროა ბაზარში შემოსულ საქონლისათვის მოეწყოს ერთი ბაკი.

ყველა ამას თბილისის საბჭოს სექციებმა ყურადღება უნდა მიაქციონ და იზრუნონ ახალი ბაზრის კეთილმოსაწყობად.

ხელოსანი.

სექციებმა გარე უბნებსაც უნდა მიხედონ

(კომუნალურ სექციის საყურადღებოდ)

დიდუბის განაპირა უბანში, კერძო პირებმა უნებართვოთ მიიზომეს მიწა, გაიშენეს სახლები, მოაწყვეს საქონლის სადგომი ბაკები და თავისუფლად სცხოვრობენ. საქონლის სადგომებიდან მათ კარგი შემოსავალი აქვთ. ასეთ მოვლენას მეტი ყურადღება ესაჭიროება.

ღრმა-ღელეში სცხოვრობს აგურის ქარხნის 250 მუშა, აქ გახსნილია კერძო დუქანი და მისი მეპატრონე საქონელს ერთი-ორად ჰყიდის. გარდა ამისა, მგზავრ გლეხებს ხშირად უხდებათ დუქანში ღამის დათევა და იყო შემთხვევა, რომ გლეხებმა ნავაჭრი საქონელი დაკარგეს.

სავაჭრო კოოპერატიულმა და კომუნალურმა სექციამ ღრმა ღელესაც უნდა მიაქციონ ყურადღება.

ნ. ტ.

მნიშვნელოვანი ნაკლი

ქალაქის ჯანმრთელობის განყოფილების მუშაობის გაცხოველებაში დიდი ღვაწლი მიუძღვის ქალაქის საბჭოს ჯანმრთელობის სექციასაც. სექციამ დაუახლოვა ჯანმრთელობის განყოფილებას მუშათა ფართო მასა და თვით სექციის წევრთა დიდი რაოდენობა ჩაება ჯანმრთელობის დაცვის საქმიანობაში.

ამავე დროს სექციას აქვს ნაკლიც, რაც გამოიხატება შემდეგში: ჯანმრთელობის სექციამ გამოჰყო კომისია მუშების საცხოვრებელ ბინების დასათვალიერებლად. კომისიამ დაათვალიერა ბინები და ამით დაკმაყოფილდა, არავითარი ღონისძიება მუშების ბინების გასაუმჯობესებლად არ გამოუმუშავებიათ. ჭლექით დაავადებული ზოგიერთი მუშები ნესტიან სარდაფებში ცხოვრობენ. მათი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ჯანმრთელობის სექციას თითქმის არაფერი გაუკეთებია. საერთოდ სექცია ნაკლებ ყურადღებას აქცევდა დისპანსერში აღრიცხულ მუშებს.

გარდა ამისა არ არის მოგვარებული მუშების ბინებზე საექიმო დახმარების აღმოჩენის საკითხი. საავადმყოფოში ავადმყოფების წესიერად მიღების საკითხი და სხვ. ხშირია შემთხვევა, როდესაც დაზღვეული აფთიაქებში დაეძებს თევზის ქონს, მაგრამ ვერ შოულობს. თუ აღმოჩნდა სადმე, უფასოდ არ აძლევენ.

სექციამ მომავლისათვის ამ ნაკლულოვანებათა გამოსწორებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს.

კოტე გოგიბერიძე.

წინასწარი სამზადისი ადგილებზე

სენაკის სამაზრო აღმასკომის პლენუმი

4 მარტს დაიხურა სენაკის სამაზრო აღმასკომის პლენუმი, რომელზედაც მოსმენილ იქნა სამაზრო აღმასკომის საანგარიშო მოხსენება. მოხსენებიდან გამოირკვა, რომ საგზაო კამპანია მაზრაში მთლიანად არის გატარებული: სათემო და სამაზრო მნიშვნელობის ყველა გზები შეკეთებულია. აგებულია ახალი ხიდები მდინ. ცივაზე და ტეხურზე. კურორტ ლებარდეში აშენებულია სამი ახალი სახლი, გაყვანილია გზა, რომლის სიგრძე უდრის 5 კილომეტრს. ამჟამად სწარმოებს ინტენსიური მუშაობა სარწყავ არხების გასაყვანად სოფელ მარანში, სუჯუნაში, აბაშაში, ეკში და ნაქალაქევში. მაზრაში არსებული ხე-ტყის სახერხი ქარხნები შეკეთებულია. აბაშის ჰიდრო-ელსადგურის აგება მთავრდება და სადგური მუშაობას დაიწყებს 1 მაისიდან.

სამაზრო აღმასკომს დიდი ყურადღება აქვს მიქცეული სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის. მიღებულია ზომები ჩაის პლანტაციების გაფართოებლად, რისთვისაც აღრიცხვაზეა აღებული 140 ჰექტარი მიწა. ძველ სენაკში ეწყობა პუნქტები ჯიშიან ღორების და ქათმების მოსაშენებლად, ბანძაში და მარტვილში ეწყობა ვაზის სანერგეები.

მნიშვნელოვანი მიღწევებია სახალხო განათლების დარგში. სასკოლო ქსელი გაფართოებულია გლეხთა ახალგაზრდობის 3 სკოლით, ორ ოთხწლედით, ერთი პროფსკოლით და ერთი საბავშვო ბაღით. ამჟამად სოფელ კიწიაში, ბანძაში, ზანაში, მარნაში და ნაქალაქევში სწარმოებს ახალ შენობების აგება შვიდწლედებისათვის და გლეხთა ახალგაზრდობის სკოლებისათვის. ახალ-სენაკში შენდება ორი შენობა პედაგოგიურ და სასოფლო-სამეურნეო ტეხნიკუმებისათვის.

სამაზრო აღმასკომის მუშაობა პლენუმმა სცნო სავსებით დამაკმაყოფილებლად.

პლენუმმა აგრეთვე მოისმინა საზოგადოება „საქართველოს ჩაი“-ს თავმჯდომარის ამხ. ქავთარაძის მოხსენება ჩაის საქმის და მისი განვითარების შესახებ საქართველოში და გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხის კამპანიის მსვლელობის შესახებ.

ასეთი მუშაობით შორს ვერ წავალთ

წედისის თემი, რაჭის მაზრა

ზემოხსენებულ თემსაბჭოს და მისი აღმასკომის საქმიანობა საანგარიშო ხნის განმავლობაში ძალზე სუსტად მიმდინარეობდა. ერთად-ერთ მიღწევათ აღმასკომის საქმიანობაში შეიძლება ჩაითვალოს სოფ. ქვედში კოოპ-სამკითხველოსთვის შენობის აგება.

წედისის თემი რამოდენიმე სოფელს აერთიანებს, მაგრამ დანარჩენ სოფლებში აღმასკომის და საბჭოს ხელმძღვანელობით არავითარი საქმე არ გაკეთებულა, უნუგეშო მდგომარეობაში იმყოფება აგრეთვე სასოფლო გზები. საბჭოს შეეძლო ამ მდგომარეობისთვის ყურადღება მიექცია და გამოეყენებია სავალდებულო დადგენილება საგზაო ბეგარის შესახებ, მაგრამ ამისთვის თავი არავის შეუწუხებია და გზების უვარგისობით გაწვალებულია ადგილობრივი მოსახლეობა.

ეხლა ორიოდე სიტყვით შევეხოთ თვით საბჭოს. დებულების მიხედვით საბჭოსთან უნდა ჩამოყალიბდეს სექციები, რომლებიც წინასწარ დაამუშავებენ სხვადასხვა საჭირბოროტო საკითხებს საბჭოს პლენუმზე გადასაცემათ. სექციებს, თუ მათი მუშაობა ნორმალურ კალაპოტში იქნება ჩაყენებული, დიდი დახმარების გაწევა შეუძლიათ საბჭოს მუშაობის გამოსაცოცხლებლად.

გაკეთდა თუ არა რაიმე ამ მიმართულებით წედისის თემში?

სრულიად არაფერი. საბჭოსთან არც ერთი სექცია არ არის ჩამოყალიბებული. სექციები ქაღალდზედაც არ არსებობენ.

მიმდინარე საკონკურსო კამპანია ბევრ ნაკლს გამოააშკარავებს საბჭოთა სექციების და მთლიანად საბჭოს მუშაობაში. ამ კამპანიის ჩატარების შემდეგ აუცილებლად საჭიროა სათემო საბჭოების ხელმძღვანელობის გაძლიერება, როგორც სამაზრო აღმასკომების, ისე უმაღლესი ორგანოების მიერ.

მიმდინარე კამპანიამ უნდა გამოასწოროს ყოველგვარი ნაკლულოვანებანი წედისის სათემო საბჭოს შემდგომ მუშაობაში.

მახვილი.

საქ. ცაკის პრეზიდიუმში

8 მარტის ჩამტარებელი კომისია

საქართველოს ცაკის პრეზიდიუმმა გამოჰყო ქალთა საერთაშორისო დღის —8 მარტის —ჩამტარებელი ცენტრალური კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ამხ. ფ. მახარაძე (თავმჯდომარე), **ქ. ხომერიკი, ვ. ჯაფარიძე, გ. კუჭაიძე, ხ. თოდრია, ვ. იმედაძე, ჩხიკვიშვილი, ა. გეგეჭკორი, მ. ტოროშელიძე** და **ქ. კაკაბაძე.**

ლიკვიდაცია

ცაკის პრეზიდიუმმა დაადგინა გააუქმოს ცაკთან არსებული ომის ინვალიდთა, ავადმყოფ და დაჭრილ წითელარმიელთა დამხმარე კომიტეტი. კომიტეტის ლიკვიდაციის მოხდენა დაევალა ცაკის სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილებას.

სასამართლო უბნები

ცაკის პრეზიდიუმმა დაამტკიცა იუსტიციის სახალხო კომისარიატის მიერ წარმოდგენილი გეგმა დუშეთის მაზრის სახალხო სასამართლოს უბნებათ დაყოფის შესახებ.

დამტკიცებული გეგმით **დუშეთის სახალხო სასამართლოს უბანს** მიეწერა თვით. ქალ. დუშეთიდან ბაზალეთის, მჭადიჯვარის, მუხრანის, ნატახტარის, საგურამოს, ჭოპორტის, ანანაურის, ჟინვალის, მაღაროსკარის და უკანაფშავის თემები.

ფასანაურის სახალხო სასამართლოს უბანს მიეწერა: ფასანაურის, მლეთის და ყაზბეგის თემები.

გლეხთა სახლის საბჭო

ცაკის პრეზიდიუმმა დაადგინა გლეხთა ცენტრალურ სახლთან დაარსებული იქნეს საბჭო. საბჭოს თავმჯდომარეთ დამტკიცებული იქნა სოცუზრუნველყოფის განყოფილების გამგე ამხ. ქ. ხომერიკი.

საქ. ცაკის სოც. უზრუნველყოფის განყოფილებაში

რამდენი კაცია აყვანილი აღრიცხვაზე

საქ. ცაკის სოც. უზრუნველყოფის განყოფილებაში წარმოდგენილი საბიუჯეტო წლის პირველი კვარტალის ანგარიშის მიხედვით:— ქუთაისის სამაზრო აღმასკომის სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილებაში სულ აღრიცხულია და სოც. უზრუნველყოფაზე არის აყვანილი ომის ინვალიდი 404 კაცი, შრომის ინვალიდი 76, ნივთიერად გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩავარდნილი პირი 218, ომში მოკლულების და უგზო-უკვლოდ დაკარგული პირების 106 ოჯახი და გარდაცვლილ ომის და შრომის ინვალიდების 15 ოჯახი. ამათგან ქუთაისის აღმასკომის სოც. უზრუნველყოფის განყოფილებამ მიმდინარე საბიუჯეტო წლის პირველ კვარტალში (სამ თვეში) პენსიების და ყოველთვიური დახმარების სახით დაურიგა 112 კაცს ომის ინვალიდს—2.158 მანეთი, 184 შრომის ინვალიდს—2.687 მანეთი, ომში მოკლული და უგზო-უკვლოდ დაკარგული მეომრების 31 ოჯახს—790 მანეთი და გარდაცვლილი ომის და შრომის ინვალიდების 15 ოჯახს—315 მანეთი.

გლეხის სასახლეში

საქართველოს ცაკთან არსებულ გლეხის ცენტრ. სასახლეში გასულ თებერვალში ჩამოვიდა და ღამე გაათია 1346 გლეხმა. ამათგან კაცი იყო—1264 და ქალი 82. ეროვნების მიხედვით ქართველი იყო 1023, რუსი—125, სომეხი—93, თათარი—71 და სხვადასხვა ეროვნების 34 კაცი. თებერვალში გლეხის სასახლემ უფასოდ მისცა სადილი 235 ღარიბ გლეხს და ფასდაკლებით ასადილა 113 გლეხი, უფასოდ აღმოუჩინა საექიმო დახმარება—75 გლეხს, უფასოდ მისცა იურიდიული რჩევა-დარიგება 50 გლეხს, საავადმყოფოში მოაწყო 28 გლეხი, უფასოდ დაურიგა წიგნაკები—375 გლეხს და უფასოდ აბანავა გლეხის სასახლის აბანოში—1180 გლეხი, უფასოდ გაათევინა ღამე—461 გლეხს და სამგზავრო დახმარება აღმოუჩინა 6 გლეხს. აღნიშნული თვის განმავლობაში გლეხის სასახლის ბაკში გაიარა 417 გლეხის ურემმა, 63 „ტაჩკამ“ და 1162 სულმა ოთხფეხმა საქონელმა. გლეხთა სასახლემ გლეხებისათვის თებერვალში 18-ჯერ გამართა ლექციები და საუბრები, 2-ჯერ გამართა წარმოდგენა-კონცერტი და 13-ჯერ აჩვენა გლეხებს კინო-სურათი.

საქ. სახკომსაბჭოში

მიზნობრივი ანარიცხების ნარჩენების აკრეფა

სახკომსაბჭოს და ეკონომიურ საბჭოს გაერთიანებულმა სხდომამ დაავალა ფინსახკომს გამოარკვიოს სახელმწიფო და ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებათა 1926—27 წ. მუშათა საბინაო აღმშენებლობის სასარგებლოდ დაწესებული მიზნობრივი ანარიცხების დავალიანების რაოდენობა.

საქართველოს დელეგატები ეპიზოოტია-ეპიდემიასთან ბრძოლის კონფერენციაზე

საქართველოს ს. ს. რ. წარმომადგენლებად ეპიზოოტია-ეპიდემიასა და ბამბის მავნებლებთან საბრძოლველად ქ. მოსკოვში ა.-წ. მარტის 15-სათვის მოწვეულ კონფერენციაზე დამტკიცებულ იქნენ ამხ. **ი. ფრანგულიანი** (ჯან. სახ. კომისარიატიდან), **მ. ძამანაშვილი** (მიწსახკომიდან) და **თა მამულია** (ს. მ. უ. ს.).

ღვინის სარდაფის მოწყობა ქ. თელავში

ქ. თელავში ღვინის სარდაფის აგების ხარჯთ აღრიცხვა დამტკიცებულ იქნა 130.728 მან. რაოდენობით.

კოოპერატივის შენობის აგება ქ. ფოთში

ნება მიეცა ფოთის აღმასკომს აიღოს თბილისის ქალაქის ბანკიდან გრძელვადიანი სესხი 18.000 მნა. რაოდენობით,—კოოპერატივის შენობის ასაგებათ.

დაზღვეულთა საექიმო დახმარების ფონდის შესახებ

სახკომსაბჭოს და ეკონომიურ საბჭოს გაერთიანებულ სხდომამ საჭიროდ სცნო აღიძრას შუამდგომლობა ს. ს. რ. კ. სათანადო ორგანოების წინაშე, რათა დაზღვეულთა საექიმო დახმარების საკავშირო ფონდიდან გაღებულ იქნეს საქართველოს სამკურნალო დაწესებულებათა პირველი რიგის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად საჭირო სახსარი 1.588.000 მან. რაოდენობით.

საიმპორტო კონტინგენტის განაწილება

ა.-კ. სახკომსაბჭოს 1927 წ. დეკემბრის 29-ის დადგენილებით, საქართველოს ს. ს. რ. კომუნალურ მეურნეობათათვის გამოყოფილი 1927—28 წ. საიმპორტო კონტიგენტი 136.420 მან. რაოდენობით განაწილებულ იქნა შემდეგნაირად: ბორჯომის მინერალური წყლის სამმართველო 620 მან., თბილისის აღმასკომს 124450 მან., ფოთის აღმასკომს 4.150 მან., ქუთაისის აღმასკომს 5.675 მან. და თელავის აღმასკომს 1.525 მან.

იმავე დადგენილებით საქართველოსათვის გამოყოფილი ფერადი ლითონის იმპორტის კონტიგენტი 40.000 მან. განაწილებულ იქნა შემდეგნაირად: ქ. თბილისს 18 000 მან., გორს 5.600 მან., ქუთაისს 2.000 მან., ჭიათურას 1.500 მან., ზესტაფონს ათასი მანეთი და სხვ.

აჭარისტანის რესპუბლიკას 2.000 მან., აფხაზეთის რესპუბლიკას 2.000 მან., სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქს 300 მან.

პროფკავშირთა საკლუბო თათბირი

მეორე სხდომა

საკლუბო მუშაობის შედეგები და ამოცანები

საკლუბო თათბირის მეორე დღის დილის სხდომაზე გაგრძელდა კამათი ამხ. **ფირალიშვილის** მოხსენების გარშემო საკლუბო მუშაობის შედეგებისა და ამოცანების შესახებ კამათში გამოსული ამხანაგები ეხებოდნენ კლუბების ფინანსიურ-ნივთიერ მდგომარეობას, საკლუბო მუშაობის ხასიათს და შინაარს, კლუბის მუშაკთა კვალიფიკაციის და მომზადების საკითხებს და სხვა. ორატორები ერთხმად აღნიშნავდნენ კლუბების უმწეო ფინანსიურ მდგომარეობას—განსაკუთრებით პროვინციალურ ქალაქებში, კლუბები მოკლებულ არიან საშუალებას დაფარონ კომუნალური ხარჯები, რადგანაც მათ არა აქვთ შემოსავალი და არც ცენტრალური გამგეობებიდან ღებულობენ სამაო დახმარებას. ეს ხარჯები კი ფრიად საგრძნობია, რადგან მათთვის არ არსებობს არავითარი შეღავათები კომუნალური ხარჯების გადახდის საქმეში. სწორედ ამ უსახსრობით აიხსნება ის კომერციული განხრა, რომელიც ზოგიერთ კლუბის მუშაობას ახასიათებს.

ორატორების გადმოცემით, უნუგეშო მდგომარეობაში არიან კლუბები (განსაკუთრებით პროვინციაში) სათანადო შენობების უქონლობის მხრით. შენობები მეტ წილად იმდენად ვიწროა, რომ ვერ იტევს ყველა წევრებს—კლუბების მოწყობაც ვერ ხდება სათანადო სიმაღლეზე, რაც იმავე უსახსრობით აიხსნება.

მთელი საკლუბო მუშაობის სიმძიმე აწვება კლუბის გამგეს, რომელიც ზომაზე მეტად არის დატვირთული საქმეებით და მოკლებულია თვითგანვითარების საშუალებას, რომ ფეხ და ფეხ მისდიოს საკავშირო მასის კულტურულ ზრდას. კლუბის მუშაკის მომზადება და მაღალი კვალიფიკაცია კი აუცილებელი პირობაა საკლუბო მუშაობის ხარისხის ამაღლებისათვის.

ორატორებს საჭიროდ მიაჩნიათ კლუბის მუშაკთა გადამზადება, კლუბებთან კულტ-კაბინეტის მოწყობა, რომელიც იკისრებს საკლუბო მუშაობით მიღებულ გამოცდილების ლაბორატორიულ დამუშავებას,—ამხანაგები მიზანშეწონილად სცნობენ აგრეთვე შემოღებულ იქნეს გამოცდილების ეროვგვარი გაცვლა გამოცვლა ცალკე კლუბებს შორის,—რისთვისაც აუცილებელია კლუბებმა აწარმოონ თავიანთი მუშაობის აღრიცხვა,—გამოკვლევა და დაწვრილებით შესწავლა.

კამათი დამთავრდა ამხ. ფირალიშვილის საბოლოო სიტყვით, რომელიც წარმოადგენდა თათბირზე წარმოთქმულ მოსაზრებათა კონკრეტიულ დასკვნას.

მესამე სხდომა

6 მარტის საღამოს სხდომაზე თათბირმა მოისმინა ამხ. **მხიტაროვის** მოხსენება პროფკავშირების სამხატვრო მუშაობის შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სამხატვრო მუშაობის განსავითარებლად აუცილებელია, რათა კლუბების გამგეობებმა და სამხატვრო კომისიებმა გააძლიერონ ინსტრუქტაჟი და ხელმძღვანელობის გაწევა სამხატვრო წრეებისათვის. სამხატვრო კომისიები დაარსებული უნდა იქნეს ყველა კლუბებში. წრეების მუშაობაში გეგმიანობის გაძლიერების მიზნით საჭიროა განტვირთული იქნეს წრეები ხშირი კამპანიებისათვის სამსახურის გაწევისაგან და დაწესებული იქნეს განსაზღვრული ნორმა წრეების გამოსვლებისა.

მუშა - მაყურებლისათვის უკეთესი სამსახურის გაწევის მიზნით საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს საკლუბო ესტრადას, რომელიც წარმოადგენს პირველადი სამხატვრო მუშაობის ერთ-ერთ ძირითად ფორმას. ამავე დროს სამხატვრო მუშაობის ღირსების გასაუმჯობესებლად აუცილებელია მაქსიმალურად იქნეს გამოყენებული მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტები და ადგილობრივი თეატრები, რომლებიც უნდა დაუახლოვდნენ საკლუბო სცენას.

საჭიროა აგრეთვე გაძლიერებული იქნეს მასიური სამუსიკო - აღმზრდელობითი მუშაობა, რისთვისაც ახლო მომავალში ჩატარებული უნდა იქნეს სამუსიკო მუშაობის ხელმძღვანელთა აღრიცხვა; შემდეგში ამ საქმეში გამოყენებული უნდა იქნენ მხოლოდ სპეციალისტები და სახელმწიფო კონსერვატორიის სტუდენტები. აუცილებელ საჭიროებად უნდა ჩაითვალოს წრეების მიერ ნოტების შესწავლა, ურომლისოდაც შეუძლებელია სერიოზული მუსიკალური ნაწარმოებების შესრულება.

მუშა - მაყურებლისათვის მხატვრული სამსახურის გაწევა მომავალში უნდა მიმდინარეობდეს შემდეგი მიმართულებით: მაქსიმალურად გამოყენებული უნდა იქნეს არსებული სათეატრო დაწესებულებანი და აგრეთვე გაუმჯობესებული და გაძლიერებული უნდა იქნეს მუშათა სალაროს მუშაობა. აუცილებელ საჭიროდ უნდა ჩაითვალოს საესტრადო ძალების და მათი რეპერტუარის უფრო დაკვირვებით შერჩევა მომავალში.

მოხსენების გარშემო გაიმართა გაცხოველებული კამათი. ორატორები უმთავრესად ეხებოდნენ სამხატვრო წრეების მუშაობას და აღნიშნავდნენ, რომ აუცილებელია მათი თანხებით უზრუნველყოფა და განტვირთვა, რადგან ზოგიერთ წრეებს ძალიან ხშირად უხდებათ გამოსვლა.

აღნიშნული იყო აგრეთვე, რომ ხელოვნების მუშაკთა საშუამავლო ბიურო კვალიფიცირულ ძალებს ვერ აწვდის მუშათა კლუბებს, მაღალ კვალიფიკაციის მსახიობებზე დიდი ტარიფებია დაწესებული და სხვა.

გამოფენები სახელმწიფო უნივერსიტეტში

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ათი წლის თავის აღსანიშნავად სახ. უნივერსიტეტთან გაიხსნა სხვადასხვა დარგის სტუდენტთა ნამუშევარის გამოფენა. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ქიმიო-ფარმაცევტიული გამოფენა, რომელიც გახსნილია უნივერსიტეტის ქიმიო-ფარმაცევტიულ ლაბორატორიასთან. აღნიშნული ლაბორატორია შესდგება რამოდენიმე განყოფილებისაგან და მისი დანიშნულებაა მომზადდეს საბჭოთა ქარხნებისათვის საჭირო გამოცდილი სპეციალისტები, ქიმიკოსი ფარმაცევტები და ე. წ. მწარმოებელი ქიმიკოსები. ლაბორატორიას განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა წამლების დამზადებისათვის საქართველოში არსებულ სამკურნალო მცენარეულობისაგან.

დიდ ოთხსართულიან შენობის სარდაფში მოწყობილია სამანქანო განყოფილება, სადაც სწარმოებს სამკურნალო მცენარეულობის გადამუშავება. საწარმოო განყოფილებაში დადგმულია ყველა საჭირო მანქანები და ქვაბები, რომლებზედაც მუშაობენ სტუდენტები. ამ განყოფილებაში სწარმოებს გვირის, ძირტკბილას, პანტა მაყალო ვაშლის, შმაგის (ძაღლყურძენა), პიტნის და მთელ რიგ სხვა მცენარეულობიდან ისეთი წამლების დამზადება, რომლებიც უმთავრესად საიმპორტო საქონლათ ითვლება.

გამოფენაზე წარმოდგენილია რამოდენიმე ათეული ისეთი მედიკამენტები, რომლებიც აფთიაქებში აღარ იშოვება და რომლის დამზადება მხოლოდ გერმანიაში სწარმოებს.

გამოფენა დიდძალ საზოგადოებას იზიდავს.

პოლიტეხნიკური ფაკულტეტის სტუდენტთა ნამუშევრების გამოფენა

5 მარტს დაიხურა სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტეხნიკური ფაკულტეტის სტუდენტთა ნამუშევარის გამოფენა, რომელიც გახსნილი იყო უნივერსიტეტის არსებობის ათი წლის თავის აღსანიშნავად.

გამოფენაზე წარმოდგენილი ექსპონატები დანაწილებული იყო შემდეგ განყოფილებებათ: სამშენებლო, სამთამადნო, გეოდეზიური, სამეურნეო, ელექტრო ტეხნიკური და სხ. თვითეულ განყოფილებაში წარმოდგენილი იყო სტუდენტთა ნახაზები სხვადასხვა მანქანების გეგმები, სანიმუშო-საპროექტო გეგმები და სხვა.

გამოფენაზე განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევდა სამშენებლო დარგის ნიმუშები და სამთამადნო განყოფილების ექსპონატები, სადაც მნახველებს უჩვენებენ ზოგიერთი მადნების დამუშავებას, ნავთის წმენდის პროცესს, ფლორიდინის მადნის გამოყენების და სხვა.

ქალთა საერთაშორისო დღისათვის

რკინის გზელები და 8 მარტი

რკინისგზელთა პროფესიონალურმა კავშირმა შეიმუშავა გეგმა ქალთა საერთაშორისო დღის—8 მარტის ჩასატარებლად.

კავშირს გადაწყვეტილი აქვს ამ დღის აღსანიშნავად შეიძინოს საკერავი მანქანები და საჩუქრად დაურიგოს ამიერ-კავკასიის რკინ. გზის ხაზზე არსებულ ჭრა-კერვის ყველა კუთხეს.

რკინის გზის ჯანმრთელობის განყოფილება ამავე დღისათვის გახსნის ქალთა საექიმო და პროფილაქტიურ ახალ დაწესებულებებს.

8 მარტის აღსანიშნავად გაიხსნება: ბაქოში პედოლოგიური ლაბორატორია, ბალაჯარაში—ქალთა კონსულტაცია და ერევანში—ბავშვთა კონსულტაცია. აგრეთვე ხაშურსა და ქუთაისში გაიხსნება ბავშვთა კონსულტაციები.

თბილისში არსებულ ქალთა კონსულტაციასთან გადაწყვეტილია გაიხსნას ტერაპევტიული კაბინეტი და იურიდიული რჩევა-დახმარების ბიურო.

8 მარტის აღსანიშნავად „ზაკტპომ“ გაიღო 5000 მანეთი. ამ ფულით რკინის გზის კოოპერატივებში ჩაბმული იქნება 500 ოჯახის დიასახლისი. ამას გარდა „ზაკტპო“-ს გამგეობაში წამოყენებული იქნება ერთი ქალი. აგრეთვე ქალები წამოყენებული იქნება რკინის გზის კოოპერატივებში სხვადასხვა თანამდებობაზე.

მიღებულია ზომები რკინის გზელთა კლუბებთან ბავშვთა კლუბ-ოთახებისა და კონსულტაციების მოსაწყობად.

აგრეთვე გაფართოებული იქნება ბავშვთა და დედათა დაცვის საქმე მთელ ამიერ-კავკასიის რკინის გზის ხაზზე.

პიონერები და 8 მარტის დღესასწაული

ქალთა საერთაშორისო დღისათვის, საქარ. ახ. ლ. კ. კ. ცენტრ. კომიტეტმა საქ. პიონერთა ორგანიზაციებს დაავალა შემდეგი ღონისძიებების გატარება:

პიონერთა კოლექტივებში და სკოლებში უნდა გაშუქდეს საკითხები: ქალი წინად და ეხლა, ქალის მონაწილეობა საბჭოთა კავშირის კულტურულ მშენებლობაში და ჩვენი ქვეყნის თავდაცვაში.

წარმოებებში და სასოფლო - სამეურნეო დაწესებულებებში უნდა მოეწყოს პიონერთა ექსკურსიები წარმოებაში ჩაბმულ ქალთა მუშაობის გაცნობის მიზნით.

პიონერ კოლექტივებმა დახმარება უნდა აღმოუჩინონ კლუბებსა და ქოხსამკითხველოებს დიაგრამების შედგენაში და პლაკატებისა და ლოზუნგების დამზადებაში.

პიონერ - კოლექტივების და სკოლების კედლის გაზეთებში ფართედ უნდა გაშუქდეს 8 მარტის დღესასწაულის ჩატარების მნიშვნელობა და აგრეთვე ის, თუ რა გააკეთეს პიონერებმა ოჯახურ საქმიანობაში დედის შრომის გაადვილების მხრივ. კოლექტივებმა შეძლებისამებრ უნდა იკისრონ პიონერთა ოჯახური ყოფა-ცხოვრების გამოკვლევა. მათ უნდა გამოარკვიონ თუ რა გააკეთეს პიონერებმა დედისა და დების წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის ოჯახში.

ეროვნულ ორგანიზაციების კოლექტივებში (ახალციხე, ახალქალაქი, აჭარისტანი, ბორჩალო), სადაც ახალგაზრდა ქალთა მცირე რიცხვია, უნდა მოეწყოს სპეციალური საღამოები ორგანიზაციულად გაუერთიანებელ ახალგაზრდა ქალთათვის პიონერთა ორგანიზაციაში მათი ჩაბმის მიზნით.

8 მარტის დღესასწაულთან დაკავშირებით, უნდა მოხდეს აქტიურ პიონერ-ახალგაზრდა ქალთა მიღება ახკომკავშირში. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ეროვნულ უმცირესობათა ახალგაზრდა ქალების ჩაბმის საქმეს საქ. ახ. ლ. კ. კ.-ში.

8 მარტისათვის კოლექტივებში, სკოლებში, კლუბებში და ქოხ-სამკითხველოებში უნდა მოეწყოს საბავშვო დილა და საღამოები სათანადო პროგრამით. როგორც ქალაქში, აგრეთვე სოფლებში ადგილობრივ პირობების მიხედვით, პიონერთა კოლექტივებში უნდა შემუშავდეს გეგმები დღესასწაულში მონაწილეობის მიღების შესახებ.

ძველ ბოლშევიკთა საზოგადოებაში

ორშაბათს, 5 მარტს, ს. კ. პ. ც. კ. ბინაზე ამხ. მ. ტოროშელიძის თავმჯდომარეობით შესდგა ძველ ბოლშევიკთა საზოგადოების დროებით ბიუროს სხდომა, რომელსაც დაესწრნენ: ამხ. ვ. სტურუა, ვ. ბოლქვაძე, ა. ნაზარეტიანი, თენგიზ ჟღენტი, შამშე ლეჟავა, ან. ფირცხალავა და ს. თოდრია.

სხდომამ იმსჯელა დღის წესრიგში დასმულ საკითხების გარშემო და დაადგინა: 1. მოსკოვის ძველ ბოლშევიკთა საზოგადოების წესდების მიღება მცირეოდენი ცვლილებით. 2. არჩეულ იქნა კომისია (ამხ. მ. ტროშელიძე, ან. ფირცხალავა და ვ. სტურუა), რომელმაც უნდა გაატაროს ძველ ბოლშევიკთა რეგისტრაცია. 3. არჩეული იქნა საფინანსო კომისია ამხ. თ. ჟღენტის, ვ. ბოლქვაძის და ა. ნაზარეტიანის შემადგენლობით, რომელსაც მიენდო საზოგადოებისათვის სახსრის გამონახვის მიზნით საკითხის დამუშავება და თავისი დასკვნის წარდგენა ბიუროს სხდომაზე დასამტკიცებლად. 4. დაწესდა საწევრო გადასახადი ხელფასის 1 პროცენტი; 5. შეძენილ უნდა იქნეს საზოგადოებისათვის ბეჭედი, ბლანკები და სხვა.

ამხ. ვანო სტურუას დაევალა მოსკოვში ყოფნის დროს გაეცნოს იქაურ ძველ ბოლშევიკთა საზოგადოების მუშაობას.

დროებით ბიუროს სხდომა მოხდება ორ კვირაში ერთხელ.

თბილისის ექიმთა კონფერენცია

ექ. ლ. წერეთლის მოხსენება

გუშინ ქალაქის ცენტრალური პოლიკლინიკის შენობაში შესდგა თბილისის ექიმთა საქალაქო კონფერენცია. კონფერენციის დღის წესრიგში დასმული იყო სხვადასხვა სნეულებებთან და სოციალურ სენებთან ბრძოლის საკითხი.

ექ. ლ. წერეთელმა წაკითხულ მოხსენებაში აღნიშნა, რომ ყოველგვარი სენების წინააღმდეგ საბრძოლველ საუკეთესო საშუალებათ მიჩნეულ უნდა იქნეს პროფილაქტიური ზომების მთლიანად გატარება ცხოვრებაში სენთან ბრძოლა იმდროს, როცა იგი უკვე გავრცელებულია,—მომხსენებლის სიტყვით,—ჯერ ერთი ძნელია და მეორე—მოითხოვს დიდ ხარჯებს. ამიტომ მომხსენებელს საჭიროდ მიაჩნია ჩატარებულ იქნას ერთის მხრივ ქალაქის მოსახლეობის ცხოვრების პირობების და მეორე მხრივ ყოველგვარ სენების წარმოშობის მიზეზთა დაწვრილებით შესწავლა.

მომხსენებლის აზრით, ამ საქმეში შეთანხმებით უნდა იმუშაონ სანიტარულ დარგში მომუშავე ექიმებმა და მკურნალმა ექიმებმა. გარდა ამისა მომხსენებელს საჭიროდ მიაჩნია დისპანსერიული მკურნალობის მეთოდებში შემოღებული იყოს პროფილაქტიური გადახრა, რათა დისპანსერებში უფრო გაძლიერებული ტემპით სწარმოებდეს არა თვით ავადმყოფების მკურნალობა, არამედ ავადმყოფობის გამომწვევ მიზეზების მოსპობა.

კამათი

მოხსენების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს ექ. ა. არჯევანიძემ, ს. კანდელაკმა, ქ. მეუნარგიამ, ი. ღულაძემ, ი. თოფურიძემ და სხვებმა.

მიღებულ რეზოლუციაში გამოთქმულია სურვილი, რომ ქალაქის ჯანმრთელობის განყოფილებამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს სხვადასხვა სნეულების გამომწვევ სოციალურ მიზეზებთან ბრძოლას.

ა.-კ. საგზაო-სატრ. კოოპერაციის რწმუნებულთა ყრილობა

გუშინ, საღამოს თბილისში ცენტრალურ მუშათა კლუბის შენობაში გაიხსნა ა.-კ. საგზაო - სატრანსპორტო - სამომხმარებლო საზოგადოების („ზაკტპო“-ს) რწმუნებულთა ყრილობა.

მისალმებები

ყრილობის ხელმძღვანელ ორგანოების არჩევის, დღის წესრიგის დამტკიცების და რეგლამენტი შემუშავების შემდეგ, ყრილობამ მოისმინა პარტიის, მთავრობის, კოოპერატიულ და სხვა ორგანოების წარმომადგენელთა მისალმებები.

პირველად ყრილობას ა.-კ. ცაკის სახელით მიესალმება ამხ. მიხა ცხაკაია, რომელსაც დარბაზმა მხურვალე ოვაციები გაუმართა.

საკავშირო კომპარტიის (ბ) ა.-კ. საოლქო კომიტეტის და ა.-კ. სახკომსაბჭოს სახელით ყრილობას მიესალმა ამხ. შ. ელიავა, რომელსაც დამსწრენი ფეხზე ადგომით და მქუხარე ტაშის ცემით შეხვდნენ.

შემდეგ მისასალმებელი სიტყვები წარმოსთქვეს ა.-კ. სამომხმარებლო კოოპერატიული კავშირის („ზაკსოიუზი“-ს) გამგეობის თავმჯდომარემ ამხ. ა. ბუკრეევმა და ა.-კ. რკ. გზების გამგეობის თავმჯდომარე ამხ. ვ. პოზდეევმა.

მისალმებებში აღნიშნული იქნა კოოპერაციის უდიდესი როლი სოციალისტურ მშენებლობაში და კოოპერაციის ხვედრითი წონის თვალსაჩინო ზრდა საქონლის ბრუნვაში.

მისალმებების შემდეგ ყრილობა გადავიდა საქმიან მუშაობაზე და დღის წესრიგის მიხედვით მოისმინა „ცენტროსოიუზი“-ს სატრანსპორტო - სამომხმარებლო სექციის წარმომადგენლის ამხ. ი. ჟიტკოვის მოხსენება საბჭოთა კავშირის სატრანსპორტო - სამომხმარებლო კოოპერაციის მდგომარეობის შესახებ.

ამხ. ი. ჟიტკოვის მოხსენება

თავის მოხსენების პირველ ნახევარში მომხსენებელი ეხება და ახასიათებს საერთოდ საბჭოთა კავშირის სამომხმარებლო კოოპერაციას. აღნიშნავს სამომხმარებლო კოოპერაციის საქმიანობის ყოველ წლიურად ზრდა-განვითარებას და კერძო ბაზრის თანდათანობით დაპყრობას. სამომხმარებლო კოოპერაციას მთელს კავშირში, როგორც მოხსენებიდან ირკვევა მოეპოვება 28.000 ცალკე საზოგადოება და 70.000-ზე მეტი სავაჭრო. წევრთა რიცხვი აღწევს 15 მილიონს.

გადავიდა რა შემდეგ კერძოდ სატრანსპორტო კოოპერაციის საქმიანობაზე, ამხ. ჟიტკოვმა აღნიშნა მისი სავაჭრო ბრუნვის გადიდება 1926—27 წლისათვის 144 მილიონ მანეთამდე, ზედნადებ ხარჯების შემცირება, ფასების 10 პროცენტით დაკლების დირექტივის სრული ასი პროცენტით, რითაც საგზაო - სატრანსპორტო კოოპერაციამ მიიღო 9 მილიონ მანეთის ეკონომია.

სატრანსპორტო კოოპერაციის ქსელის დახასიათებიდან გამოირკვა, რომ უკანასკნელ ხანებში თვალსაჩინო ზრდა დაეტყო ვაგონ-დუქნების და ფარდულების რაოდენობას.

რაც შეეხება წევრთა გაერთიანებას და მათ მონაწილეობას კოოპერაციაში, ამხ. ჟიტკოვმა აღნიშნა, რომ სატრანსპორტო კოოპერაციაში საკავშირო მასშტაბით გაერთიანებულია 840.000 რკინისგზელი, რაც შეადგენს რკინისგზელთა მთელი მასის 80—85 პროცენტს. საპაიო გადასახადი საშუალოდ უდრის 7 მანეთს. საპაიო გადასახადის მხრივ ყველაზე უკან სდგას ა.-კავ. საგზაო - სატრ. საზ-ბა, სადაც საშუალო საპაიო გამოსაღები არ აღემატება 6 მანეთს.

მომხსენებელი შეეხო სატრანსპორტო კოოპერაციის ყველა მტკივნეულ საკითხებს და მოუწოდა ყრილობას ყურადღება მიაქციოს საპაიო თანხების გადიდებას, რათა ამან ხელი შეუწყოს საგზაო - სატრანსპორტო კოოპერაციის საკუთარ საშუალებათა გაძლიერებას.

სხდომის დახურვის წინ დარბაზში გამოცხადდნენ არმიისა და ფლოტის წარმომადგენლები, რომლებიც მიესალმნენ ყრილობას. არმიის სახელით მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა ამხ. მეშჩერიაკოვმა და კასპიის სამხედრო ფლოტის წითელ მეზღვაურთა სახელით ამხ. ჩუკსინმა. ორივე ამხანაგს დარბაზი მქუხარე ტაშით შეხვდა.

მუშა ი. გაბრიაძის გამოგონება

ტყიბული, 6 მარტი. მაღაროების ტეხნიკურ თათბირზე მუშა-გამომგონებელმა **ი. გაბრიაძემ** წარმოადგინა თავისი გამოგონება, რომელიც მნიშვნელოვნად ამარტივებს და აუმჯობესებს ქვანახშირის დახარისხებას, ზედმეტად ხდის ელევატორის ხშირ შეკეთებას და ამცირებს მუშა ხელის რიცხვს. გამოგონება იძლევა 400 მანეთის ეკონომიას თვეში. მაღაროების ადმინისტრაციამ მუშა გაბრიაძის გამოგონება მიიღო. საქართველოს ს. მ. უ. საბჭომ სამთო ტრესტის დადგენილებით მუშა გაბრიაძე დაჯილდოვებულია 120 მანეთით.

ქუთაისი

სამალარიო სადგური იზრდება

(ჩვენი კორესპონდენტისაგან)

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების ქუთაისის კომიტეტს აქვს ერთი ფრიად სასარგებლო დაწესებულება, ესაა—სამალარიო სადგური, რომელიც დაარსდა 1924 წელში. მისი მიზანია ბრძოლა მალარიასთან, რასაც დასავლეთ საქართველოს განსაკუთრებით დაბლობი ადგილები პირდაპირ დაპყრობილი აქვს.

წინად სადგური აწარმოებდა ბრძოლას მხოლოდ ამბულატორიული საშუალებით, ე. ი. სინჯავდა და სწამლობდა მალარიით დაავადმყოფებულთ თვითონ სადგურში; წარსული წლიდანვე ის აწარმოებს ბრძოლას პროფილაქტიურადაც, ე. ი. ღებულობს წინასწარ ზომებს მალარიის გაძლიერებისა და გავრცელების წინააღმდეგ. ამ მიზნით ის სხვათა შორის, სინჯავს მოწაფეებს და მუშებს თვით სასწავლებლებში, ფაბრიკა-ქარხნებში და სხვ. ავადმყოფობის გამოცნობა ხდება, როგორც გარედან გასინჯვით, ისე საჭიროების დროს სისხლის გამოკვლევით. როგორც ავადმყოფის გასინჯვა, ისე მისი წამლობა ყველასათვის უფასოა. თუმცა სადგური ნივთიერი ხელმოკლეობის გამო თავის დანიშნულებას ჯერ-ჯერობით სავსებით ვერ ასრულებს, მაგრამ აქ უკანასკნელ ხანებში მაინც ჩქარი ნაბიჯით მიდის წინ. ამას ნათლად ამტკიცებს მისი სტატისტიკა. ისე, მაგალითად, 1295 წელში მას მოუხდენია პირველად მოსულ ავადმყოფთა გასინჯვა სისხლის გამოკვლევით 2.197, განმეორებითი გასინჯვა—36.751; ამათგან მალარია აღმოჩენია 868 კაცს, 1926 წელში პირველად გასინჯვა მოუხდენიათ 3.054 ავადმყოფობისათვის, რომელთაგან მალარიით დაავადებული აღმოჩენილა 727; განმეორებით გაუსინჯავს 63.464, 1927 წელში პირველად გასინჯვა უდრის 4833; ამ რიცხვიდან მალარიით შეპყრობილი აღმოჩენილა 892; განმეორებით გასინჯვას ადგილი ჰქონია 91.142-ჯერ.

ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ თვით სასწავლებლებში გასინჯულია 3.306 მოწაფე. საზოგადოთ მალარიით დაავადმყოფებულთა რიცხვი 23 პროც. აღემატება.

სადგურის თანამშრომელთა შტატი 6 კაცისაგან შესდგება (ამათგან ორი ექიმია და ისიც ფერშალი), რაც სადგურისთვის ძლიერ მცირეა. სადგურის გაფართოება რომ მიუცილებელი საჭიროა, ამას ნათლად ამტკიცებს გასულ წელს ავადმყოფთა რიცხვის სისწრაფით ზრდა და აგრეთვე ის გარემოება, რომ მთელი ვაკე იმერეთის სარწყავი არხებით დასერვის შემდეგ, ციებ-ცხელებამ სამწუხაროდ, ძლიერ იმატა. ამას ერთხმად აღიარებენ, როგორც სამალარიო სადგურის, ისე ქ. ქუთაისსა და მის მაზრაში ყველა მომუშავე ექიმები.

წითელი ჯვრის საზოგადოების ქუთაისის კომიტეტს, ზემოხსენებულ სამალარიო სადგურის გარდა, მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის საწარმოებლად აქვს აგრეთვე სამალარიო პუნქტები სოფ. ხრესილში, საპაიჭაოსა და ნახახულევში, სადაც ჰყავს სამი ექიმი (ამათგან ერთი კვირაში მხოლოდ ორჯერ დადის პუნქტში მახლობელი თემიდან).

ამგვარად, თუმცა კომიტეტი თავის სამალარიო სადგურითა და პუნქტებით დიდ სამსახურს უწევს მოსახლეობას, მაგრამ ეს საკმაო არაა: აუცილებელი საჭიროა, როგორც სადგურის გაფართოება, ისე პუნქტების გამრავლება.

დონ-ვალიანი.

საბჭოთა საქართველო

წერილები

ჯერ ნიადაგი მოვამზადოთ, შემდეგ მუშაობას შევუდგეთ

ამას წინედ ლანჩხუთის სას.-სამ. საკრედიტო ამხანაგობის გამგეობამ მოიწვია ჯურუყვეთის, ჩიბათის, ლანჩხუთის და ნიგოითის თემის აღმასკომების თავმჯდომარეთა და საბჭოს წევრთა თათბირი, რომლის მიზანი იყო გამოერკვია თუ რა სახის კოლექტივებისა და არტელების დაარსება შეიძლებოდა ჩვენს სოფლებში, რომლისთვისაც ბანკი იძლეოდა გრძელვადიან სესხს საკმაო რაოდენობით.

ყველა მოწვეულები თავის დროზე არ გამოცხადდნენ, ხოლო ვინც გამოცხადდა, იმათი თათბირი მაინც შედგა.

სამწუხაროა, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ თათბირის მონაწილენი ჩავარდნენ სრულიად უმწეო მდგომარეობაში, ვინაიდან მათ არაფერი გაეგებოდათ სასოფლო მეურნეობის კოლექტივიზაციის მნიშვნელობაზე და თათბირიც უშედეგოდ დამთავრდა.

ეს გარემოება იმას გვეუბნება, რომ სანამ ასეთი დიდი მნიშვნელობის საქმის განხორციელებას ხელი მოვკიდებდეთ, საჭიროა წინასწარი მუშაობის ჩატარება ამ მიმართულებით.

აქ უსათუოდ აუცილებელია სამაზრო ხელისუფლების დახმარება. ვისთვის არის საიდუმლო, რომ ჩვენი სოფელი კულტურულად ჯერ კიდევ დაბალ დონეზე სდგას. სოფლად ჩვენ ნაკლებად გვყავს ისეთი მომზადებული პირები, რომლებსაც შეუძლიათ განუმარტონ გლეხობას კოლექტიური შრომის მნიშვნელობა და მისი სარგებლიანობა თვით გლეხობის ეკონომიური კეთილდღეობისათვის.

სასოფლო მეურნეობის კოლექტიურ ნიადაგზე გარდაქმნა რომ აუცილებელია სოციალიზმის განხორციელებისათვის, ეს უდავოა, მაგრამ ამისათვის საჭიროა გლეხობაში ფართო აგიტაცია-პროპაგანდის გაწევა, მათი დარწმუნება კოლექტივების სარგებლიანობაში და მას შემდეგ საქმის დაწყება.

მხოლოდ ასეთ პირობებში მივიღებთ დადებით ნაყოფს, წინააღმდეგ შემთხვევაში დიდ ზიანს მივაყენებთ სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის საქმეს.

ამიტომ სამაზრო აღმასკომი უნდა დაგვეხმაროს ამ მუშაობაში, გამოგვიგზავნოს შესაფერისად მომზადებული ინსტრუქტორები კოლექტივების მნიშვნელობის გასაცნობათ და სათანადოთ მომზადებულნი მივყოფთ ხელს კოლექტივების ჩამოყალიბებას.

ამ მიმართულებით საჭიროა სასწრაფო ზომების მიღება.

მეთვალყურე.

ეს ნაკლიც გამოვასწოროთ

ამაღლების თემი, გურია

ბევრ სხვა მიღწევებთან ერთად, ჩვენს თემში ჩაის მეურნეობა სწრაფი ტემპით ვითარდება. 1926 წელში ჩაის ნერგით გაშენებული ადგილების სივრცე მხოლოდ ორ-სამ დესეტინას უდრიდა, ხოლო გასულ წელს 300 დესეტინამდე მიაღწია. აქავე შენდება ჩაის ქარხანა, რაზედაც გლეხები დიდ იმედებს ამყარებენ.

წინად კრამიტს გლეხობა 15-16 ვერსიდან ეზიდებოდნენ, დღეს ამ თემში არის კრამიტის ქარხანა, რომელიც აერთიანებს კოლექტივში მომუშავე რამოდენიმე გლეხებს.

რადიო-მიმღები აპარატი თავისუფლად გადმოგვცემს მოხსენებებს და კონცერტებს. მაგრამ მარტო ამით არ ამოიწურება ამაღლების თემის მიღწევები. კიდევ უფრო მეტ ნაყოფიერ მუშაობას ექნება ადგილი, რომ გზების უვარგისობა არ აფერხებდეს საქმეს.

საჭიროა ამ ნაკლის თავიდან მოშორება, რაზედაც თემაღმასკომებმა უნდა იზრუნოს.

ხევ. კობიძე

აი, რა ნაყოფი გამოიღო!

(წერილი ოზურგეთიდან)

ოზურგეთში გახსნილია ეგრედწოდებული სათამაშო „ტირი“, სადაც არის აზარტული სათამაშოები ლატარია, სიკინჭილა და სხვები. ამ ტირს განაგებდა ვინმე რ. გოგოლაძე. ხსენებულ ტირში უმთავრესად დადიან ქუჩის ავარები, რომლებიც ხშირად მოტყუილებით თამაშში ჩაითრევენ სოფლიდან ჩამოსულ ახალგაზრდა გლეხებს.

ამ რამოდენიმე დღის წინედ ერთ-ერთი სოფლელმა ბავშმა ოზურგეთში ჩამოიტანა გასასყიდათ ნახშირი. გაყიდულ ნახშირიდან აიღო რაღაც გროშები და ავარებმა ის შეტყუეს „ტირში“, სადაც ბავშმა მთლიანად წააგო ნახშირის გაყიდვიდან აღებული ფული. თამაშში მონაწილეობდა აგრეთვე ტირის გამგე გოგოლაძეც, რომელსაც ბავშმა მოსთხოვა წაგებული ფულის ერთი ნაწილის დაბრუნება. გოგოლაძემ ბავშვი მასხრათ აიგდო და დაცინვით გაისტუმრა.

ფულის წაგებით დაღონებულ ბავშს უშოვნია სადღაც თოფი, მიბრუნებულა ტირში და მოუკლავს მისი გამგე რ. გოგოლაძე

აი, რა შედეგი მოჰყვა ოზურგეთში ტირის არსებობას.

ამიტომ აუცილებლად საჭიროა სამაზრო ხელისუფლებამ ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს ამ გარემოებას და ასეთი სათამაშოების ნებადართული არსებობა აკრძალოს ოზურგეთში, მით უმეტეს, რომ აქ უმთავრესად სოფლებიდან ჩამოსული ახალგაზრდობა ეგება მის ანკესზე.

„მიატნი“.

დაყოვნება დიდ ზიანს მოგვიტანს

ალის თემი, გორის მაზრა

ალის თემის გლეხობის საარსებო წყაროს საკირეებზე მუშაობა წარმოადგენს. აქ მაისიდან ნოემბრამდე გუზგუზებს 30 საკირე ქურა.

ხსენებულ თემის ბუნებრივ სიმდიდრეს კირის ქვას გარდა ტყე წარმოადგენს, რომლისგან დამოკიდებულია: ალის, გომის და ნაწილობრივ ხაშურის შეშით და ხე-ტყით მომარაგება, მაგრამ მიუხედავად ამისა, აქ ტყეს არავითარი ყურადღება არ ექცევა და ასეთ პირობებში მის დაცვაზე ლაპარაკიც მეტია.

30 საკირე ქურა ყოველწლიურად ხარჯავს 600 საჟ. შეშას, თუ ამას მივუმატებთ ადგილობრივ საჭიროებისათვის ტყის გაჩეხას, ნათელი გახდება, რომ ტყე ნადგურდება. ის უკვე გამოიფიტა და დიდი დაზოგვით შეიძლება მისგან მხოლოდ 2 წლით უზრუნველყოფა.

როგორც თემის გლეხობამ, ისე ადგილობრივმა აღმასკომმა ამ საკითხს მიაქცია ყურადღება და 1926 წ. აღძრა შუამდგომლობა გორის სამაღმასკომის წინაშე, რათა უკანასკნელს მიეღო ზომები ქურების მაზუთის ძალაზე გადასაყვანად. სამაღმასკომის პრეზიდიუმმა განიხილა ეს შუამდგომლობა და აუცილებელ საჭიროდ სცნო მისი დაკმაყოფილება, რის სისრულეში მოყვანისათვის მიმართა ს. მ. უ. საბჭოს, როგორც ტეხნიკური, ისე ეკონომიური უზრუნველყოფის მიზნით, რაიც დღემდე დაუკმაყოფილებელია.

მაისი მოახლოვდა და ტყის გაჩეხვას მალე შეუდგებიან. თუ ეს საკითხი მომავალ სამუშაო სეზონისათვის არ იქნა მოგვარებული, შემდეგში გვიანღა იქნება გოდება ტყეების განადგურების შესახებ.

ს. მ. უ. საბჭოს პრეზიდიუმმა ამ გარემოებას ყურადღება უნდა მიაქციოს.

მოსული

წერილებიდან

კოლექტივის დაარსება

ს. ონჯევი. რაჭის მაზრა

ამ სოფლის კომორგანიზაციის ინიციატივით ამას წინედ ჩამოყალიბდა კოლექტივი უღარიბესი გლეხებისაგან, რომელმაც შუამდგომლობა აღძრა ამავე სოფელში მდებარე 18 დესეტინა საფონდო მიწის გადაცემის შესახებ.

იმედია შუამდგომლობას დააკმაყოფილებენ.

ა. გ—ლი.

წინ მივდივართ

ს. მუხრანი, დუშეთის მაზრა

ს. მუხრანში დაარსდა სამელიორაციო ამხანაგობა. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ამხანაგობის დაარსებას დიდი მნიშვნელობა აქვს სასოფლო მეურნეობის გაუმჯობესებისათვის. საჭიროა სათემო აღმასკომმა ხელმძღვანელობა გაუწიოს მის მუშაობას და მკვიდრ ნიადაგზე დააყენოს ამხანაგობის საქმიანობა.

თხილი.

მუშათა ცხოვრება

დღეს, საღამოს 6 საათზე, ჩვენი რედაქციისბინაზე (კამოს ქ., № 68), შესდგება გაზ. „კომუნისტი“-ს მუშკორთა საერთო კრება. დღის წესრიგში სდგას ლიტერატურული საუბარი. ლიტერატურული წრის წევრების დასწრება სავალდებულოა. მუშკორთა ფართე კოლექტივის წევრები უნდა გამოცხადდნენ ერთი საათით ადრე.

ხულიგანი სიმულიანტი

ზოგიერთი მუშა-მოსამსახურეები ბოროტად იყენებენ უფასო მკურნალობას და ყოველგვარ ღონისძიებას ხმარობენ, რაც შეიძლება მეტი თავისუფლება მიიღონ დამზღვევ მკურნალ ექიმიდან, რათა მეტი ფული ჩაიჩხრიალონ ჯიბეში უშრომლად. ამის მაგალითები მრავალია, როგორც ამბულატორიულ, ისე სტაციონალური ავადმყოფების მკურნალობის საქმეში.

ქალაქის ტრამვაის ამბულატორიაში 31 იანვარს, დილის 11 საათზე მოვიდა ტრამვაის მუშა, გრიგორიანი, რომელმაც მიმართა ამბულატორიის გამგეს ამხ. გასნეცკის, როგორც კონსულტანტ ექიმს, რომ მისთვის მიეცა ჩამორთმეული ბიულეტენი რაიონულ ექიმის მიერ მიცემული, რათა დამზღვევ სალაროდან მიეღო ფული. გამგემ უარი განუცხადა, ხსენებულ დღეების ფულის მიღებაზე. რადგან გასნეცკიმ, როგორც კონსულტანტ ექიმმა ინახულა იგი თავის საკუთარ ბინაზე და „მწოლარე ავადმყოფი“ სახლში არ დაუხვდა, რის გამო ამხ. გრიგორიანი დაიბარა ამბულატორიაში საღამოს და საერთო წესით ჩამოართვა მას ავადმყოფობის ბიულეტენი, რომელიც გადაგზავნა სათანადო განკარგულებისათვის ცენტრალურ საექიმო საკონტროლო კომისიაში.

ამხ. გასნეცკის პასუხი არ ესიამოვნა გრიგორიანს და ყვირილით შეუტია მას. ამით არ დაკმაყოფილდა ამხ. გრიგორიანი და სამსახურის ასრულების დროს უწოდა ექიმ გასნეცკის აფერისტი აუარებელ ავადმყოფებთან და ტრამვაის ადგილკომის პასუხისმგებელ მდივნის თანდასწრებით. ამხ. გრიგორიანს უნდა მოეთხოვოს პასუხი, როგორც გამოუსწორებელ სიმულიანტს, რომელიც არცხვენს კავშირის სახელს და უმიზეზოდ აყენებს ექიმს შეურაცყოფას მისი მოვალეობის პირნათლად შესრულების გამო.

ცენტრალური დამზღვევ სალაროს გამგეობამ შესაფერისი ზომები უნდა მიიღოს სიმულიანტების აღმოსაფხვრელად, რაც ხშირი მოვლენაა ჩვენი ამბულატორიების მუშაობაში. ამით მეტი შანსები ეძლევათ ექიმ-კონსულტანტებს, მომავალში უფრო მეტი ენერგიით ებრძოლონ ყოველგვარ სიმულიაციას.

მ. ტურაულელი.

საყვედური არ კმარა

პოლიგრაფტრესტის მეხუთე სტამბის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებამ მოისმინა მოკლე მოხსენება ავიაქიმის საზოგადოების უჯრედის მუშაობის შესახებ. როგორც გამოირკვა მოხსენებიდან, უჯრედის მდივანს გ. დალაქიანს მთელი წლის განმავლობაში შეუკრეფია საზოგადოების ფული, დაახლოებით 200 მანეთი და იმის მაგიერ, რომ შეეტანა საზოგადოების სალაროში, დაუხარჯავს პირად საჭიროებისათვის.

საერთოდ კრებამ უჯრედის მუშაობა სცნო არა დამაკმაყოფილებლად და მოქ. დალაქიანს გამოუცხადა საყვედური საზოგადოების ფულის გაფლანგვისათვის. დალაქიანმა ამ თანხიდან 150 მანეთი უკვე დაფარა. მაგრამ გაფლანგული ფულის დაფარვა და საყვედურის გამოცხადება არ არის საკმარისი. საჭიროა მიღებულ იქნეს სასტიკი ზომები.

ე—ვი.

საყურადღებო საკითხი

(რკ. გზის მთავარი საწყობი)

რკ. გზ. მთავარ საწყობში არსებობს მასალის მიმღები კომისია, რომელსაც 1927 წლის პირველ ნახევრამდე მასალის მიღების დროს თავმჯდომარეობდა ან თვით საწყობის გამგე ან მისი ერთ-ერთი თანაშემწე. 1927 წ. მეორე ნახევრიდან კი ხსენებული კომისიას დაენიშნა განსაკუთრებული თავმჯდომარე, რომელსაც ეძლევა თვეში 210 მან. ჯამაგირი. საწყობის გამგე კი ჯამაგირს იღებს 200 მან. ორი თანაშემწეც თვითეული 150 მან. ნუ თუ არ შეიძლება, რომ კომისიის თავმჯდომარეობდეს საწყობის გამგე, ან მისი რომელიმე თანაშემწე, თუ კომისიის თავმჯდომარე ყოვლად აუცილებელია, რატომ არ შეიძლება დაინიშნოს მესამე თანაშემწე, რომელსაც ჯამაგირი მიეცემა არა 210 მანეთი, არამედ 150 მან. შეიძლება, მაგრამ არავინ ყურადღებას არ აქცევს მას.

საუბნო კომიტეტმა ეს საკითხი ყურადღების ღირსად.

დ. გვაზაურელი.

ჩვენი მუშკორები წითელ არმიელებთან

შაბათს, 18 თებერვალს, გაზ. „კომუნისტი“-ს მუშკორებმა გაზ. „წითელ არმიელი“-ს რედაქციის წარმომადგენლის ამხ. ბახტაძის თანადასწრებით დაათვალიერეს პირველ არტ-ლეგიონი.

წითელარმიელებს დიდი სამზადისი ჰქონდათ წითელი არმიის 10 წლის თავის დღესასწაულის შესახვედრათ, ზოგიერთი ეზოს ასუფთავებდა, ზოგი წითელ კუთხეს აწყობდა და ასუფთავებდა და სხვა. შენობები სავსეა სურათებით წითელი არმიის ცხოვრებიდან და სამოქალაქო ომების დროიდან.

მუშკორებმა დაათვალიერეს აგრეთვე წითელარმიელების წითელი კუთხეები, კლუბი სამკითხველო, „რემედასი“, „ტირი“ და სხვა. ყველა ბატარეების წითელარმიელები უშვებენ კედლის გაზეთებს, რომლებშიაც მხურვალე მონაწილეობას იღებენ თვით წითელი არმიელები, კედლის გაზეთებში მოთავსებული წერილები უმთავრესად ეხება წითელარმიელების, პარტიის და კომკავშირის ცხოვრებას, არის იმორისტული განყოფილებაც.

კლუბის დარბაზში მოთავსებულ კედლის გაზეთებს შორის უმთავრესი ყურადღება მიიპყრო პირველ ბატარ. კედლის გაზეთმა „მომავალი“-მ. ამხ. ჩერქეზიას გადმოცემით კლუბთან არსებობს სამხკორთა წრე, რომელშიაც ითვლება 176 აქტიური სამხკორი.

კლუბში კვირაში ერთხელ აჩვენებენ კინოსეანსებს, ორ კვირაში ერთხელ კი იდგმება საკუთარ ძალებით წარმოდგენები, იკითხება ლექციები და სხვა.

შემდეგ მუშკორებმა დაათვალიერეს თვით ბატარეების სადგომები, სადაც ამხ. ჩერქეზიამ მუშკორებს მისცა ყოველგვარი ახსნა-განმარტებები. მუშკორებს ჰქონდათ წითელ არმიელებთან საუბრები მათი ყოფა-ცხოვრების შესახებ, საიდანაც მუშკორები დარწმუნდნენ, რომ წითელი არმია ეს არის სკოლა, რომელიც ხელს უწყობს გლეხების კულტურულ განვითარებას. ერთმა წითელმა არმიელმა განაცხადა, რომ წერა-კითხვა ყაზარმაში ვისწავლეო. „ეხლა მე ჩემი ხელით ვწერ სახლში წერილს“-ო.

ასეთია ჩვენი დღევანდელი ყაზარმის და წითელი არმიის მდგომარეობა.

კონი.

* * *

მუშკორთა წერილებიდან

მოჯამაგირეს სტანჯავს. მერკვილაძის (ყოფ. რეუტოვის) ქ. სახლი № 20-ში მოთავსებული ღვინის სარდაფი, ეკუთვნის ვინმე გ. ხატიაშვილს. ამ ვაჟბატონს დაქირავებული ჰყავს 13—14 წლის მოჯამაგირე შ. ნიკოლაიშვილი, რომელსაც დილის 5 საათიდან, ღამის ხშირად 2 საათამდე დაუსვენებლივ ამუშავებს. არც შრომის კანონი და არც მუშაობის სხვა წესი არ ვრცელდება მასზე.

უცხილი.

უნაყოფო ხარჯები. (ქ ფოთი) ქ. ფოთის მუშათა ცენტრალურ კლუბში მოეწყო რადიო მიმღები აპარატი, რომიც დაიხარჯა 1.500 მანეთი. აპარატი იმდენად მოშლილია, რომ ყოვლად შეუძლებელია ყურისგდება. ამგვარად 1.500 მანეთი კლუბის გამგეობამ უნაყოფოდ გადაყარა. საჭიროა გეგმიანად და ნაყოფიერად იხარჯებოდეს კულტფონდისათვის გადადებული თანხა.

კოლინტერი.

დავაარსეთ პირველი დამხმარე ჯგუფი. ამხ. მ. კახიანის სახელობის ქართულ მუშფეპტთან არსებულმა ქალთა ორგანიზაციამ, ჩამოაყალიბა პირველი დახმარების აღმომჩენი ქალთა ჯგუფი, რომელშიაც სიხარულით ეწერებიან მუშფეპტის მშრომელი ქალები.

ნ. მეხი.

— გამოვეცით კედლის გაზეთი (ქუთაისი). ქუთაისის საბჭოთა და სავაჭრო მუშაკების კლუბთან არსებულმა ახალგაზრდათა სექციამ 10 თებერვალს გამოსცა კედლის გაზეთის პირველი ნომერი, სადაც გაშუქებულია ახალგაზრდათა ცხოვრება.

ფ. ბუხაიძე

ქრონიკა

კომისია საკრედიტო კოოპერაციის საქმეების შესახებ

საქართველოს ფინსახკომთან დაარსდა სპეციალური კომისია საკრედიტო კოოპერაციის საქმეების შესახებ.

კომისიას დაკისრებული აქვს: საკრედიტო ამხანაგობათა რეგისტრაცია, მათი სარევიზიო გეგმების დამუშავება, საკრედიტო კოოპერაციაში გასატარებელ ღონისძიებათა განხილვა-დამუშავება და საერთოდ საკრედიტო კოოპერაციის საქმიანობის მოწესრიგება.

კომისიაში შედიან წარმომადგენლები: ფინსახკომის, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკის, „სოფლის კავშირი“-ს, ს. მ. უ. საბჭოს, მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის და შინა-მრეწველურ კოოპერატივთა კავშირის.

კომისიის თავმჯდომარედ დანიშნულია საქ. ფინსახკომის სავალიუტო სამმართველოს უფროსი ნ. ქიქავა.

ანალოგიური კომისიები უნდა დაარსდეს საქ. ფინსახკომის რწმუნებულების სამმართველოებთან მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკებში.

სას.-სამ. ბანკის მონაწილეობა 8 მარტის დღესასწაულში

ქალთა საერთაშორისო დღესასწაულის აღსანიშნავად, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკმა ადგილობრივ საკრედიტო ამხანაგობებს წინადადება მისცა გლეხთა კოოპერატიულად შეკავშირების ფონდიდან გამოყონ სპეციალური თანხები გლეხ ქალების კოოპერაციაში გასაერთიანებლად.

პერსონალური პენსიის დანიშვნა

თანახმად საბჭოთა კავშირის სახ. კომისართა საბჭოს დადგენილებისა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გასამხედროების საქმის ხელმძღვანელს ალექსანდრე კონსტანტინეს ძე გედევანიშვილს, როგორც წითელი ჯარის დამსახურებულ მეთაურს, დაენიშნა მუდმივი პერსონალური პენსია იმ თვიური ჯამაგირის რაოდენობით, რომელსაც იგი ღებულობდა.

თამბაქოს მრეწველობა

თამბაქოს ტრესტმა შეადგინა თამბაქოს მრეწველობის განვითარების გეგმა, რომლის მიხედვით განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა თამბაქოს ქარხნების მექანიზაციას. გეგმაში აგრეთვე გათვალისწინებულია თამბაქოს ნაწარმოების სტანდარტიზაცია და მისი თვითღირებულების გაიაფება. თამბაქოს ტრესტმა უკვე მოახდინა ქარხნების ნაწილობრივი მექანიზაცია, რამაც ფრიად დადებითი შედეგები გამოიღო: მექანიზაციამდე თვიურად ერთ მილიონ ცალ პაპიროსის გაკეთებას უნდებოდა 9 კაცი, მექანიზაციის შემდეგ უნდება—7 კაცი.

თბილისის აღმასკომში

◆ **აგურის ახალი ქარხანა.** ადგილობრივი მრეწველობის განყოფილებამ გადასწყვიტა ღრმა-ღელეში ააგოს აგურის ახალი მექანიკური ქარხანა, რომელიც წლიურად დაამზადებს მილიონ ცალ აგურს.

◆ **მუშათა სახლი.** თბილისის აღმასკომი უნივერსიტეტის ქუჩაზე აგებს მუშათა ახალ დიდ სახლს.

მიწსახკომში

◆ **მეაბრეშუმე ქალთა არტელი.** მიწსახკომის ცნობით სოფ. ბოხვაურში (გურია) დაარსდა მეაბრეშუმე ქალთა პირველი არტელი.

◆ **აგროთათბირი.** 3 მარტს ახალქალაქში შესდგა სამაზრო აგროთათბირი, რომელმაც და მოიმუშავა მთელი რიგი ღონისძიებები მაზრაში აგროდახმარების საქმის გასაფართოებლად.

სას.-სამ. ბანკში

◆ **სამელიორაციო ამხანაგობებისათვის** სესხად დასარიგებლად სასოფლო-სამეურნეო ბანკმა გადასდო 20.000 მან.

◆ **თამბაქოს მეურნეობის** გასაფართოებლად აფხაზეთის სასოფლო-სამეურნეო ბანკს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკმა გადაუგზავნა 100 ათასი მანეთი.

პროფსაბჭოში

◆ **პროლეტსტუდენტობის აღმასბიუროს** პროფსაბჭომ ყოველთვიური დახმარება გაუდიდა 100 მანეთით.

◆ **კულტმუშაობის გაძლიერებლად** პროფსაბჭომ კულტგანყოფილებას გადასცა 87 ათასი მან.

სხვადასხვა

◆ **ფართალი.** მიმდინარე წლის მესამე კვარტალში ამიერ-კავკასიაში შემოტანილი იქნება 6 მილიონ მანეთის მანუფაქტურა, აქედან საქართველო მიიღებს მთელი რაოდენობის 58 პროც.

◆ **ჩაუბარებელი დეპეშები.** ქიათურიდან—ყიფიანს, ლენინაკანიდან—კოსტანიანს, ოზურგეთიდან—ჭყონიას, კამარლიუდან—მორგაძეს, ქიათურიდან—ყიფიანს. ზესტაფონიდან—თაქთაქიშვილს, სამარიდან—ზახაროვს.

ხელოვნება

ქუთაისის სამუსიკო ტეხნიკუმის იუბილე

ა.-წ. მარტის 9 დასავლეთ საქართველოს მუსიკალური წრეები ზეიმობენ თავისი მუსიკალური ცენტრის, ქუთაისის სამუსიკო ტეხნიკუმის არსებობის ათი წლის იუბილეს. ამ ტეხნიკუმის შეუჩერებელი ზრდა და განვითარება ამტკიცებს აზრს, რომ მისი საფუძველი შექმნილია არა ხელოვნურად, არამედ დამყარებულია ფართო მასსების მისწრაფებაზე. ამ აზრს იზიარებს ადგილობრივი ხელისუფლება, რომელმაც, დაინახა რა ტეხნიკუმის არსებობის ნაყოფიერება, მიიღო მხურვალე მონაწილეობა მის საქმიანობაში და ზედ-ილპალში, გამოიღო საჭირო თანხები ტეხნიკუმის წლიურ ბიუჯეტის გასაძლიერებლად და სცდილობს აძლიოს ტეხნიკუმს ყოველნაირი ხელშემწყობი პირობები, ადგილობრივი ხელისუფლების ამგვარი ყურადღება ტეხნიკუმისადმი საფუძვლიანია და გამართლებული ფაქტიურ ცნობებით ტეხნიკუმის ზრდა-განვითარებაზე და მისი საქმიანობის ხასიათზე.

ინიციატივა ქუთაისის სამუსიკო ტეხნიკუმის დაარსებისა ეკუთვნის კომპოზიტორ მელიტონ ბალანჩივაძეს. მასვე ეკუთვნის ამ ტეხნიკუმის ხელმძღვანელობა, არახელსაყრელ პირობებში მისი საფუძვლის განმტკიცება და ფართო საზოგადოებაში ტეხნიკუმისადმი ინტერესის გაღვიძება. მაშინ ტეხნიკუმი წარმოადგენდა პატარა სამუსიკო სასწავლებელს, რომელიც მოკლებულია ყოველ ნივთიერ წყაროს თავისი არსებობისათვის და ყოველნაირად შევიწროვებული, მაინც თავისას არ იშლიდა, განაგრძობდა მუშაობას, სწორედ ამ ხანაში მოასწრო მას საქართველოს გასაბჭოებამ, რომელმაც სრულიად შესცვალა მისი ბედიღბალი. მ. ბალანჩივაძე ჩადგა საბჭოთა საქართველოს მუსიკალური ცხოვრების სათავეში, მისი თანაშემწე ქუთაისის მუსიკალურ სკოლაში, ლ. ქუთათელაძე გაგზავნილი იქნა საზღვარგარეთ უმაღლეს მუსიკალურ განვითარების მისაღებად, ქუთაისის მუსიკალური სკოლა გადაიქცა ტეხნიკუმად და მის სათავეში ჩადგა ცნობილი დამკვრელი ვიოლონჩელოზე ილია აბაშიძე.

ახალ წყობილებამ მთელი სიმწვავით დაუსვა პრინციპიალური საკითხი ამა თუ იმ დაწესებულების არსებობის მიზანშეწონილობაზე და მოითხოვა ამ არსებობის დასაბუთება ნაყოფიერი შრომის უნარის გამოჩენით. ქუთაისის სამუსიკო ტეხნიკუმმა თავისი არსებობის ნაყოფიერება დაასაბუთა და ასაბუთებს თავისი დღევანდელი მდგომარეობით: ოდესმე ულარიბესი სამუსიკო სასწავლებელი დღეს პატრონია იმგვარ ტეხნიკურ მოწყობილობისა (ბინა, საუკეთესო დასაკრავი ინსტრუმენტები და სხვა), რომელიც ბევრ დიდ მნიშვნელოვან ქალაქში ძვირად მოიპოვება. ტეხნიკური პერსონალი ტეხნიკუმისა შესდგება 16 კაცისაგან, მათ რიცხვში 13 პედაგოგი, დანაწილებულნი შემდეგნაირად: როიალის კლასში 7, სიმღერისა 1, ვიოლინოზე 1, ვიოლონჩელზე 1, სასულე დასაკრავების 1, თეორეტიკოსები 2, მომღერალთა გუნდის კლასის 1, პლასტიკის კლასში 1. ტეხნიკუმში სწავლობს მუსიკას სულ 245 მოწაფე, მათ რიცხვში 155 როიალზე, 27 ვიოლინოზე, 4 ვიოლონჩელზე. სიმღერას 19, პლასტიკას 16 და სასულე იარაღებზე 24. ეროვნულად მოწაფეთა რიცხვი განაწილდება შემდეგნაირად: ქართველი 221, სომეხი 10, რუსი 5. ებრაელი 7, გერმანელი 1, თათარი 1, სოციალურად კი მოწაფეთა რიცხვიდან მუშა-მოსამსახურე და მათი შვილების რიცხვი უდრის 178, გლეხები—4. თავისუფალი პროფესიის პირები—8, დანარჩენი—31.

ქუთაისის სამუსიკო ტეხნიკუმის ნაყოფიერება გამოიხატება მის მიერ მიღებულ მიზანშეწონილ ხაზში: იგი არ ზღუდავს თავის მუშაობას ვიწრო სპეციალისტების მომზადებით უმაღლეს სასწავლებლებისათვის, არამედ ცდილობს ფართო მშრომელ და ღარიბ მასსაში გაავრცელოს და ასწიოს საერთო მუსიკალური კულტურა, შეაგროვოს ხალხური სიმღერები, დაამუშაოს ისინი და თვით ხალხშივე გაავრცელოს და სხვა. ამ ხაზს ის ახორციელებს როგორც თავის პედაგოგიურ მოღვაწეობაში, ისე საჯარო მაჩვენებელ კონცერტების საშუალებით.

კოტე მელვინეთ-უხუცესი.

ხელოვნების ქრონიკა

სარეპერტუარო ბიულეტენი

სარეპერტუარო-სამხატვრო საბჭომ გადასწყვიტა გამოსცეს სარეპერტუარო ბიულეტენი, რომელშიაც შევა იმ პიესების სია, რომელსაც საბჭო დასადგმელად ურჩევს მუშათა კლუბების, სოფლის და აკადემიური თეატრებს. საბჭოს მიერ მოწონებულ ყოველ პიესას ბიულეტენში თანდართული ექნება მოკლე დახასიათება.

სარეპერტუარო სამხატვრო საბჭო სთხოვს ყველა დრამატურგებს, რომელთა ნაწარმოების დაბეჭდვა ნებადართულია მთავლიტის მიერ, წარმოადგინონ ასეთები საბჭოში (რუსთაველის პროსპ. № 31. სამეცნიერო და სახელოვნო დაწესებულებათა მთავარმმართველობის მდივანთან).

თეატრი სიღნაღში

ადგილობრივი აღმასკომის ინიციატივით სიღნაღში შეკეთებულ იქნა თეატრის შენობა. შეძენილია ტანისამოსი და ბუტაფორია. სცენის მოყვარეთაგან ჩამოყალიბდა დასი, რომლის ხელმძღვანელად და მთავარ რეჟისორად მოწვეულია ვ. მატარაძე. რეპერტუარში უმთავრესად შეტანილია რევოლიუციონური პიესები. მათ შორის „საჭე მარცხნივ“ „პროვოკატორი“ და სხვა.

სეზონის გახსნა განზრახულია 18 მარტისათვის.

— **ვლ. ქაშაკაშვილის გამოსვლები.** ბარიტონ ვლადიმერ ქაშაკაშვილის მეორე გამოსვლისათვის სახელმწიფო ოპერაში დღეს შვიდ მარტს წარმოდგენილი იქნება „ჯამბაზები“. პარასკევს 9 მარტს ქაშაკაშვილი გამოვა ოპერა „ტრავიატა“-ში, ხოლო, კვირას, 11 მარტს ოპერა „რიგოლეტოში“.

◆ **„მედეა“.** რუსთაველის თეატრში დღეს სომხურ დრამის მიერ წარმოდგენილი იქნება „მედეა“.

◆ **მუშათა თეატრში** ქართულ სექტორის მიერ დღეს წარმოდგენილი იქნება: „ქმარი ხუთი ცოლისა“.

◆ **მომღერალ ირმა იაუნზემის** სახალხო სიმღერების კონცერტი გაიმართება 11 მარტს რუსთ. საკონცერტო დარბაზში.

ბიბლიოგრაფია

კ. კაუცკი. „უახლოესი სოციალიზმის წინამორბედნი“

თარგმანი შ. ელიავასი, სახელმწიფო გამომცემლობა, 1927 წ.

რევოლიუციამ მრავალი ღირებულება და პიროვნება გადააფასა. ამას ვერ ასცდა მარქსიზმის ოდესღაც ცნობილი თეორეტიკოსი კაუცკიც. პროლეტარიატის დიქტატურის სინამდვილემ დაამტვრია „ძველი“ თეორეტიკოსი და იგი ოპორტუნისტულ ჭაობში ჩაეფლო. „წინამორბედთა“ ავტორი თანამედროვე პროლეტარულ რევოლიუციაში აღმოჩნდა ბარიკადების მეორე მხარეზე. ეხლა კაუცკი მკვდარია რევოლიუციისათვის, მაგრამ პროლეტარიატს დარჩა მისი წარსული თეორიული ნაშრომი, რომელიც დღემდე ცოცხალი რევოლიუციონური აზრისა და მოქმედების წყაროს წარმოადგენს.

ამ მნიშვნელობით აღსანიშნავია კაუცკის ისტორიული შრომები და განსაკუთრებით „უახლოესი სოციალიზმის წინამორბედნი“. ამ პატარა რეცენზიაში დაწვრილებით ვერ გავარჩევთ ამ წიგნს. დიდი ხანია რაც იგი გახდა ძირითადი სახელმძღვანელოდ კლასთა ბრძოლის ისტორიის შესასწავლად და ვისაც სურს შეისწავლოს სოციალიზმისა და საზოგადოებრივი აზროვნების ისტორია, მას იგი უდიდეს სამსახურს გაუწევს. აქ აღვნიშნავთ მხოლოდ ზოგიერთ საინტერესო მომენტს.

„მსგავსად თანამედროვე სოციალ-დემოკრატიისა, სწერს კაუცკი წიგნის პირველი ნაწილის მეორე თავის დასასრულში—საშუალო საუკუნეთა პროლეტარული კომუნიზმი მიზნად ისახავდა პროლეტარიატის დიქტატურას, როგორც ყველაზე უფრო საიმედო იარაღს კომუნისტური საზოგადოების განსახორციელებლად“. თანამედროვე სოციალ-დემოკრატიის და მეორე ინტერნაციონალის პატრიარქს კაუცკის დღეს უკვე აღარ წამოსცდება ასეთი სიტყვები. კაუცკი დღეს უსირცხვილოდ უარჰყოფს პროლეტარიატის დიქტატურას, დღევანდელი კაუცკი პროლეტარიატის დიქტატურის მტერია. ასეთი შეიქნა ისტორიის ლოღიკა.

კაუცკის წიგნში არ არის წარმოდგენილი უახლესი სოციალიზმის ყველა წინამორბედი. მასში განსაკუთრებით დიდი ადგილი აქვს დათმობილი მხოლოდ თომა მიუნცერისა და მიუნსტერის „გადამნათლელთა“ დახასიათებას. ეს გარემოება სავსებით ბუნებრივია. ბურჟუაზიულმა ისტორიამ იმდენი სიყალბე და ჭორი დაბანდა „მშვიდობიან გადამნათლელთა“ შესახებ. რომ აქ ყველაზე უფრო საჭირო იყო ენერგიული სიტყვა სიცრუის გასაფანტად. საერთოდ აღნიშნული შრომა რაიმე კომენტარიას არ საჭიროებს, იგი, ჭეშმარიტად კლასიკურ შრომად ჩაითვლება მარქსისტულ ლიტერატურაში.

სამწუხაროდ იგივე როდი ითქმის ქართულ თარგმანზე. წიგნის პირველი ნაწილი კლასიკურად დამახინჯებულია და აუცილებლად საჭიროა მეტი ყურადღება და პატივისცემა ქართულ სიტყვისადმი. აქ საშუალება არა გვაქვს ჩამოვთვალოთ ყველა შეცდომა. აღვნიშნავთ მხოლოდ ზოგიერთს. წიგნის პირველ გვერდზე ვკითხულობთ შემდეგ ჩიქორთულს: „გამუდმებულ გადატრიალებათა პროცესით გადატაცებულს დღეს“ და სხვ. უმჯობესი იქნებოდა: „გადატრიალებათა მუდმივი პროცესით გატაცებულ საზოგადოებას“ და სხვ. შემდეგ, „ძველმა მსოფლიომ მიაღწია პლატონის და ქრისტიანიზმის ჩასახვის შუა ხანაში, მან დაცემა დაიწყო“ და ა. შ. (მე-2 გვ.) მთარგმნელის მიხედვით „ძველმა მსოფლიომ მიაღწია პლატონის ჩასახვის“ მომენტში. აქ სრული უაზრობაა. უნდა ყოფილიყო: „პლატონის შემდეგ—ქრისტიანიზმის წარმოშობამდე ძველი მსოფლიო თანდათან ეცემოდა. „ფულის გაჩენამ უსაზღვროდ გაამეფა შემძენელობის მისწრაფება“ (მე-5 გვ.) უფრო სჯობდა: „ფულის წარმოშობამ გამოიწვია გამდიდრების უსაზღვრო სურვილი“.

სპარსეთთან ომის მაგიერ მთარგმნელი ამბობს: „სპარსული ომები“.

გლეხთა განთავისუფლების მაგიერ: „თავისუფალ გლეხობის შექმნა“. „მოჰკლეს“ მაგიერ „მოკლულ იქნა“. და შემდეგ ასეთი გამოთქმები: „პრაქტიკული ცდის გაჩენა“ (გვ. 31). „თავის წარმოშობისას შეეყარა სხვადასხვაობას“ (გვ. 37); „ეკლესია ჩენდა მოძრაობას“ (გვ. 39); „შემოტეული გერმანელი ტომები“ (გვ. 41); „ქირის მუშები“ (გვ. 53); „აშლილნი კონკურენტთა ზვავი“ (გვ. 67); „მძიმე ოხტატი“; „ხაზიარობა“ (გვ. 89); ქვის ხანას მაგიერ: „ქვის საუკუნე“ და სხვ.

სახელგამის საყურადღებოდ უნდა ვსთქვათ, რომ საჭიროა მთარგმნელთა კადრის შერჩევა, რომ ყოველ გამცემელს საშუალება არ ჰქონდეს უსაზღვროდ „ამახინჯოს“ ქართული სიტყვა და ლექსიკონი“.

სარეცენზიო წიგნი კარგ ქაღალდზეა დაბეჭდილი, კორექტურული შეცდომებიც ბლომადაა და ღირს 2 მან.

რეცენზენტი.

რადიო-გადაცემა

ოთხშაბათი, 7 მარტი

დღეს 7 მარტს, თბილისის 4 კილოვატიან რადიო-სადგურიდან 870 მეტრიან ტალღაზე გადაცემული იქნება:

ქალი და საბჭოთა კავშირის თავდაცვა—ქართულ ენაზე.

კულტურული რევოლიუცია და ყოფა-ცხოვრების საკითხები—რუსულ ენაზე.

მოხსენება: ქალთა საერთაშორისო დღე—8 მარტი—ქართულ და თურქულ ენებზე.

კულტურული რევოლიუცია და ყოფა-ცხოვრების საკითხები—სომხურ ენაზე.

საუბარი რადიო-ტეხნიკაზე—ქართულ ენაზე.

მუსიკის ახსნა-განმარტება.

ოპერა „ჯამბაზები“-ს ტრანსლიაცია.

გეოფიზიკურ ობსერვატორიის ცნობები—რუსულ და ქართულ ენებზე.

პასუხი რადიოს მოყვარულთა წერილებზე.

ა.-კ. დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია—რუსულ და ქართულ ენებზე.

იურიდიული დახმარება

ქ. ზუგდიდი, [illegible]

კითხვა:

მე ვარ პასუხისგებაში მიცემული; ამ საქმეზე რვა მოწმეა დასახელებული, [illegible] მტრულადაა ჩემთან განწყობილი, რაც შემიძლია დავამტკიცო მოწმეებით. შემიძლია თუ არა ამ ორი მოწმის აცილება საქმის განხილვის დროს სასამართლოში?

პასუხი:

მოწმეების აცილება სისხლის სამართლის კანონით არ არის გათვალისწინებული, მაგრამ თქვენ შეგიძლიათ ამ მოწმეების ჩვენების გასაბათილებლად სთხოვოთ სასამართლოს ახალი მოწმეების გამოძახება და მათი დაკითხვა. თქვენ გაქვთ უფლება სთხოვოთ სასამართლოს ამ მოწმეების გამოძახება: როგორც სასამართლოს სხდომის გახსნამდე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 236 და 240 მუხლების თანახმად, აგრეთვე ამ სხდომის განმავლობაში იმავე კოდექსის 272 მუხლის ძალით.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

ინსტრუქცია

იუსტიციის სახ. კომისარიატისა ს. ს. ს. რ.-ის სახ. კომისართა საბჭოს 1927 წ. აგვისტოს 22-ის № 114 დადგენილების „სახელმწიფო დაწესებულებათა და საწარმოთა აგრეთვე კოოპერატიულ ორგანიზაციათა იურისკონსულტებისა და მათი მოქმედებისათვის ზედამხედველობის გაწევის შესახებ“ (ს. ს. ს. რ. კან. კრებ. 1927 წ. № 8, 119 მ.) ცხოვრებაში გასატარებლად.

1. საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წ. აგვისტოს 22-ის დადგენილება ვრცელდება ს. ს. რესპუბლიკის ყველა საერთო სახელმწიფო (საერთო საკავშირო და სარესპუბლიკო მნიშვნელობის) და ადგილობრივ დაწესებულებების, საწარმოსა და კოოპერატიული ორგანიზაციის იურისკონსულტებზე, აგრეთვე იმ სააქციო საზოგადოების (საპაიო ამხანაგობის) იურისკონსულტებზე, რომელშიც სახელმწიფო კაპიტალი სჭარბობს ან რომელიც მარტო ამ კაპიტალით მოქმედობს (როგორც წესდების ძალით, ისე ფაქტიურად).

2. იურისკონსულტად იგულისხმება ყველა ის თანამდებობის პირი, რა სახელწოდებაც არ უნდა ჰქონდეს მის თანამდებობას, (იურისკონსულტი, კონსულტანტი და სხვ.) ან რა სხვა საქმესაც არ ასრულებდეს იგი, ვინც დაწესებულებაში, საწარმოში ან ორგანიზაციაში ფაქტიურად ასრულებს დადგენილების მე-5 მუხლში აღნიშნულ მოვალეობას.

3. მთავრობის უმაღლეს ორგანოთა იურისკონსულტებზე (კონსულტანტებზე და სხვ.), რომელთაც დაკისრებული აქვთ მხოლოდ ის მოვალეობა, რაც აღნიშნულია დადგენილების მე-5 მუხ. „ა“ და „ბ“ პუნქტებში, ამ დადგენილების მე-8 და 11 მუხ. არ გავრცელდება. სხვა დანარჩენებში მათზე ვრცელდება როგორც დადგენილება, ისე ეს ინსტრუქცია.

4. იმ პირობების განსაზღვრის დროს, რომელნიც საჭიროა იურისკონსულტის თანამდებობაზე დასანიშნავად (დადგენილების 2 მუხ.) უნდა მხედველობაში მიღებულ იქნეს: ა) რომ სპეციალური იურიდიული განათლება ნიშნავს უმაღლეს სასწავლებელში დამთავრებულ იურიდიულ განათლებას; ბ) რომ პრაქტიკულ საპასუხისმგებლო მუშაობად საბჭოთა იუსტიციის ორგანოებში (დად. მე-2 მუხ. „ბ“ პ.) ჩაითვლება ისეთ თანამდებობაზე მუშაობა, რაც მდივნის თანამდებობაზე დაბალი არ არის და გ) რომ იმ პირთ, ვინც შეესაბამება დადგენილების მე-2 მუხ. „ბ“ პუნქტში აღნიშნულ პირობებს უკეთუ მათ სამი წლის განმავლობაში მხოლოდ მდივნის თანამდებობაზე უმსახურიათ, ან 1921 წლამდე მიუღიათ უმაღლესი იურიდიული განათლება, და ამასთან პრაქტიკულად არ უმუშავნიათ საბჭოთა იუსტიციის ან დამცველთა კოლეგიის წევრად, შეიძლება დაენიშნოთ გამოცდა იმის გამოსარკვევად, თუ რამდენად იციან და შეუთვისებიათ მათ საბჭოთა სამართალი. ამ გამოცდების პირობები და წესი ისეთივეა, რაც მიღებულია დამცველთა კოლეგიის წევრად ჩარიცხვის დროს წარმოებული გამოცდებისათვის.

5. დადგენილების მე-3 მუხლში აღნიშნულ განსაკუთრებულ შემთხვევად, რომლის დროსაც დაწესებულების ხელმძღვანელის ან ხელმძღვანელი დაწესებულების თუ საწარმოს ნებართვით შეიძლება დაშვებულ იქნეს შეთავსება, ჩაითვლება ან ის გარემოება, რომ იურისკონსულტის სამუშაო დღე მთლად არ არის დატვირთული მისი ძირითადი მუშაობით ან ის, რომ ადგილობრივ შეუძლებელია შესაფერი კვალიფიკაციის პირის მონახვა. ყველა ასეთი შემთხვევის შესახებ უნდა ეცნობოს ადგილობრივ პროკურორს, რომელიც თუ საფუძვლიანად არ სცნობს იურისკონსულტის მიერ ორი თანამდებობის შეთავსებას, აღძრავს საკითხს იურისკონსულტის მოხსნის შესახებ.

6. იმ პირის დანიშვნა იურისკონსულტად, ვისაც არ შეესაბამება დადგენილების მე-2 და 3 მუხ. გათვალისწინებულ პირობებს, არ შეიძლება ის, ვისაც ჩამორთმეული აქვს საბჭოთა არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლება, მოხსნილ უნდა იქნეს თავის თანამდებობიდან, თუ ერთი თვის განმავლობაში დღიდან საარჩევნო უფლების ჩამორთმევისა ან ამ ინსტრუქციის მიღების, მის შუამდგომლობას აღნიშნული უფლების მინიჭების შესახებ, სათანადო შემთხვევაში, არ შეიწყნარებს აღმასკომი ან თუ ეს უკანასკნელი არ დაუჭერს ამ შუამდგომლობას მხარს და არ წარუდგენს მას საქართველოს ცაკის პრეზიდიუმის გადასაწყვეტად.

ამავე ვადაზე უნდა ლიკვიდაცია ექნეს დადგენილების მე-3 მუხლით აკრძალულ შეთავსებებს.

7. რაც შეეხება დადგენილების მე-4 მუხლს, რომლითაც იურისკონსულტებს ეკრძალებათ კერძო პირის და საწარმოს წარმომადგენლობა, აქ სახელმძღვანელოდ უნდა მიღებულ იქნეს შემდეგი:

ა) კატეგორიულად აკრძალულია კერძო პირის და საწარმოს ისეთი სამოქალაქო საქმის წარმოება, სადაც მოწინააღმდეგე მხარედ ან მესამე პირად ამ მხარეზე არის ამ ინსტრუქციის 1 მუხლში ჩამოთვლილი დაწესებულება საწარმო თუ ორგანიზაცია. აკრძალულია აგრეთვე აღნიშნულ პირთა დაცვა ისეთ სისხლის სამართლის საქმეში, სადაც განცხადებულია ან შეიძლება განცხადებულ იქნეს ზემოთმოხსენებულ დაწესებულების, საწარმოს ან ორგანიზაციის სამოქალაქო სარჩელი. ეს აკრძალვა არ გავრცელდება ისეთ საქმეებზე, რომელიც გათვალისწინებულია სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წ. აგვისტოს 22-ის დადგენილების მე-4 მუხლის შენიშვნაში.

ბ) აკრძალულია ადმინისტრატიულ დაწესებულებებში კერძო პირთა ისეთი საქმის წარმოება, რაც დაკავშირებულია სახელმწიფოს მატერიალური ინტერესებთან. (მაგ. შუამდგომლობა შეწერილი გადასახადის შესახებ, შენობების ან საწარმოს მუნიციპალიზაციის ან დენაციონალიზაციის შესახებ და სხვ).

გ) საქმის წარმოება ნიშნავს როგორც სასამართლოში გამოსვლას და საქმის საწარმოებლო ქაღალდების მიცემას, ისე ასეთი ქაღალდების, ხელშეკრულებების, შერიგების პირობების და სხვა. შედგენა-შემუშავებას, და ამას გარდა რჩევა-დარიგების მიცემას ამ მუხლის „ა“ და „ბ“ პ. აღნიშნულ საქმეებზე.

დ) განსაკუთრებულ შემთხვევაში, იურისკონსულტს შეუძლიან, სასამართლოსი ან დამცველთა კოლეგიის პრეზიდიუმის დანიშვნით, მონაწილეობა მიიღოს ისეთ სისხლის სამართლის საქმეში, სადაც სახელმწიფო დაწესებულებისა და სხ. მიერ აღძრულია ან შეიძლება აღიძრას სამოქალაქო სარჩელი.

8. მშრომელად, რომელთა ინტერესების წარმომადგენლობა დაშვებულია დადგენილების მე-4 მუხ. შენიშვნით, ჩაითვლება ყველა ის, ვისაც ს. ს. ს. რ. კონსტიტუციით მინიჭებული აქვს საარჩევნო უფლება.

9. იურისკონსულტების თათბირი მოეწყობა ქ. თბილისში—რესპუბლიკის პროკურორთან, ქუთაისში—უზენაეს სასამართლოს მუდმივი სესიის პროკურორთან, ხოლო დანარჩენ ადგილებში—სამაზრო პროკურორებთან.

10. აღნიშნულ თათბირში, გარდა იმ დაწესებულების, საწარმოს და ორგანიზაციის იურისკონსულტებისა, რომელნიც მოქმედობენ ამა თუ იმ ტერიტორიის ფარგლებში, მონაწილეობას იღებენ აგრეთვე სასამართლოს, პროკურატურის, საარბიტრო კომისიის და საადგილ-მამულო კომისიის თითო წარმომადგენელი. თათბირის და თათბირის ბიუროს თავმჯდომარეა: ქ. თბილისში—რესპუბლიკის პროკურორი, ხოლო თუ იგი ადგილზე არ არის, მისი მოადგილე, აგრეთვე უზენაესი სასამართლოს პროკურორი ან და იუსტიციის სახ. კომისარიატის ცენტრალური პროკურატურის პროკურორი, რომელიც საამისოდ დანიშნულ იქნება რესპუბლიკის პროკურორის განკარგულებით. ქ. ქუთაისში—უზენაეს სასამართლოს მუდმივი სესიის პროკურორი, ან მისი დანიშვნით ერთ-ერთი ადგილობრივი სამაზრო პროკურორი, დანარჩენ ადგილებში—სათანადო სამაზრო პროკურორი.

11. იურისკონსულტების თათბირის გამგებლობის საგანს შეადგენს:

ა) ყველა იმ საკითხის განხილვა, რაც კი იურისკონსულტების ორგანიზაციას და მოქმედებას შეეხება.

ბ) იმ მუშაობის საერთო გეგმის განხილვა და დამტკიცება, რაც უნდა გასწიოს თათბირმა მისთვის დაკისრებული ამოცანების განსახორციელებლად.

გ) თავის წევრთა შორის თათბირის ბიუროს ამორჩევა და ამ ბიუროს მოქმედების შესახებ მოხსენებების მოსმენა-განხილვა.

დ) თათბირის სექციების მოწყობა სამართლის სხვადასხვა საკითხებზე და ამ სექციების მოქმედების შესახებ მოხსენების მოსმენა-განხილვა.

ე) იურისკონსულტების მუშაობის შესახებ მოხსენებათა მოსმენა-განხილვა პრაქტიკაში აღძრული სამართლის საკითხების გადაწყვეტისა და აგრეთვე კანონების ერთნაირად განმარტებისა და შეფარდების მიზნით.

ვ) სამართლისა და საბჭოთა კანონმდებლობის საერთო საკითხების შესახებ მოხსენებების მოსმენა-განხილვა და

ზ) იმ საკითხების გადაწყვეტა, თუ რაში უნდა გამოიხატოს იურისკონსულტების მონაწილეობა სამართლის პროპაგანდისა და მოსახლეობისათვის იურიდიული დახმარების აღმოჩენის საქმეში.

12. იურისკონსულტების თათბირს შეუძლიან მოაწყოს ცალკე სექციები, სამართლის სხვადასხვა საკითხებზე. სექციის შედგენილობა და მისი მოქმედების წესი განისაზღვრება თათბირით.

13. თათბირის მიმდინარე საქმეების სახელმძღვანელოდ ირჩევა იურისკონსულტების ბიურო, რომელშიც შედიან საპროკურორო ზედამხედველობის და სასამართლოს ორგანოების წარმომადგენელნი.

14. დანარჩენში იურისკონსულტების თათბირის, მისი ბიუროს და სექციების მუშაობის წესი განისაზღვრება ინსტრუქციებით, რომლებსაც შეიმუშავებს ქ. თბილისში იუსტ. სახალხო კომისარიატის ცენტრალური პროკურატურა, სხვა ადგილებში კი ამ ინსტრუქციებს შეიმუშავებს სათანადო პროკურორი სასამართლოსა, საარბიტრო კომისიისა და საადგილ-მამულო კომისიასთან შეთანხმებით და წარუდგენს დასამტკიცებლად რესპუბლიკის პროკურორს.

იუსტიციის სახალხო კომისარი და რესპუბლიკის პროკურორი—**ი. ვარძიელი.**

ამინდი ამიერ-კავკასიაში

6 მარტს ამინდი ამიერ-კავკასიაში კვლავ გაუარესდა. 5 მარტს მთელი დღე-ღამის განმავლობაში მზიანი და წყნარი ამინდი იდგა. გუშინ დილას წამოვიდა სუსტი თოვლი, რომელიც მალე გაძლიერდა და ნახევარი საათის განმავლობაში დაფარა დედამიწა.

მოსალოდნელია ახალი ქარბუქი

ა.-კ. რკ. გზების მეტეოროლოგიური სადგურების ცნობით, გზის დასავლეთ უბნებზე კვლავ ძლიერი ქარი ამოვარდა. ქარს თან ახლავს წვიმა და თოვლი. განსაკუთრებით ძლიერია ქარი და თოვლი სურამის უღელტეხილზე.

მოსალოდნელია ახალი ქარბუქი სურამის, ხაშურის და გორის რაიონებში.

ქარი ძლიერდება თბილისის და განჯის რაიონებშიაც. აქაც თოვს.

ბაქოს რაიონში ქარი აღწევს გრიგალის სიძლიერეს. თოვს.

ასეთივე მდგომარეობაა დერბენდის მიდამოებში.

ამ რაიონებშიაც მოსალოდნელია ქარბუქის განმეორება.

მდგომარეობა რკინისგზებზე

სომხეთის ხაზზე მოძრაობა აღადგინეს 5 თებერვალს, ნაშუადღევის 2 საათზე. თოვლის ნამქრები ჯერ კიდევ გაწმენდილი არ არის. სადგ. ორთაკილისში გაწმენდილია სადგურის მხოლოდ ერთი ხაზი, დანარჩენ სამი ხაზი თოვლშია, თოვლის სისქე 4 მეტრს უდრის.

კახეთის ხაზზე მდგომარეობა უცვლელია. გზა იორ-ვაზიანის შორის ისევ ნამქრებს ქვეშაა. მუშაობა გრძელდება.

დასავლეთის ხაზზე, 6 მარტს, ღამით ახალდაბა-ხაშურის შუა ადგილი ჰქონდა ძლიერ ქარბუქს. თოვლში ჩაეფლო სამგზავრო მატარებელი.

ხაზი გასწმინდა ხაშურიდან გამოგზავნილმა თოვლმწმენდმა. მატარებელი ოთხი საათის შემდეგ მიიყვანეს ხაშურში.

მდგომარეობა გზატკეცილებზე

საქართველოს ადგილობრივი ტრანსპორტის სამმართველოს ცნობით, ქარბუქს და თოვლის ნამქრებს ადგილი აქვს თითქმის ყველა გზატკეცილებზე.

მოძრაობა შეწყვეტილია: საქართველოს სამხედრო გზაზე, ოსეთის სამხედრო გზაზე, (ქუთაისი-მამისონის უღელტეხილი), თბილის-მანგლისის, თბილის-აბულაღის, თბილის-თელავის, ბორჯომ-აბასთუმან-ახალციხის, ბორჯომ-ბაკურიან-ახალქალაქის და სხვა გზატკეცილებზე.

საქართველოს სამხედრო გზა თბილისიდან დაწყებული დაფარულია უზარმაზარი თოვლის ზვავებით, ასე რომ მარხილებით მგზავრობაც კი შეუძლებელია. დარიალის ხეობაში ადგილი ჰქონდა ქვიშანარევ თოვლის უზარმაზარ ზვავის ჩამოქცევას.

მიღებულია ზომები გზის გასაწმენდად, მაგრამ ყველა ცდები უშედეგოდ დამთავრდა.

გარდა ნამქრებისა, ოსეთის სამხედრო გზატკეცილზე ონის მახლობლად ადგილი ჰქონდა მეწყერს, რისგანაც გზა გაფუჭდა. გზა ისე შეაკეთეს, რომ ეხლა ამ ადგილას შეუძლია გაიაროს ურემმა.

მუშაობა მანგლისის გზის გასაწმენდად შედეგებს არ იძლევა, რადგან გაწმენდილი ადგილები ისევ მალე ივსება ახალი ნამქრებით.

თბილის-თელავის გზატკეცილზე გზა ნამქრებით შეკრულია გომბორის გადასასვლელზე და იორ-ვაზიანის მიდამოებში.

აქაც სწარმოებს მუშაობა გზის გასაწმენდად, მაგრამ შედეგებს ჯერ ვერ აღწევენ.

ყველა ზემოდასახელებულ გზებზე მოძრაობა შეწყვეტილია.

სიღნაღ-ლაგოდეხის გზაზე მოძრაობა ნაწილობრივად არის შესაძლებელი.

დეპეშათა სააგენტოს ცნობები

ქუთაისი, 5 მარტი. ქ. ქუთაისში და მაზრაში თოვს და წვიმს. მიმოსვლა რაიონებს შორის გაძნელებულია. საქონლის საკვების მარაგი საკმაო არ არის. სვირის რაიონში მყოფი საქონელი თოვლში მოემწყვდა. მოძრაობა ტყიბულის გზაზე აღდგენილია. ცუდი ამინდების გამო მნიშვნელოვნად შემცირდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შემოტანა ქალაქში (ადს).

ახალციხე, 5 მარტი. თოვა გრძელდება. ძლიერმა ქარბუქმა დაფარა გზები; მიმოსვლა რაიონებს შორის შეწყდა. ავადმყოფები, რომლებიც ახალქალაქიდან ბრუნდებოდნენ, ახალციხეში მოემწყვდნენ (ადს).

ახალსენაკი, 5 მარტი. მთელ სენაკის მაზრაში დიდი თოვლი დევს. მაზრის მთიან ნაწილში თოვლის სიმაღლე აღწევს 1½ მეტრს. თემებთან კავშირი გაწყვეტილია.

შემთხვევები

ბანდიტის დაპატიმრება

ამ რამოდენიმე ხნის წინად მოქ. პავლე მაისურაძის (მცხ. ქუთაისის ქუჩა № 24) ოჯახში შევიდა ვიღაც უცნობი კაცი, რომელიც მაისურაძეს გაეცნო, როგორც მისი ცოლის დის ქმარი—ალექსანდრე გრიქურაშვილი. უკანასკნელი ღამის გასათევად მოჩვენებით „ნათესავებთან“ დარჩა.

ნაშუადღევს, როცა მაისურაძის ოჯახობამ დაიძინა, „სიძემ“ დაიტაცა ძვირფასი ნივთები და მიიმალა.

სისხლის სამართლის მილიციამ ბოროტმოქმედი გუშინ დააპატიმრა თბილისში. იგი აღმოჩნდა სანდრო ალექსისძე ბაჩუაშვილი, რომელიც თბილისში ცხოვრობდა გრიქურაშვილის გვარით.

ს. ს. მილიციის ცნობით, ბაჩუაშვილი რამოდენიმეჯერ იყო მიცემული პასუხისგებაში თაღლითობისა და ქურდობისათვის. გარდა ამისა მას თბილისში გაუქურდავს ბევრი საცხოვრებელი ბინა.

ბაჩუაშვილი გამოტყდა დანაშაულში.

ტრამვაიზე ქურდობის „სპეცი“

თბილისს ერთი ხანია ესტუმრა ტრამვაიზე ქურდობის სპეციალისტი ჯიბგირი—ივანე სოლომონისძე ღლონტი. გამორკვეულია, რომ ერთი დღის განმავლობაში მან ჩაიდინა რამოდენიმე ქურდობა. ღლონტი დააპატიმრეს სისხლის სამართლის მილიციის თანამშრომლებმა.

„ფინაგენტი“

იასონ ივანესძე ბიძიშვილი დადიოდა თბილისის რესტორნებში და რესტორანის პატრონებს ეცნობოდა, როგორც „ფინაგენტი“. უკანასკნელად მან სასადილო „ელდორადო“-ს მოიჯარადარეს მოსთხოვა „სესხათ“ 25 მანეთი. მაგრამ ბიძიშვილს ოინები არ გაუვიდა და ის პასუხისგებაში მისცეს.

გამოირკვა, რომ ბიძიშვილს არავითარი კავშირი არა აქვს საფინანსო ორგანოებთან.

სისხლის სამართლის მილიციაში ბიძიშვილი გამოტყდა დანაშაულში.

6 კაცის დაკარგვა

პირველიდან 3 მარტამდე უგზო-უკვლოდ დაიკარგნენ: ანა ოსკანოვა, 65 წლისა, (მცხ. წითელი მთის ქუჩა № 40); ვალიკო იასონისძე არჩვაძე 13 წლისა; ლადო ივანესძე ქურციკიძე. 30 წლისა, მიხეილ მიხეილისძე ოვჩარი, 9 წლისა (მცხ. კამოს ქუჩა № 24). და ზამან მამედ ხასან-ოღლი, 24 წლისა.

კოოპერატივის გაქურდვა

გუშინ, დღისით, ფანჯრის გატეხის საშუალებით გაქურდეს კოჯორის მუშკოოპის სავაჭრო მაღაზია. წაიღეს 200 მანეთის საქონელი.

უბედური შემთხვევები

გასული წლის განმავლობაში ქალაქში ადგილი ჰქონდა 54 უბედურ შემთხვევას. ავტომობილისა და ტრამვაის დაჯახების გამო გარდაიცვალა 6 კაცი, მძიმედ დაშავდა 17 კაცი, მსუბუქად—15.

სასამართლო

10 მანეთი ჯარიმა „შეყვარებულს“.

საბრალმდებლო სკამზე ზის ახოვანი ჭაბუკი, ჩაცმული ღარიბათ. გამომეტყველება აქვს გულუბრყვილო, ლაპარაკობს ძალიან სადათ. ყოველ შეკითხვაზე პასუხს იძლევა ამომწურავს, იღიმება მორცხვად.

ბრალდებული გახლავთ **ნიკოლოზ სარაჯიშვილი.**

სარაჯიშვილს, როგორც თვითონ ლაპარაკობს, მოსწონდა ახალგაზრდა ქალი, რომელიც მსახურობს გლეხთა სასახლესთან არსებულ სასადილოში. ჩადიოდა სასადილოში, დაჯდებოდა, სვამდა და სვამდა ღვინოს—„მისი გულისთვის“. ქალს სიყვარულს ვერ უმხელდა. ეს იყო, ასე ვსთქვათ, „შორით წვა და შორით დაგვა“.

ამ რამოდენიმე დღის წინად სარაჯიშვილმა გადალახა რუბიკონი.

ჩვეულებრივ შემოვიდა სასადილოში და თვალებს აცეცებს ყოველ კუთხეში, რომ თვალი მოჰკრას თავის ნესტან-დარეჯანს.

ქალი არსად სჩანს. სარაჯიშვილმა იცოდა, რომ გლეხთა სასახლეში კინო არის მოწყობილი, სადაც ხშირად დადის მისი სატრფო.

აჰყვა კიბეებს სარაჯიშვილი და ხედავს, რომ მისი გულის დამდაგველი მოჰყვება ვიღაცას.

სარაჯიშვილი წინ გადაუდგა ქალს.

— აღარ შემიძლია, მითხარი რამე! მე უშენოდ ვერ ვძლებ. მომეცი პირობა, რომ ცოლად გამომყვები, თორემ მოვკვდები, დავდნები თაფლის სანთელივით,—სარაჯიშვილი მაიფევს, სურს ხელი მოხვიოს.

ქალი გაუსხლტა სარაჯიშვილს და მოსახვევად გაწვდილი ხელები ჰაერში გამოეკიდა.

ქალი გაიქცა ქვევით, სასადილოში. „შეყვარებული“ იქაც გაედევნა. ქალმა დანას მოჰკიდა ხელი, რომ თავიდან მოეცილებია მისთვის უცნობი „შეყვარებული“.

მილიციამ სარაჯიშვილი სასამართლოს გადაუგზავნა.

აი რას ამბობდა სარაჯიშვილი სამრიგეო კამერაში.

— სცნობთ თუ არა თავს დამნაშავედ?—ეკითხება მას სასამართლო.

— არც კი ვიცი, რაში მედება ბრალი.

— შეეხეთ თუ არა ცუდი სიტყვებით ამ ქალს?

— რას ამბობთ! ცუდი სიტყვები სხვამ რომ შეაგინოს, თავს შევაკლავ და მე გავკადრებდი? უნდა მოგახსენოთ, რომ ეხლაც გაგიჟებით მიყვარს ეს ქალი.

— რამდენი ხანია, რაც რომ გატაცებული ხართ სიყვარულით?

— წელიწად ნახევარია „ცეცხლი მედება“

—ხშირად დადიოდი იმ სასადილოში?

— ძალიან ხშირად. როგორც კი ფულს ჩავიგდებდი ხელში, იქ გავჩნდებოდი.. მოვითხოვდი ღვინოს, დავჯდებოდი მაგიდასთან და ვუყურებდი ამ ქალს, მარტო ცქერაც ძვირფასი იყო ჩემთვის.

— თვრებოდით ძალზე?

— ღვინის სულაც არ ვსვამდი. სანამ ეს ქალი არ შემიყვარდა. მაგის გულისთვის დავიწყე ღვინის სმაც...

ხომ ხედავ, რომ არ თანაგიგრძნობს ქალი, ამიერიდან გაანებებთ თავს?

— მეტი რა ჯანია! თუ მას არ უნდივარ, არარც მე მინდა!

— კიდევ გაიმეორებთ ასეთ საქციელს?

— ეს ერთი შევცდი და შემდეგში თვალითაც აღარ დავენახები.

სასამართლო აცხადებს: ნიკოლოზ სარაჯიშვილი ასეთი საქციელისათვის დაჯარიმებული იქნეს ათი მანეთით.

სასამართლოს შემადგენლობა: თავმჯდომარე—ი. აბზიანიძე, სახალხო მსაჯულები: ი. დალაქიშვილი და ც. რუხაძე, მდივანი—ა. აბრამიშვილი.

არ დაუთმეს ერთმანეთს.

ანდრია გალუსტაშვილი და ივანე ბიბილური ერთად დათვრნენ. ერთად ატარეს დრო, ერთად გამოვიდნენ ქუჩაში და ერთსა და იმავე კაცს აუტეხეს ჩხუბი.

მოქ. მანუკოვი თავისთვის მიდიოდა ქუჩაში, ბიბილურს არ მოეწონა მისი „ფიზიონომია“ გააჩერა და „საყვედური“ უთხრა იმის გამო, რომ ცხოვრობს ამ ქვეყანაზე, ამ დროს, როცა იცის რომ ის „ზედმეტი ბარგია“.

— რა ვქნა, ძიო. შენს ზურგზე ხომ არა ვკიდივარ. ვინ ზიდავს ჩემისთანა ზედმეტ ბარგს.

— რაო? რა სთქვი, „შენს ზურგზეო“? ჩემ ზურგზე რა უნდა შენისთანა ნაგავს.

— ნაგავი რომ ვიყო, სანაგვე ყუთში ვიქნებოდი, მეგობარო!

— დიდი შეცდომაა, რომ სანაგვე ყუთში არ ხარ!..

— შეცდი...

— ვინ შევცდი? მე შევცდი?

— არა, ძიო, მე შევცდი მეთქი!

— შენ ასე სთქვი; შეცდიო! თუ შევცდი ეხ ლა გამოგასწორებ.

ბიბილურმა გაუშალა და სილა გააწნა მოქალაქეს. შეშინებულმა მანუკოვმა გაქცევა დააპირა, მაგრამ ბიბილურის ამხანაგმა—გალუსტაშვილმა მას მკლავი დაუჭირა და გააჩერა.

ბიბილურმა კიდევ „რეპეტე“ გააკეთა მანუკოვის ცხვირზე.

მოვარდა მილიციელი. მილიციელსაც უთავაზეს ორივემ შეერთებული ძალ-ღონით. კომისარიატშიაც დიდი „გმირობა“ გამოიჩინეს ხულიგნებმა.

სულ ჩალეწეს საპატიმროს მინები. ერთად და „ერთ სულოვნად“ მოქმედებდნენ ამხანაგები.

სასამართლომაც ერთად გაგზავნა ორივე გამასწორებელ სახლში სამ-სამი თვით.

ს. გრიქუროვის საქმე

თბილისის სამაზრო სასამართლოში დასრულდა მოქ. სტეფანე გრიქუროვის საქმის გარჩევა.

გრიქუროვი ყოფილი ვაჭარია. გასულ წელს მას თავის სავაჭროში ჰყავდა ამხანაგი ოლოლოვი, რომელთანაც უკმაყოფილება მოუვიდა ანგარიშების გასწორების გარშემო. გრიქუროვ ვერ წაეკიდა თავის ამხანაგს. ჩამოვარდა მათ შორის მტრობა.

ერთ ღამეს გრიქუროვმა გაიტყუა თავისი ამხანაგი ოლოლოვი ბნელ კუთხეში და ხანჯლით დაჩეხა სასიკვდილოდ. მოკლული ოლოლოვი ნახეს მეორე დღეს. მას 16 ჭრილობა ჰქონდა მიყენებული.

გრიქუროვს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 10 წლით.

ზერ.

„მადერის“ და „პორტვეინის“ ღვინოები

სახალხო მამულების ტრესტის ცენტრალურ სარდაფში მოხდა ახლად დამზადებულ ტკბილი ღვინოების დაჭაშნიკება, რომელსაც დაესწრნენ მეღვინეობის სპეციალისტები.

პირველ ყოვლისა შედარებული იქნა კარდანახის ღვინოსაგან დამზადებული მადერის ტიპის ღვინო 1914 წელში დამზადებულ საზღვარგარეთულ მადერის ღვინოსთან.

ჭაშნიკის შემდეგ გამოირკვა რომ კარდანახის ღვინო საუკეთესოა და თავის სურნელებით, ფერით და გემოთი არ ჩამოუვარდება საზღვარგარეთის მადერის ტიპის ღვინოებს.

აგრეთვე ამავე სარდაფში დამზადებული პორტვეინის ტიპის ღვინო გაცილებით უკეთესი აღმოჩნდა „კონკორდიის“ და „არარატის“ მიერ დამზადებულ პორტვეინის ტიპის ღვინოებთან შედარებით.

ამას გარდა, გამოკვლეული და დაჭაშნიკებული იქნა ამავე სარდაფში კახეთის ღვინოებისაგან დამზადებული მაგარი სადესერტო ღვინო, რომელიც აღმოჩნდა სადესერტო ღვინოების შორის საუკეთესო თავისებური განსაკუთრებით საუკეთესოთ მიჩნეული იქნა ღვინო „ბახვა“.

სპეციალისტების ყურადღება მიიპყრო აგრეთვე ამავე სარდაფში დამზადებულმა მაგარმა ღვინომ, რომლიდანაც შეიძლება გაკეთდეს პორტვეინის ტიპის ძვირფასი წითელი ღვინო.

შემდეგ გამოკვლეული და შესწავლილი იქნა ახლად დამზადებული ყურძნის წვენი, რომელიც აგრეთვე აღმოჩნდა მეტად დამაკმაყოფილებელი ყველა თავის თვისებით. ეს ყურძნის წვენი ამ დღეებში გატანილი იქნება ბაზარზე გასასყიდათ.

სახ. მამულების ტრესტის ცენტრალურ სარდაფში როგორც „მადერის“, „პორტვეინის“ და სადესერტო ღვინოების, ისე ყურძნის წვენი დამზადებულია მეღვინეობის ინსპექტორის გ. კანდელაკის თაოსნობით და ხელმძღვანელობით.

ავიაქიმში

„ქიმიური ნათლობა“

თავდაცვა-ავიაქიმის თბილისის საბჭო კვირას, 11 მარტს, დღის ათ საათზე აწყობს ქალების „ქიმიურ ნათლობას“ № ლეგიონის ბინაზე. „ქიმიურ ნათლობის“ დროს ქალები გატარებულ იქნებიან გაზების საწინააღმდეგო ნიღბებით სხვადასხვა მოშხამულ გაზებით სავსე კამერებში.

თათბირი ავიაქიმიური რაზმების ორგანიზაციის შესახებ

შაბათს, 10 მარტს, საღამოს 7 საათზე საქართველოს თავდაცვა-ავიაქიმის ბინაზე შესდგება თათბირი ავიაქიმიური რაზმების ორგანიზაციის შესახებ თბილისში.

მიღება სამხედრო ტეხნიკურ სკოლაში

ა. კ. თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოებამ დაუგზავნა ცირკულარი ყველა რესპუბლიკის ავიაქიმებს კანდიდატების გადარჩევის შესახებ სამხედრო-ტეხნიკურ სკოლაში გასაგზავნად. საქართველოს თავდაცვა-ავიაქიმს დათმობილი აქვს სკოლაში ერთი ადგილი.

მანევრები

თავდაცვა-ავიაქიმის მიერ მიღებული ცნობების თანახმად, საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში ავიაქიმის ორგანიზაციების მიერ ტარდება მანევრები და სამხედრო ლაშქრობანი. მანევრებს და ლაშქრობას ატარებენ როგორც სამხარო, ისე სოფლის ორგანიზაციები და უჯრედები. მანევრებს ხელმძღვანელობენ ჯარის ნაწილების მეთაურები.

მგლების თარეში

ორ მარტს თბილისიდან სოფ. მარტყოფისაკენ გავიდა მოწაფე **დავით ფურცელაძე**, რომელსაც გზა აებნა დიდი ქარბუქის გამო.

ის მაინც განაგრძობდა სიარულს. დაღამებისას ტრიალ მინდორზე მან შეამჩნია მგლების ხროვა. შეშინებულმა ბავშვმა მოასწრო ხეზე ასვლა, სადაც იძულებული იყო მთელი ღამე გაეთია. საბედნიეროდ თბილმა ტანისამოსმა ბავშვი გადაარჩინა გაყინვას. მეორე დღეს ბავშვი მივიდა სახლში.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

სახელმწიფო უნივერსიტეტის გაერთიანებული კომუჯრედთა ბიურო იტყობინება, რომ დღეს დილის 9 საათზედ მოწვეულია აღმასბიუროს ფრაქციის სხდომა.

დილის 11 საათზედ ბიურო კოლექტივის სხდომა და საღამოს 6 საათზედ მოწვეულია გაერთიანებული კომუჯრედთა დახურული კრება. დასწრება სავალდებულოა.

სახ. უნივერსიტ. პედაგოგიური ფაკ. პარტკოლექტივის ბიურო იტყობინება, რომ დღეს, 7 მარტს, საღამოს 6 საათზე შესდგება პედაგ. ფაკ. მეორე პოლიტ-წრის მეცადინეობა. პარტიის და კომკავშირის წევრები, რომლებიც პირველ პოლიტწრეში არ მეცადინეობენ, ვალდებულნი არიან გამოცხადდნენ მეორე წრეში.

სახ. უნივერსიტეტის პედაგოგიურ ფაკ. პარტკოლექტივის ბიურო პედაგოგ. ფაკულტეტზე მყოფ პარტიის წევრ-კანდიდატებს საყურადღებოდ აცხადებს, რომ 7 და 8 მარტს, საღამოს 6-დან 8 საათამდე იწარმოებს პარტ-კოლექტივის წევრების ხელახალი რეგისტრაცია.

ზემოთ აღნიშნული ამხანაგები ვალდებული არიან გამოცხადდნენ პარტ. ბილეთებით (აღმკომის ოთახში).

დღეს, 7 მარტს, დილის 12 საათზე შესდგება სახ. უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკ. პარტკოლექტივის ბიუროს სხდომა.

ბიუროს წევრთათვის დასწრება სავალდებულოა დაუგვიანებლივ.

სამკურნალო ფაკულტეტის პარტკოლექტივის (კომუჯრედის) ბიურო იტყობინება, რომ ოთხშაბათს, 7 მარტს და პარასკევს, 9 მარტს პარტიის ბიურო-კოლექტივის ოთახში დღის 1 საათიდან 3 საათამდე იწარმოებს სამკურნალო ფაკულტეტის კომპარტიის წევრ და კანდიდატ სტუდენტების ხელახალი აღრიცხვა, იმათ, ვინც დამოუკიდებლად თუ რომელ კომუჯრედში აღრიცხებიან.

სამკურნალო ფაკულტეტის პარტიის წევრ და კანდიდატ სტუდენტებს აღრიცხვაზე გამოცხადება ყოველ მიზეზს გარეშე, სავალდებულოა. აღრიცხვას აწარმოებს პარტკოლექტივის ტეხნიკური მდივანი.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის არსრაიკომი იტყობინება, რომ დღეს, 7 მარტს, საღამოს 6 საათზე რაიკომის შენობაში (პლეხანოვის პროსპ. 96) მოწვეულია არსრაიკომის უჯრედთა მდივნების თათბირი.

არსრაიკომის უჯრედთა მდივნების დასწრება აუცილებელია.

სახელმწიფო უნივერსიტეტის ხალ. ეკონომიურ ფაკულტეტთან არსებულ პოლიტ. წრის (დ. გვაზავას ხელმძღვანელობით) წევრებს წინადადება ეძლევათ გამოცხადდნენ დღეს, 7 მარტს სრულ 5 საათზე სამეცადინოდ.

უკანასკნელად ვაფრთხილებთ ამხანაგებს, რომ ვინც აღნიშნულ მეცადინეობაზე არ გამოცხადდება, მათი სია გადაეცემა ბიურო კოლექტივს. რომ შემდეგაც პარტიის და კომკავშირის წევრები თუ კანდიდატები დასჯილი იქნებიან პარტიული, სასჯელით.

სახკინმრეწვის თეატრები

აპოლო — პრემიერა მხატვრული შედევრი „[illegible]“ ვ. ჰიუგოს რომანის მიხედვით 1 და 2 სერია ერთად
არფასტო — სეზონის ახალი სურათი მღელვარე ახალგაზრდობა კარინა მელის მონაწილეობით
სოლეი — საუკეთესო სურათი სანკტ-პეტერბურგის აღსასრული „მეჟრაბპომრუს“-ის ნაწარმოები რეჟისორი პუდოვკინი
დარბაზი — ვილიამ დესმონდ სურათში უშიშარი ამერიკელი
ოდეონი — უკანასკნელად თბილისში გელა
პროლეტარი ავლაბარი — ამერიკული კინო-რომანი სპიდ 3 და 4-ე სერია ერთად

ანონსი მალე საუკ. სურათი „რომანოვების დინასტიის დამხობა“ 0—4

გაზ. „კომუნისტი“-ს ხელისმომწერთა საყურადღებოთ

გაზ. „კომუნისტი“-ს მთავარი კანტორა დაბეჯითებით სთხოვს ხელისმომწერლებს, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც საჭიროა მისამართებში ცვლილებების შეტანა ან სრულიად გამოცვლა, პროვინციის ხელისმომწერლებმა გამოგზავნონ ის მისამართი, რომლითაც გაზეთს იღებენ. ხოლო თბილისელებმა აუცილებლად წარმოადგინონ ის ქვითარი (ან ქვითარის №-რი), რომელიც მიღებული აქვთ „კომუნისტი“-ს კანტორიდან ხელის მოწერის დროს.

წინააღმდეგ შემთხვევაში ყოველგვარი კორესპონდენცია, მისამართებთან დაკავშირებული, უყურადღებოთ იქნება დატოვებული.

ხარჯების დასაფარავად, მისამართების შეცვლის მსურველები მოვალენი არიან წარმოადგინონ კანტორაში 25 კაპ.

0—1 მთავარი კანტორა.

მიხეილ გედევანიშვილის
ხელმძღვანელობით
სამკურნალო
ხაწოლებით
ელექტრონით და სინათლით სამკურნალო კაბინეტი

ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ჭკიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 25—4

ა. ვ. მიქაბერიძე
პარიზში 1923 წელს დაამთავრა
„სილამაზის ინსტიტუტი“

მასაჟი სახის, კისრის, ხელების და სხვ. ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ.

ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19 იღებს დილით 10-დან 2-დე და საღამოს 5—8-დე. შესასვლელი შესახვევიდან. 25—

ამ დღეებში
ნაჩვენები იქნება
სეზონის ერთ-ერთი
საუკეთესო სურათი

რომანოვების დინასტიის დამხობა

დადგმა ე. შუბის

სურათში გამოყვანილია 1) ნიკოლოზ II, დედოფალი, დიდი მთავრები, პურიშკევიჩი, გუჩკოვი და სხვ. 2) დროებითი მთავრობის ეპოქა: ლვოვი, კერენსკი, წერეთელი და სხვ. 3) ოქტომბრის წინა პერიოდის მთელი რიგი ნამდვილი კინო დოკუმენტი.

თვალყური ადევნეთ დადგმის დღეს ნ. 744

თბილისის შრომის ბირჟის კომიტეტთან არსებულ კოლექტივთა გაერთიანების სამმართველო იუწყება, რომ 1928 წლის 5 მარტიდან

უქმდება კოლექტივთა გაერთიანებაში შემავალი კოლექტივი „ელდორაპუტ“

იმ პირებს, რომელთაც აქვთ პრეტენზიები ზემოდაღნიშნულ კოლექტივის მიმართ, შეუძლიათ ა. წ. 20 მარტამდე მიმართონ თბილისის შრომის ბირჟასთან არსებულ კოლექტივთან გაერთიანების სამმართველოში, ვოლოდარსკის ქუჩაზე (ყ. მადათოვის ქუჩა) № 3 ამხ. სერედას, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე.

5—1 1682

გამოვიდა და იყიდება გუზიკოვის სახელმძღვანელო
„კბილის სამკურნალო საპროთეზო ტეხნიკა“

ქართულ ენაზე, წიგნის ფასი 2 მან. 75 კაპ წიგნის შეძენა შეიძლება სახელმწ. უნივერსიტეტის კბილის სნეულებათა კლინიკაში

13—1 პლეხანოვის პროსპ. № 126 ა. გოგორიშვილთან.

ექიმი
ა. ა. ტერ-ოვაკიმოვი

ავადმყოფების მიღება ფსიქოთერაპიის დარგში: სქესობრივი აშლილობა, მავნე ჩვეულებები, უძილობა და სხვ. საღამოს 5—8 საათ. დილის 11—1 საათ.

სპეციალურად სიფილისით ავადმყოფების მიღება საღამოობით, დანიშნულ დროს საბჭოთა ქ. № 48 (ყოფ. ჩირქეზიშვილის) გორესის ქუჩა (ყოფ. კირკის) კუთხე. 25—1

ექიმი ჯალალოვი

სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914“. ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა

ავადმყოფ. მიღება დილ. 8—9 საათ. საღამოს 5—8 საათამდე. ქალების ამიღება 2—3 საათ. მისამართი კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი შთაერის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. ტელეფ. № 1—90 25—10

ექიმი
მ. ო. ზანდუკელი

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. შინაგანი და ნერვიული სნეულებანი. ელექტრონის და სინათლის კაბინეტი. ავადმყოფების მიღება ორშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით, საღამოს 7—8 საათ. მისამართი ლენინის (ოლღას) ქუჩა № 11, ტელ. 4—82 25—1

კბილის ექიმი
დ. ს. რიჟინაშვილი

კბილების და პირის სნეულებათა მკურნალობა. პლომბები, კბილების უტკივნელოდ ამოღება. ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა. ავადმყოფთა მიღება: 10—3 საათ. და 5—7 საათ. საღ.—მისამართი: გრიბოედოვის ქუჩა № 34, რუსთაველის გამზირის კუთხე. 25—1

ექიმი
ნ. ტურიაშვილი

იღებს ავადმყოფებს სამშობიარო და ქალურ სნეულებით ყოველდღე, გარდა კვირისა 3—5 საათ. ბელგიის ქუჩა № 3, მთავარ საავადმყოფოს ახლოს (ყოფილ მიხეილის)

ექიმი ი. ი. ჭეიშვილი

სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმ.

იღებს ავადმ. დილ. 8—9 საათ. და საღ. 6—8 საათ. კამოს ქუჩა № 72 (ყოფ. დიდი დიდომთავრის ქ.)

მედიც. დოქტორი
გ. ა. ახვერდოვი

ვენერიული ავადმყოფობანი და სიფილისი.

დილით 9—12 ს., საღამ. 6—8 საათზე, პლეხანოვის პროსპექტი № 7, შესავალი კუთხიდან ნარიყალის ქ № 1.) 25—1

ექიმი ი. ი. გერიშვილი

ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა

დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ევროპა“ (ყოფ. „ნოეს“) პირდაპირ ჩოდრიშვილის შესახვევი ყ. პლეხანოვის შესახვევი) № 8.

ექიმი
ქ. ს. ფონ-ირტელი

პლეხანოვის პროსპ. № 10

სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება, ნერვიული სისუსტე), ვენერიულ (ტრიპერი) ავადმყოფობას, სიფილისს და მის შედეგებს, კანისა და ქარურგიულ ავადმყოფობის (სიძსავნე, მუსილი) ელექტრომკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღის 1½ საათამდე და 4 ნახ. საათ.—საღ. 7 საათამდე. ქალების მიღება ცალკე დილ. 11—12 საათამდე და საღამო 7—8 საათამდე. 13—1

Боты и Галоши

სპეციალური შეკეთება და განახლება უნაკლოთ და თავის დროზე. გთხოვთ მიმართოთ არარატოვის ძველ ფირმას, მიხეილის პროსპ. 131

თვალის საავადმყოფო
მუდმივ საწოლებით და ამბულატორიით. ღებულობენ ექიმები
ა. ნ. შატილოვი
სოოპერაციო დღეებში
ა. გ. მალაევი

დილით 8—9 საათ. საღამოთი 6—7 ს. სტაციონალური ავადმყოფების მიღება ყოველ დროზე. კლარა ცეტკინის ქუჩა (ყოფ. ელისაბედის) № 47 ტელეფონი № 5—90 5—12

ექიმი
ი. პ. მჭედლიშვილი
შინაგანი სნეულებანი

სპეციალურად კუჭის და ნაწლავების სნეულებათა გამოკვლევა და მათი მკურნალობა. ღებულობს 5—6 საათ სანაპირო ქუჩა № 7 (ყ. ნაბერეჟნაია) ვერის ხიდთან. ტელ. № 15—02 25—14

დაიკარგა: სამხედრო საალრიცხვო წიგნაკი № 1878 სერაპიონ კონსტანტინესძე ჩანტლაძის სახელზე, ჩ. გ. 1680

დაიკარგა: პასპორტი იოსებ პაპალაშვილის სახელზე, ჩ. გ. 1678

პოლიგრაფტრესტის მე-5-ე სტამბა-კამოს ქ. № 62